



ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრი“



FRIENDS OF ACADEMIC RESEARCH IN GEORGIA

თბილისი 2025 TBILISI

NIKOLOZ ZHGENTI

HISTORIC MONUMENTS OF SATORGE AND KAJIRI
MOUNTAINS

New Materials About The Peripheral Monasteries Of Gareji And Other
Monuments Of Historic Kambechovani

ნიკოლოზ ჟღენტის

სატორბესა და ყაჯირის მთების ისტორიული ძეგლები

ახალი მასალა გარეჯის მრავალმთის პერიფერიული
მონასტრებისა და ისტორიული კამბეჩოვანის სხვა ძეგლების შესახებ

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის“ სახელით გამოცემულ პირველ ვრცელ აკადემიურ გამოკვლევას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული ძეგლების შესახებ.

ნაშრომი ეძღვნება კახეთში, მდ. იორის ქვემო ნელზე მდებარე სატორგესა და ყაჯირის მთების მიდამოებში არსებულ ნაკლებად ცნობილ და უცნობ ისტორიულ ძეგლებს – ქვაბოვან მონასტრებსა და კომპლექსებს, დიდ ნამოსახლარსა და ცალკეულ არქიტექტურულ ძეგლებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სატორგეს მონასტრის ქვაბოვან გუმბათიან ეკლესიაში არსებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს, დიდ ნამოსახლარსა და ასევე ახლად გამოვლენილ ქვაბოვან მონასტრებს. ნაშრომის ფარგლებში გთავაზობთ, როგორც ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით და ეპიგრაფიკულ გამოკვლევას, ასევე არსებული ძეგლების ზოგად აღწერილობებსა და სხვადასხვა დაკვირვებებს.

ნაშრომის მიზანია სატორგესა და ყაჯირის მთების მიდამოებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაცია როგორც სამეცნიერო, ისე ფართო საზოგადოებაში.

კვლევა განხორციელდა ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის“ ექსპედიციებისა და ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის *Friends of Academic Research in Georgia* („აკადემიური კვლევების მეგობრები საქართველოში“) გამოცხადებული ჯონ ვილკინსონის სახელობის 2022 წლის კვლევითი გრანტის ფარგლებში. ორენოვანი გამოცემა დაიბეჭდა ამავე გრანტით.

მთარგმნელი: თინათინ გობეჯიშვილი

This research is the first academic publication by NNLE „Center of Georgian Cultural Heritage Preservation and Research“, which is dedicated to the specific monuments of cultural heritage of Georgia.

The research is dedicated to the less known and unknown historic monuments of the Satorge and Kajiri Mountains area in Kakheti (on the lower valley of Iori river), such as cave monasteries and complexes, a big settlement and other architectural monuments. The main part of the publication is about the old inscriptions of the main rock-hewn domed church of Satorge Monastery, the big settlement and the unknown rock-hewn cave monasteries. The research includes the historical, source-critical and epigraphic study, as well as the descriptions of different monuments and different observations.

The purpose of the publication is the popularisation of the monuments of cultural heritage at Satorge and Kajiri Mountains area within the scientific society, as well as for wider society.

This research is based on the expeditions of NNLE „Center of Georgian Cultural Heritage Preservation and Research“ and has been supported by *Friends of Academic Research in Georgia* (FaRiG), within the John Wilkinson Research Grant of 2022. The bilingual edition was published within this grant.

Translated by Tinatin Gobejishvili

ISBN 978-9941-8-7541-0

© ნიკოლოზ ულენტი, 2025

© ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის“, 2025

შესავალი

კახეთის სამხრეთ პერიფერიაში, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების კვეთაზე, მდ. იორსა და საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლს შორის, მდებარეობს მათათა სისტემა, რომელიც ყაჯირის მთის სახელწოდებით არის ცნობილი. მისგან აღმოსავლეთით დალის მთა და დალის მთის წყალსაცავია, ხოლო დასავლეთით ყაჯირის დამშრალი ტბა.

ყაჯირისა მთის სისტემაში არსებული რამდენიმე ქვაბოვანი ისტორიული ძეგლის შესახებ ზოგადი ინფორმაცია და ფოტოები მოიპოვება რამდენიმე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემაში, ასევე ინტერნეტში არსებულ გეო-ინფორმაციულ სისტემა Google Earth-ში, სხვადასხვა სოციალურ ქსელსა თუ ვიდეო პლატფორმაზე. სწორედ ამ ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის“¹ წევრებმა 2020 წლის თებერვლიდან დავიწყეთ დაზვერვითი ექსპედიციები ზემოხსენებულ არეალში.

რამდენიმე ასეთი ექსპედიციის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყაჯირის მთის სისტემა და მათი მიდამოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით საკმაოდ მდიდარი, მრავალფეროვანი და საყურადღებო მხარეა.

სწორედ ამ ძეგლების შესწავლის მიზნით 2022 წელს მოვიპოვე ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის FaRiG (*Friends of Academic Research in Georgia – „აკადემიური კვლევების მეგობრები საქართველოში“*) გამოცხადებული ჯონ ვილკინსონის სახელობის კვლევითი გრანტი, რომელიც ეძღვნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროს.²

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც სწორედ ამ გრანტის ფინანსური მხარდაჭერით იბეჭდება, წარმოადგენს კონკრეტული და ზოგადი კვლევების შედეგებს, რომელიც ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული 2020-2025 წლების დაზვერვითი და საველე ექსპედიციების შედეგად შეგროვებულ მასალას ეფუძნება.

¹ ორგანიზაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: ვ. ჭიჭაღუა, ისტორიულ-კულტურული ძეგლების პორტალი www.novators.ge, ქართული წყაროთმცოდნეობა, XXIII (თბილისი, 2021), გვ. 357-360.

² პროექტის სახელწოდება – „Satorge Monastery Complex in Kakheti“. გრანტის ოდენობა 1500 ფუნტი სტერლინგია. დეტალური ინფორმაცია ამ ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე farig.org/grants.

საკვლევი არეალის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

მთათა სისტემა, რომელიც ყაჯირის მთის სახელწოდებით არის ცნობილი, მდებარეობს კახეთში, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების სამხრეთ საზღვართან. მთათა სისტემა, ბათორის/ბატორის ქედის გაგრძელებაა და ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა გადაჭიმული დაახლოებით 5 კმ-ს სიგრძეზე. მისი სიგანე 4 კმ-მდეა. სისტემის უმაღლესი მთა, რომელსაც საბჭოთა პერიოდის 1:50000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკაზე „ყაჯირის მთა“ ეწოდება, ზღვის დონიდან 646 მეტრია. ამ მთათა სისტემის გასწვრივ, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან, მდ. იორი მოედინება, რომელიც იქვე დალის მთის წყალსაცავს კვებავს. მთათა სისტემის ჩრდილოეთ ფერდობები, მიმდებარე ივრის ქალებთან ერთად, შედის ქაჭუნას ალკვეთლის დაცულ ტერიტორიაში. მთათა სისტემის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით კი ყაჯირის დაშრალი ტბა³ მდებარეობს.

ზოგადად, ყაჯირის მთის სისტემისკენ ორი სამანქანო (გრუნტის) გზა მიდის: პირველი გზა სოფ. ქვემო ბოდბედან სამხრეთ-დასავლეთით მიდის ხორბლის ველებს შორის. ველის გავლის შემდეგ გზა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ უხვევს და გრძელდება გაუდაბურებულ რელიეფზე, რომელიც ივრის ქალებისკენ ეშვება. აქ გზა შედის სასაზღვრო ზონაში, სადაც სპეციალური საშვის გარეშე გადაადგილება აკრძალულია. მდ. იორზე გადებულ ხიდზე გადასვლის შემდეგ გზა ბათორის/ბატორის ქედის წინ ადის. დანიშნულების პუნქტამდე მისასვლელად გზას აღმოსავლეთით უნდა გავუყვეთ. ეს სწორი გზა მდ. ივრისა და ყაჯირის მთის სისტემას შორის მიდის და დალის მთის წყალსაცავს სამხრეთიდან უვლის. მეორე გზა კი დედოფლისწყაროსა და დალის მთის წყალსაცავს აკავშირებს. პირველი გზა გაცილებით უფრო კარგ მდგომარეობაშია და უფრო კომფორტულია მისი გამოყენება.

ყაჯირის მთა მდებარეობს გაუდაბნოებულ ადგილზე, სადაც ქვიშიანი ნიადაგია. ფლორა ღარიბია, ძირითადად ხარობს დაბალი ბალახი, ბუჩქები და ჯუჯა სახეობის ხეები – ძიძვი და თუთუბო. მთათა სისტემა კი დაღარულია რამდენიმე დიდი და უამრავი მცირე ხეებით. აქაც ქვიშიანი ნიადაგია, ხოლო კლდე ძალზე რბილი. ამის გამო კლდეები დაღარულია ნალექის ზემოქმედებით და უფრო გამშრალ ნალვინთ ტალახს მოგვაგონებს. მიმდებარე ტერიტორიას დღეისათვის, ისევე როგორც უნინ, ძირითადად ზამთრის საძოვრებად იყენებენ.

³ Дорожная карта Кавказского края составлена и литографирована в Военно-Топографическом отделе Кавказского Военного Округа 1903 года, Тифлис. https://www.davidrumsey.com/luna/servlet/workspace/handleMediaPlayer?qvq=q%253AGeorgia%253Bsort%253Apub_list_no_initialsort%252Cpub_list_no_initialsort%252Cpub_date%252Cpub_date%253Bic%253ARUMSEY%257E8%257E1&trs=958&mi=2&lunaMediaId=RUMSEY~8~1~352186~90119375

ყაჯირის მთების სისტემა მდებარეობს ისტორიულ პროვინციაში, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა და სხვადასხვა სახელმწიფოებრივ თუ ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ოდესღაც ამ ტერიტორიაზე საქალაქო და სამონასტრო ცხოვრებაც ჰყვავოდა, თუმცა, სხვადასხვა მიზეზით, ამ მიდამოებში ადამიანის ცხოვრება შეწყდა ისე, რომ დღეისათვის მისი ძველი ტოპონიმებიც უცნობი, ან ძალზე ზოგადია.⁴

ვინაიდან ყაჯირის მთის მიდამოების ისტორიულ-კულტურული ძეგლების ქრონოლოგია ძალზე ფართოა, მოკლედ მიმოვიხილავ ამ მხარის სახელწოდებებსა და ისტორიულ-გეოგრაფიულ ქრონოლოგიას.

ძვ. წ. VI-III საუკუნეებში ეს ტერიტორია ისტორიულ ჰერეთში შედიოდა, რომელიც ქართლის სამეფოს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა; ძვ. წ. II-ახ. წ. II საუკუნეებში ეს მხარე უკვე კამბეჩიანი/კამბეჩოვანი/კამბისენეს სახელით ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა; III-V საუკუნეების შუალედში ყაჯირის მთა კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იყო, თუმცა ალვანეთის, იგივე კავკასიის ალბანეთის სამეფოს საზღვართან ძალზე ახლოს აღმოჩნდა; V საუკუნის II ნახევრიდან VI საუკუნის ჩათვლით კამბეჩოვანის მთლიანი ტერიტორია კვლავ ქართლის სამეფოში შედიოდა, თუმცა უკვე VII საუკუნეში კამბეჩოვანი მთლიანად ალვანთა სამეფოს შემადგენლობაში მოექცა; VIII საუკუნეში კამბეჩოვანი უკვე ქართლის საერისმთავროს შემადგენლობაშია; IX საუკუნეში (X საუკუნის II ნახევრამდე) ყაჯირის მთა კახთა სამთავროსა (სუჯეთის მხარისა) და ჰერთა (რანთა) სამეფოს (კამბეჩოვანის მხარის) საზღვარზე აღმოჩნდა; X საუკუნის II ნახევრიდან კი კვლავ კახთა სამთავროში (საქორეპისკოპოსოში) შედიოდა. ამ პერიოდში კახეთის ქორეპისკოპოსთა არეგმანელთა დინასტიის წარმომადგენლებმა დაიპყრეს ჰერეთის სამეფო, მიიღეს მეფის ტიტული და კამბეჩოვანიც მთლიანად მათ განკარგულებაში გადავიდა. ამის შემდგომ, საქართველოს სამეფო-სამთავროების ერთ სამეფოდ გაერთიანების პროცესში კამბეჩოვანის ეს მონაკვეთი ხან კახთა სამეფოს, ხან კი ერთიანი საქართველოს ფარგლებში შედიოდა. XII-XV საუკუნეებში, ანუ ერთიანი საქართველოს არსებობის პერიოდში ყაჯირის მთა კახეთის მხარეში შედიოდა, თუმცა XIV-XV საუკუნეებიდან სახელწოდება კამბეჩოვანი უკვე ქიზიყმა ჩაანაცვლა. ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ქიზიყი კახეთის სამხრეთ პროვინციად რჩებოდა და ყაჯირის მთაც ამ ადმინისტრაციულ ერთეულში იყო მოქცეული.⁵

იმის გამო, რომ ჩვენთვის საინტერესო ადგილების ძველი სახელები დღეისათვის დაკარგულია, ნარატიულ თუ დოკუმენტურ წყაროებში, ამ კონკრეტული ტერიტორი-

⁴ როგორც ქვემოთ ვნახავთ, აღმოსავლური წარმოშობის სახელწოდება „ყაჯირი“ ამ მთას გვიან შუა-საუკუნეებში უნდა დარქმეოდა.

⁵ უფრო ვრცლად, იხ.: საქართველოს ისტორიის ატლასი. მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. მთავარი რედაქტორი: დავით მუსხელიშვილი (თბილისი, 2016); დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია (ძვ. წ. I – ახ. წ. XV სს.) (თბილისი, 1997).

ის თუ ისტორიული ძეგლების შესახებ ცნობებს ვერ მივაკვლიე.⁶ უკიდურესად ღარიბია ასევე კარტოგრაფიული წყაროები, ვინაიდან ძველ ქართულ კარტოგრაფიულ წყაროებში – ვახუშტი ბაგრატიონის რუკებზე – მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ მთები და მდ. იორი ხატია, წარწერები თუ პირობითი აღნიშვნები კი საერთოდ არ გვხვდება. XVII-XIX საუკუნეების ევროპულ და რუსულ რუკებზეც მსგავსი სურათია. გამონაკლისია მხოლოდ 1903 წლის კავკასიის რუსულენოვანი საგზაო რუკა, რომელზეც ყაჯირის მთის დასავლეთით მდებარე ტბას (რომელიც დღეისათვის ძირითადად დამშრალია და მხოლოდ უხვი ნალექიანობის შემდეგ ტბორდება) აწერია „Оз. Каджирисъ-тѣа“, ანუ ყაჯირის ტბა.⁷ ხოლო საბჭოთა პერიოდის 1:50000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკაზე, რომელიც დალის მთის წყალსაცავის დაგუბებამდეა (1984 წ.) შედგენილი, იდენტური სახელწოდებით – Каджирис – აღნიშნულია უკვე ამ მთების სისტემის უმაღლესი წერტილი.

ყაჯირის მთის კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ისტორია

სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ თუ პერიოდულ ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო მთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების შესახებ ცნობები მხოლოდ რამდენიმე გამოცემაში გვხვდება.

- XVIII-XIX საუკუნეების ცნობილი ქართველი მეცნიერის იოანე ბაგრატიონის 1794-1799 წლებში შექმნილ ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“, ავტორი ჩამოთვლის ქიზიყის ადგილებსა და სოფლებს, სადაც თათრების ელები⁸ ყოფილა. ამ ჩამონათვალში გვხვდება ტოპონიმი „ყაჯირდალი“,⁹ რაც ზემოთ ხსენებული ყაჯირის მთას ნიშნავს („დაღ“ თურქმანული წარმომავლობის სიტყვაა და მთას აღნიშნავს, ხოლო „ყაჯირი“ ძერძერუკს, ანუ ფასკუნჯს აღნიშნავს).¹⁰
- ამ მთის მიდამოებში 1965 წელს კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, არქეოლოგიური დაზვერვებისას მიაგნო ნასოფლარ ყაჯირს, რომელიც ექსპედიციამ

⁶ გამონაკლისია იოანე ბატონიშვილის ნაშრომი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ ერთი ტოპონიმი გვხვდება. ვრცლად იხ. ქვემოთ.

⁷ Дорожная карта Кавказского края составлена и литографирована в Военно-Топографическом отделе Кавказского Военного Округа 1903 года, Тифлис. https://www.davidrumsey.com/luna/servlet/workspace/handleMediaPlayer?qvq=q%253AGeorgia%253Bsort%253Apub_list_no_initialsort%252Cpub_list_no_initialsort%252Cpub_date%252Cpub_date%253Ble%253ARUMSEY%257E8%257E1&trs=958&mi=2&lunaMediaId=RUMSEY~8~1~352186~90119375

⁸ თურქმანული მომთაბარე ტომების სადგომი.

⁹ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა (თბილისი, 1986), გვ. 67, 79.

¹⁰ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ (თბილისი, 1993), გვ. 264, 353.

იოანე ბაგრატიონთან მოხსენიებულ ყაჯირდალთან გააიგივა. აქვე ახლოს მათ ასევე ნახეს კლდეების მასივში გამოკვეთილი ეკლესიის ნანგრევები. მართალია ამ ექსპედიციის მასალები ცალკე არ გამოქვეყნებულა, ეს ზოგადი ინფორმაცია მოხვდა ამავე ექსპედიციის წევრის – დავით მუსხელიშვილის 1997 წელს გამოცემულ წიგნში „ქიზიყის ძველი ისტორია“.¹¹

- ეს ნასახლარი და ეკლესია 1998 წლის აგვისტოში მოინახულა და ფოტოები გადაუღო შალვა ლეჟავამ, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში „გარეჯის კვლევის ცენტრის“ ექსპედიციის სხვა წევრებთან ერთად ისევ ესტუმრა ამ ძეგლებს. ზოგადი ინფორმაცია, არქიტექტურული აღწერილობა, წინასწარი დაკვირვებები და ფოტოები ექსპედიციის წევრებმა გამოაქვეყნეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1998 წ-ის 8 დეკემბრის ნომერში.¹² მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეს სტატია არ არის ვრცელი, ის ძალზე ინფორმაციულია.

- ყაჯირის მთის კიდევ ერთი, ამჯერად უცნობი, კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესია 2020 წლის თებერვალში დაფიქსირდა ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის“ ექსპედიციის ფარგლებში. ამ ძეგლის შესახებ საინფორმაციო სტატია გამოაქვეყნა ამავე ორგანიზაციის ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონიტორინგის პროგრამების ხელმძღვანელმა ანზორ მჭედლიშვილმა.¹³

- 2022 წლის 11 მაისს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის ქართველოლოგიური სამეცნიერო კითხვანის ფარგლებში წავიკითხე მოხსენება სახელწოდებით „ძველი ქართული წარწერები გარეჯის სატორგეს კომპლექსის გუმბათიანი ეკლესიიდან (ტექსტების პუბლიკაცია და კვლევის წინასწარი შედეგები)“. ამავე წელს, კონფერენციის მასალებში დაიბეჭდა სტატია იმავე სახელწოდებით.¹⁴

- 2023 წლის 29 მარტს მოხსენება სახელწოდებით „სატორგესა და ყაჯირის მთებს

¹¹ დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 9. აღსანიშნავია, რომ კახეთის 1965 წლის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში გამოქვეყნდა 1966 წელს, თუმცა ეს ანგარიში ეხებოდა ტერიტორიას პანკისის ხეობის სათავიდან ქალაქ გურჯაანამდე (იხ. თ. ბუგაიანაშვილი, შ. დედაბრიშვილი, დ. თუშაბრამიშვილი, დ. მუსხელიშვილი, რ. რამიშვილი, კ. ფიცხელაური, კახეთის 1965 წლის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები (თბილისი, 1966), გვ. 7-8, 11).

¹² ზ. სხირტლაძე, შ. ლეჟავა, მ. კიკნაძე, კიდევ ერთი უცნობი მონასტერი გარეჯში. საქართველოს რესპუბლიკა (თბილისი, 1998, 8 დეკემბერი) №319 (3019), გვ. 4.

¹³ ა. მჭედლიშვილი, დავით გარეჯის სატორგეს ქვაბოვანი კომპლექსის უცნობი გუმბათიანი ეკლესია (საინფორმაციო სტატია), ქართული წყაროთმცოდნეობა, XXIII (თბილისი, 2021), გვ. 351-356.

¹⁴ ნ. ჟღენტი, ძველი ქართული წარწერები გარეჯის სატორგეს კომპლექსის გუმბათიანი ეკლესიიდან (ტექსტების პუბლიკაცია და კვლევის წინასწარი შედეგები), მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის ქართველოლოგიური კითხვანი (თბილისი, 2022), გვ. 134-152.

შორის მდებარე კლდეში ნაკვეთი კომპლექსი – გარეჯის კიდევ ერთი უცნობი მონასტერი? ნავიკითხე ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკაკი შანიძის სახელობის სამეცნიერო კითხვანის ფარგლებში. მოხსენებაში მიმოვიხილე ჩვენი ექსპედიციებისას გამოვლენილი კიდევ ერთი უცნობი ქვაბოვანი სამონასტრო კომპლექსი.

რაც შეეხება საველე დაზვერვით და კვლევით ექსპედიციებს: 2020-2025 წლებს შორის ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის“ ნევრებმა ყაჯირის მთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სულ 10-ჯერ მოვინახულეთ:

I ექსპედიცია – 09.02.2020 – მოვინახულეთ სატორგის მთის ძირში, კლდეში ნაკვეთი მღვიმეების კომპლექსი (ე.წ. სახიზრები), ასევე მის მოპირდაპირე გორაკზე კოშკის მსგავსი ნაგებობის ნაშთები. შევამჩნიეთ უცნობი კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესია;

II ექსპედიცია – 16.02.2020 – ახლოდან დაზვერვით და ვცადეთ წინა ექსპედიციისას შემჩნეულ უცნობ კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესიაში შესვლა. საჭირო აღჭურვილობის გარეშე ეს შეუძლებელი აღმოჩნდა;

III ექსპედიცია – 25.04.2021 – სპეციალური აღჭურვილობის მეშვეობით მოვახერხეთ ზემოხსენებულ უცნობ კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესიაში შესვლა, ეკლესიის მდგომარეობის შეფასება, აღწერა და ფოტოგრაფირება;¹⁵

IV ექსპედიცია – 03.07.2021 – ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში მოენყო ექსპედიცია კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი სატორგეს კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესიის სანახავად. ადგილზევე მოვახდინეთ ამ ძეგლისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სხვა არქიტექტურული ძეგლების (მინისქვეშა სათავსოს/სატრაპეზოს, კოშკის) მდგომარეობის შეფასება და შელესილობაზე შესრულებული წარწერების ფოტოგრაფირება;

V ექსპედიცია – 11.07.2021 – წინა ექსპედიციისას სატორგეს კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესიის ნანახი წარწერების დეტალური შესწავლისათვის მოენყო სპეციალური ექსპედიცია. ჩატარებული სამუშაოს ფარგლებში მოხერხდა 20-ზე მეტი ნაკანრი და საღებავით შესრულებული წარწერის აღრიცხვა, ამოკითხვა და პალეოგრაფიული პირების (ასლების) დამზადება;

VI ექსპედიცია – 29-30.10.2022 – *Friends of Academic Research in Georgia*-ს გრანტის ფარგლებში, მოენყო ორდღიანი ექსპედიცია ყაჯირის მთის მიდამოების დასაზვერად და უცნობი ისტორიული ძეგლების აღსარიცხად. შედეგად აღირიცხა სხვადასხვა სახის 10-მდე ისტორიული ძეგლი;

VII ექსპედიცია – 18.12.2023 – წინა ექსპედიციის ფარგლებში სატორგის მთის ფერდობებზე და ხევებში დავაფიქსირეთ ძალზე დიდი რაოდენობის სხვადასხვა პერიოდის კერა-

¹⁵ <https://www.youtube.com/watch?v=Fk9k-ieU-4M>

მიკული ნანარმი, მინისა და ლითონის ნივთები, რაც მიანიშნებს აქ უძველესი ქალაქური ტიპის დასახლებისა ან დიდი ნამოსახლარის არსებობაზე. VII ექსპედიციის ფარგლებში, არქეოლოგიური ნივთების დიდ ტეროტორიაზე გავრცელების გამო, მხოლოდ ნაწილობრივ მოვახერხეთ ობიექტის დაზვერვა;

VIII ექსპედიცია – 06-07.01.2024 – წინა ექსპედიციებისას გამოვლენილი ძეგლებს შორის შემდგომი კვლევის პრიორიტეტებად გამოვარჩიეთ ორი ძეგლი: 1. ერთ-ერთ ხევში ნანახი უცნობი ქვაბოვანი საეკლესიო კომპლექსი (შედგება სულ მცირე 4 გამოქვაბულისგან) და 2. სატორგეს მთის ფერდობებსა და ხევებში არსებული დიდი ნამოსახლარის სრულად დაზვერვა. VIII ექსპედიციისას ახლოს მივედით პირველ პრიორიტეტულ ძეგლთან, დავაზუსტეთ რელიეფის სირთულე და დავგეგმეთ მღვიმეებში ასვლის სტრატეგია, რომელიც სპეციალურ ალპინისტურ უნარებსა და აღჭურვილობას მოითხოვს. მეორე პრიორიტეტული ძეგლის დიდი მასშტაბებიდან გამომდინარე, დიდი ნამოსახლარის ბოლომდე დაზვერვა ისევ ვერ მოხერხდა;

IX ექსპედიცია – 11.02.2024 – ექსპედიციისას მოხერხდა დიდი ნამოსახლარის დარჩენილი ფართობის სრულად დაზვერვა, ასევე ზოგადად, ყაჯირის მთის კომპლექსის ჯერ კიდევ დაუზვერავი ხევების, ფერდობებისა და ქედების მონახულება;

X ექსპედიცია – 25.01.2025 – ბოლო ექსპედიციისას მოხერხდა VII ექსპედიციისას გამოვლენილ ქვაბოვან სამონასტრო კომპლექსში შესვლა და ძეგლის ადგილზე შესწავლა, რითიც დასრულდა წინამდებარე ნაშრომისათვის მასალების შეგროვება და კვლევის ამ ეტაპისთვის სრული ინფორმაციის მიღება.

ყაჯირის მთის სისტემის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

იმისათვის, რომ ჩვენ მიერ შეგროვებული ინფორმაცია ყაჯირის მთის სისტემის ისტორიული ძეგლების შესახებ დაინტერესებული მკითხველისათვის მწყობრად და მარტივად აღსაქმელად გადმოგვეცა, გადავწყვიტეთ მათი განხილვის თანმიმდევრობა დაგველაგებინა არა ქრონოლოგიური, არამედ გეოგრაფიული პრინციპით. მით უმეტეს, აღნიშნული ძეგლების ჩვენ მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგია ძალზე ზედაპირული და სათუთა, რადგან, როგორც ზემოთაც ვნახეთ, აღნიშნულ ძეგლებზე არ ჩატარებულა შედარებით სიღრმისეული და ინტერდისციპლინარული კვლევა. წინამდებარე ნაშრომის ტირაჟირების მთავარი მიზანი კი სწორედაც აღნიშნული ძეგლების სხვადასხვა სამეცნიერო დარგის სპეციალისტებისათვის გაცნობა და ამ ძეგლებით დაინტერესებაა, რათა მომავალში მოხდეს მათი უფრო სიღრმისეული და, სასურველია, ინტერდისციპლინარული კვლევა.

ყოველივე ამის გამო, ყაჯირის მთის სისტემის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განხილვას ვინწყებთ ამ მათათა სისტემის ყველაზე ჩრდილოეთი ნაწილიდან – სატორგეს მთასთან მდებარე დიდი ნასახლარის განხილვით.

სატორგეს მთასთან მდებარე დიდი ნამოსახლარი

სოფ. ქვემო ბოდბედან მიმავალი გზა, მდ. იორზე არსებული ხიდის გადალახვისას, ბათორის/ბატორის ქედთან აღის. ეს ქედი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით არის გადაჭიმული. ქედის სიმაღლე საკმაოდ გრძელ მონაკვეთზე თითქმის ერთნაირია და ზღვის დონიდან დაახლოებით 440 მ-სა და 450 მ-ს შორის მერყეობს. თუმცა, სამხრეთ-აღმოსავლეთით ქედი მკვეთრად მაღლდება დაახლოებით 100 მეტრით და იწყება შედარებით მაღალი მთები. პირველივე მაღალი მთა დაახლოებით 540 მეტრია. სწორედ ამ მაღალ მთებში და მათ ჩრდილო აღმოსავლეთ ფერდობებსა და ხევებში გვხვდება პირველი ისტორიული ძეგლები (სურ. 1-2).

ამ ვრცელ მონაკვეთზე გვხვდება რამდენიმე სახის ისტორიული ძეგლი: დიდი ნამოსახლარი, კლდეში ნაკვეთი ქვაბების კომპლექსი, ორი კოშკი (?), მინისქვეშა ნაგებობა (სათავსო, ან სატრაპეზო) და ერთი კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ტაძარი (რუკა 1). შესაბამისი ინტერდისციპლინარული კვლევის გარეშე, მათი დაჯგუფება პერიოდების მიხედვით, ზუსტი ვერ იქნება. შესაბამისად, ჯერ მხოლოდ დიდ ნამოსახლარს განვიხილავთ.

მთას, რომლის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებზე და ხევებში მდებარეობს ნამოსახლარი, სატორგე ეწოდება.¹⁶ ეს ტოპონიმი იმ უიშვიათეს ტოპონიმთაგანია, რომელიც *გარეჯის კვლევის ცენტრის* ექსპედიციამ 1998 წელს ადგილობრივ მეველე-მწყემსებისგან ჩაიწერა. უცნობია, თუ როდიდან უწოდებენ ამ მთას სატორგეს. აღნიშნული ტოპონიმი ვერც სხვა წერილობით თუ კარტოგრაფიულ წყაროებში მოვიძიეთ. უცნობია ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიაც, თუმცა ძალზე საინტერესო.

სიტყვა „სატორგე“ სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ: სა-ტორგ-ე. სიტყვის ფუძე „ტორგ“ უნდა იყოს, ხოლო პრეფიქსი „სა-“ და სუფიქსი „-ე“ უნდა გამოხატავდეს დანიშნულებას ან განკუთვნებას.

რას უნდა ნიშნავდეს სიტყვის ფუძე „ტორგ“?

ქართული ენის ლექსიკონში მსგავსი სიტყვა არ იძებნება, თუმცა მსგავსი სიტყვა გვხვდება მეგრულში: ეს არის ლექსემა „ტორგო“, რაც „ჭრელს“ ნიშნავს.¹⁷ თუ გავითვალისწინებთ, რომ ზანიზმები (მეგრული წარმომავლობის სიტყვები) აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში, მათ შორის კახეთ-ჰერეთის ტოპონიმიკაშიც მრავლადაა, კვლევის ამ ეტაპზე შეგვიძლია დავუშვათ, რომ ტოპონიმი „სატორგე“ მართლაც ძველია და მას ზანური ფუძე აქვს.¹⁸ მით უმეტეს, მთის შეფერილობა მართლაც შეიძლება დახა-

¹⁶ მთის უმაღლესი წერტილის (ზ.დ. 512 მ) კოორდინატებია: 41°19'59.41"N 45°48'43.29"E.

¹⁷ ც. ძაძამია, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი მეგრულში (დისერტაცია) (თბილისი, 2006), გვ. 64, 98, 107.

¹⁸ მით უმეტეს, იოანე ბაგრატიონის მოყვანილ გეორგაფიულ სახელწოდებათა სიაში, რომელიც დალაგებულია გეოგრაფიული თანმიმდევრობით (დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ), ყაჯირდალამდე იხსენიება „მოხატული კლდე“ (ი. ბაგრატიონი, კახეთ-ჰერეთის აღწერა, გვ. 79). ყაჯირის მთასთან

სიათდეს როგორც ჭრელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მთების ეს სისტემა ძალზე ბევრი მცირე ხევისაგან შედგება. თუმცა გვხვდება რამდენიმე დიდი ხევიც. ჩვენთვის საინტერესო ძეგლები მთის სწორედ იმ განშტოებაზე მდებარეობს, რომელიც გამოყოფილია ყველაზე გრძელი ხევით. ეს ხევი სიგრძეში დაახლოებით 1 კმ-ია და მთაგრეხილის ძირითადი მასივიდან ჩვენთვის საინტერესო ქედს სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან გამოჰყოფს. ამ ქედის ხე-ვებსა და ფერდობებზე უხვად მოიპოვება სხვადასხვა პერიოდისა და ხარისხის კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები. ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად აქ გამოვლინდა სხვადასხვა სახისა და დანიშნულების მაღალი ხარისხის ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა. ზოგადი დათარიღებით ყველაზე ძველი კერამიკული არტეფაქტი – უნიკალური ტუჩიანი დოქის პირი – ძვ. წ. I – ახ. წ. I საუკუნეებისაა (სურ. 11). ადგილზე უხვად მოიპოვება მრავალფეროვანი მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები, რომელთა ზოგადი ქრონოლოგია ახ. წ. IX-XIV საუკუნეებით განისაზღვრება. ადგილზე გვხვდება ასევე იმპორტული, მაღალი ხარისხის მოჭიქული კერამიკა, როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური წარმომავლობის (ბიზანტიის იმპერია, დასავლეთ საქართველო) (სურ. 3-5). დიდი რაოდენობით მოიპოვება ასევე ძირითადად მწვანე ფერის მოჭიქული სამარილეები (სურ. 6-7). ბევრია ასევე მეორადი გამოყენების ნივთები, მაგალითად, გატეხილი სამარილეს ძირები, რომელთა ცენტრი ფრთხილად არის გახვრეტილი და, სავარაუდოდ, გამოიყენებოდა როგორც გულსაკიდი, ასევე გარკვეული სამეურნეო ინსტრუმენტი (მცირე წონიან ტვირთად ან თითისტარის ნაწილად) (სურ. 8, 15-16). დიდი რაოდენობით გვხვდება ასევე სხვადასხვა ხარისხის ჩვეულებრივი, მონითალო თიხის კერამიკაც, ისეთი საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ნატეხები, როგორიცაა ჭრაქი, დოქი, დერგი, ქოთანის და სხვ. (სურ. 9-10, 12-15, 17-18).

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ კერამიკული ნაწარმის გარდა, მიმდებარე ტერიტორიაზე უხვად მოიპოვება მაღალი დონის მინის ნაწარმი: სხვადასხვა სახის, ფორმისა და ფერის სამაჯურების ნატეხები (XII-XIII სს.), ასევე სხვადასხვა ზომისა და სისქის ჭურჭლის ნამსხვრევები. აღნიშნული ნამსხვრევები იმდენად მცირე ზომებისაა, რომ უმრავლესობის ზუსტი დანიშნულების დადგენა შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ განვითარე-

მიმართებაში ამგვარი გეოგრაფიული თანმიმდევრობა თითქოს სწორედ სატორგეს მთას ემთხვევა. ბუნებრივია ჩნდება კითხვა: ხომ არ იკვეთება რაიმე შინაარსობრივი კავშირი სახელებს „სატორგესა“ (მეგრ. ფუძე „ჭრელი“) და „მოხატულ კლდეს“ შორის? მით უმეტეს, ქართულში ღ-ს ჩანაცვლება გ-თი სრულებით შესაძლებელია. ამასთანავე, დასაშვებია ამ ტოპონიმის ფუძეში თავდაპირველად ასო გან-ის მაგივრად ღან-ი ყოფილიყო. ამ შემთხვევაში კი ფუძე იქნებოდა „ტორღ“. მეგრულში გვაქვს სიტყვა „ტორღო“, რაც ზოლებიანს ნიშავს და შინაარსობრივად ახლოს არის ზემოთხსენებულ სიტყვა „ტორგო“-სთან (ჭრელი). ტერმინი „ტორღალი“ გვხვდება სულხან-საბასთანაც, რაც განმარტებულია როგორც „ნატოლებასავით/ნატოლება“ (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 143). ამგვარად, ფუძე „ტორღ“ შემთხვევაშიც, უფრო ლოგიკური მეგრული წარმომავლობა ჩანს.

ბული შუა საუკუნეების რამდენიმე განსხვავებული შუშის კანდელის იდენტიფიცირება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ კუთხით კი ისაა, რომ მინის ნაწარმის გარდა, ადგილზე უხვად გვხვდება მინის წარმოებისას მორჩენილი წიდეები. ეს კი მიუთითებს, რომ მინის წარმოება ადგილზევე ხდებოდა და მინის ინდუსტრია აქ საკმაოდ მაღალ დონეზე იყო (სურ. 19-22).

განსაკუთრებით საყურადღებოა ასევე სხვადასხვა პერიოდისა და მასალისგან დამზადებული მძივები, რომლებიც ასევე ზედაპირული დათვალიერებისას ჩანს. ადგილზე ვნახეთ ე.წ. ხალიანი მძივი, სარდიონის, მინის, პასტისა და ბრინჯაოს მძივები. ეს საიუველირო ნაწარმი შეიძლება დათარიღდეს ელინისტური, ანტიკური, გვიან ანტიკური პერიოდითა და ადრეული შუა საუკუნეებით (სურ. 23).

ადგილზე მოიპოვება ასევე ლითონის არტეფაქტები: სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმნები და ბრინჯაოს ნაკეთობების ნატეხები. ერთ-ერთი ასეთი არტეფაქტია ბრინჯაოს მცირე ზომის მართკუთხა და ოდნავ მოღუნული თხელი ფირფიტა, რომელიც დაფარულია გეომეტრიული ორნამენტით – რომბისებური ფორმებითა და ორმაგი წრეებით. კვლევის ამ ეტაპზე უცნობია ამ ბრინჯაოს ნივთების ზუსტი დანიშნულება თუ თარიღები (სურ. 24-25).¹⁹

როგორია კერამიკისა თუ სხვა სახის არტეფაქტების კონცენტრაცია ნამოსახლარის ტერიტორიაზე?

როგორც უკვე აღინიშნა, ადგილობრივი გრუნტი ძალზე ქვიშიანი და ფხვიერია, რაც ბუნებრივი მახასიათებელია გაუდაბნობებული ადგილისათვის. ამის გამო, ნალექიანობის შედეგად პირით სამხრეთისაკენ მდებარე ფერდობების ზედაპირი ძალზე ცვალებადია – მოსული ნალექი ფხვიერ ქვიშიან მინას მარტივად აქცევს რბილ და თხევად ტალახად და მინის ზედაპირის გადარეცხვას იწვევს. მზე კი მალევე აშრობს ფერდობის ამ მონაკვეთებს და მალევე საქმე გვაქვს ფერდობის სახეცვლილ ზედაპირთან. ამაში ექსპედიციის წევრებიც დავრწმუნდით, როდესაც სხვადასხვა ექსპედიციებისას სამხრეთის პირზე მდებარე ფერდობების ერთი და იგივე მონაკვეთების დაზვერვისას შეცვლილი სურათი და განსხვავებული არქეოლოგიური მასალა დაგვხვდა.

იმავს ვერ ვიტყვით ხევების ჩრდილო ფერდობებზე, რომლებსაც კარგად არ უდგება მზის სინათლე. ამ მხარეს ფერდობები არ არის ფხვიერი ზედაპირით, არამედ დაფარულია პატარა, თუმცა საკმაოდ მყარი ფეხვიანი ბალახებით. ამის გამო, ასეთი ფერდობების ზედაპირზე კერამიკა თუ სხვა სახის არტეფაქტები უფრო ცოტა ჩანს. თუმცა, რიგ ადგილებში, მინის ეროზიით გამოწვეულ ნაპრალებში კარგად ჩანს, რომ არქეოლოგიური არტეფაქტები ამ ფერდობებზეც იმდენივეა, როგორც სამხრეთის პირზე არსებულ ფერდობებზე.

¹⁹ აღნიშნულ არქეოლოგიურ მასალასთან დაკავშირებით კონსულტაცია გამიწია არქეოლოგმა ქეთევან დიღმელაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას.

მართალია, ამ ქედის ფერდობების ზედაპირზე და ხევებში არსებული არქეოლოგიური მასალა ძალზე უხვია, რიგ ადგილებში კერამიკული ნაწარმის განსაკუთრებული კონცენტრაცია შეიმჩნევა. შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ეს გამონვეულია ბუნებრივი რელიეფის გამო – ბუნებრივი ნალექების მრავალსაუკუნოვანი ზემოქმედებით მთის ფერდობებზე არსებული კერამიკა დაილექა ყველაზე ვიწყო ადგილებში, სადაც რელიეფის გამო წყლის ნაკადები ერთდებოდა. თუმცა, დავაკვირდებით რა ამავე რელიეფს, ვფიქრობ არ შევცდებით თუ დავასკვნით, რომ კერამიკის განსაკუთრებული კონცენტრაცია გამონვეულია არა მხოლოდ ბუნებრივი ფაქტორებით, არამედ ნამოსახლარის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თუ მდიდრული უბნებით.

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ვრცელი მონაკვეთი, რომელიც სატორგეს მთის ქედის ბოლო – აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავს, სადაც ქედი მთავრდება და დაბლობი იწყება. აქ განსაკუთრებით მდიდრული და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა უხვად მოიპოვება ქედის ყველა მხარეს – ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ ფერდობებსა და ხევებში, ასევე დასავლეთით, სადაც ქედი მალღდება სატორგეს მთისკენ. სწორედ აქ იწყება ის 1 კმ-იანი დიდი ხევი, რომელიც სატორგეს მთას სამხრეთიდან ზღუდავს. ბუნებრივია, ასეთი ადგილი ამ დიდი დასახლებისათვის სტრატეგიული მდებარეობის იქნებოდა და აქვე იქნებოდა გარკვეული თავდაცვითი, სავაჭრო თუ სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულების ნაგებობებიც. სწორედ ამით უნდა იყოს გამონვეული ამ ადგილას არქეოლოგიური მასალის განსაკუთრებული კონცენტრაცია.²⁰

მეორე ასეთი უბანი კი მდებარეობს ქედის თითქმის შუა ნაწილში, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. აქაც გვხვდება ბუნებრივი თავისებურება – ქედისკენ მიემართება შედარებით გრძელი ხევი, რომლის ჩრდილოეთ მხარეს ამოზიდულია ცალკე მდგომი კლდე. ეს ხევი აქ კიდევ რამდენიმე მცირე ხევად იტოტება და ადის სატორგეს მთის ქედის ყველაზე გამორჩეულ და მარტივად ასასვლელ განშტოებაზე. ამ მცირე ხევებში, და განსაკუთრებით შუა ფერდობის ერთ ბაქანზე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ არქეოლოგიური მასალის ყველაზე დიდი კონცენტრაციაა მთელი მთის მასშტაბით. ამავე ხევის დასაწყისში, ფერდობის კიდეზე, სადაც მინა ჩამორეცხილია, დღემდე შემორჩენილი მინაში ჩამარხული ქვის სახურავიანი ქვევრი, რომელიც დღეისათვის ნახევრად არის დარჩენილი. ისევე როგორც მეზობელ ხევებში, და ამ ხევში განსაკუთრებით, მინის სხვადასხვა ფენებში ჩანს ერთად კონცენტრირებული ნახშირისა და თიხის ნაშთები. როგორც ჩანს, ეს ძველი სახლების კერები უნდა იყოს. ალაგ-ალაგ მინის ფენებში ჩანს ძვლებიც, რომელთა ნაწილი აშკარად ადამიანისაა, ნაწილი კი ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. როგორც ქვემოთ, სხვა თავებში ვნახავთ, ამ დიდი ნასახლარის ზემოთ, სატორგეს მთის ზედა ნაწილში, კლდეში ნაკვეთ დიდ ეკლესიამდე, არის სამი ხელოვნურად მოსწორებული მოზრდილი ფერდობი, სადაც ასევე მოიპოვება კერამიკა და გვხვდება რამდენიმე ნაგებობის ნაშთი.

²⁰ | უბნის ზოგადი კოორდინატები: 41°19'49.37"N 45°49'33.99"E.

როგორც ჩანს, ბუნებრივად ყველაზე იოლი და მოკლე ასასვლელი გზა სატორგეს მთის ზედა ნაწილში სწორედ ამ ხევზე და განშტოებაზე გადიოდა, რამაც გამოიწვია ამ მონაკვეთის სტრატეგიული მნიშვნელობა, ამ უბნის მჭიდროდ განაშენიანება და განსაკუთრებული სიმდიდრე. სწორედ ამით უნდა აიხსნას არქეოლოგიური მასალის განსაკუთრებული კონცენტრაცია აღნიშნულ მონაკვეთში.²¹

საერთოდ, აღნიშნული მთის მიმდებარე ტერიტორიაზე კერამიკული ნაწარმისა და ზოგადად არქეოლოგიური მასალის გავრცელება საკმაოდ დიდ ფართობზე, ცვალებადი სიხშირით გვხვდება. შეგვეძლო დეტალურად აღგვეჩინოთ ეს მონაკვეთები, თუმცა, იმისათვის, რომ მიკითხველმა უკეთესად აღიქვას სურათი, დავამზადეთ სპეციალური რუკა, რომელიც ზუსტად ასახავს სატორგეს მთის არქიტექტურულ ძეგლებსა და არქეოლოგიური მასალის გავრცელების არეალებს, სადაც მუქ ფერად არის აღნიშნული კერამიკისა და სხვა არტეფაქტების განსაკუთრებული კონცენტრაცია, ხოლო ბაც ფერად შედარებით მცირე კონცენტრაცია (რუკა 2).

ამ მხრივ საინტერესოა, რომ სატორგეს მთის ქედსა და მდ. იორს შორის მდებარე ქვიშიან დაბლობზე კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები ძალზე ფრაგმენტულად გვხვდება, რის გამოც, კვლევის ამ ეტაპზე, რთულია ითქვას გრძელდებოდა თუ არა აქაც ეს დასახლება.

აღსანიშნავია, რომ ამ დაბლობზე, მთასთან ახლოს, ჩანს გრძელი მართკუთხა და მრგვალი ნაგებობების მოხაზულობა, სადაც ასევე ჩანს კერამიკა.²²

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ დაბლობის ჩრდილოეთ კიდეზე, იქ სადაც მთავრდება ქვიშიანი მინდორი და იწყება მდინარის ბუჩქებითა და მცირე ხეებით დაფარული ჭალა, არის კონცხისებური ფორმის ტერიტორია, სადაც, ოდნავ შემადლლებულ ადგილზე, სხვადასხვა გრძელი ნაგებობების საძირკვლების კვალია.²³ საბჭოთა პერიოდის 1:25000 მასშტაბიან რუკაზე ამ ადგილზე მონიშნულია რუსული შემოკლებული სიტყვა ЗИМ., რაც მეველე-მეცხვარეთა ზამთრის სადგომს უნდა აღნიშნავდეს. ადგილზე მართლაც გვხვდება თანამედროვე სამშენებლო მასალის ნამტვრევები. თუმცა ამავე მონაკვეთში ასევე განსაკუთრებით ბევრია კერამიკული ნაწარმი, მათ შორის იმპორტული (დასავლური) კერამიკის ფრაგმენტები.

აღნიშნული ფაქტი ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ამ ნამოსახლარის დიდ მასშტაბებზე.

ბუნებრივია, ყველა სახისა და მასშტაბის ნასახლარს ესაჭიროებოდა სხვადასხვა სახის ნაგებობები. ჩვენ შემთხვევაში საინტერესოა, სხვადასხვა ადგილას, ფერდობებსა თუ

²¹ II უბნის ზოგადი კოორდინატები: 41°19'53.69"N 45°49'16.06"E.

²² ობიექტის კოორდინატები: 41°20'6.99"N 45°49'21.39"E. მართკუთხა ნაგებობის მიახლოებითი ზომები: 30X11 მ-ზე; წრიული ნაგებობის მიახლოებითი დიამეტრი: 8 მ.

²³ ობიექტის კოორდინატები: 41°20'27.08"N 45°50'4.26"E.

ხევებში, შეგვხვდა რიყის ქვების კონცენტრაციაც. ასევე ხშირად გვხვდება სხვადასხვა ზომის კრამიტი, ზოგი მთლიანად, ზოგიც ფრაგმენტულად. გვხვდება სხვადასხვა ზომის ძველი ლურსმებიც. ერთ ადგილზე ვიპოვეთ ქვისგან ნათალი აგურიც, რომლის ერთი კუთხე მოჭრილი აქვს, ხოლო მეორე მხარეს მრგვალი ჩაღრმავებაა (სურ. 26). როგორც ჩანს ეს უნდა ყოფილიყო ზღურბლის ნაწილი, რომელშიც კარი იყო ჩასმული. ზემოთ უკვე ვახსენეთ თიხის კერებისა და შიგნით ნახშირის ნაშთები. ამგვარად, ზედაპირული დაკვირვებით შეგვიძლია შემდეგი ვარაუდი გამოვთქვათ: ნამოსახლარის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო რიყის ქვით ნაგები შენობები (რაც, ზოგადად, კახეთ-ჰერეთის ძველი არქიტექტურისთვის არის დამახასიათებელი). დროთა განმავლობაში სახლები დაინგრა, ხოლო ზემოთ უკვე ნახსენები კლიმატური და გეოლოგიური პირობების გამო, შენობების საძირკვლები თუ კედლის ნაშთები ზედაპირზე აღარ იკითხება. შესაძლებელია ასევე ყოფილიყო ხის ნაგებობებიც, რომლების ნაშთებიც კი არ შემორჩა.²⁴

აღსანიშნავია ისიც, რომ ქედის მეორე მხარეს, ღრმა კლდოვან ხევეში კრამიკა მხოლოდ დასაწყისში გვხვდება. ეს ხევი თანდათან ვიწროვდება და რთული რელიეფის გამო, ხევის ბოლომდე გასვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. აქ ნასახლარები არ შეგვხვედრია.

წინამდებარე თავის რამდენიმე ბოლო განსახილველ საკითხებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ამ ნამოსახლარის სტატუსია. იყო თუ არა ეს დიდი ნამოსახლარი ქალაქი?

დავინწყით იმით, რომ ამ მიდამოებში არსებული ტოპონიმი „ნაქალაქარი“, ადგილობრივი მეველეებისა და მწყემსებისგან ჩაუნერიათ ჯერ კიდევ 1998 წელს, *გარეჯის კვლევის ცენტრის* ექსპედიციის წევრებს.²⁵ ეს შესაძლოა მართლაც ასახავდეს ამ ნასახლარის ძველ სტატუსს, თუმცა, უცნობია როდის და ჰქვია ამ ადგილს ეს ტოპონიმი.

ამავე დროს, როგორც ზემოთაც ვნახეთ, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ადამიანის ცხოვრების კვალი აქ სულ მცირე ელინისტური ეპოქიდან იწყება და XIII-XIV საუკუნეებამდე უწყვეტად გრძელდებოდა.²⁶ ამხელა ქრონოლოგიური მონაკვეთის გათვალისწინებით, კვლევის ამ ეტაპზე, შეუძლებელია ითქვას რა იყო აქ თავიდან – მცირე დასახლება, დაბა თუ პირდაპირ ქალაქი. შესაძლოა დასახლების ევოლუცია ამ საუკუნეებში სხვადასხვა დინამიკითა და თანმიმდევრობითაც განვითარებულიყო.

²⁴ მართალია დღეისათვის საშენი მასალისათვის ვარგისი ხეები მიმდებარე ტერიტორიაზე ძალზე ცოტა ხარობს ივრის ჭალებში და ერთი შეხედვით ეს შეიძლება გამორიცხავდეს აქ ძველი ხის ნაგებობების არსებობას, ქვემოთ ვნახავთ, რომ ივრის აუზში წყალსაცავებისა და საგუბარების გაშენებამდე, მისი ჭალები ძალზე ფართო ტერიტორიას მოიცავდა.

²⁵ ზ. სხირტლაძე, შ. ლეჟავა, მ. კიკნაძე, კიდევ ერთი უცნობი მონასტერი გარეჯში, გვ. 4.

²⁶ ამ მხრივ, ჩვენი კვლევა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მანამდე კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა ადგილობრივი არქეოლოგიური მასალა ზოგადად XI-XII საუკუნეებით დაათარილა, გარეჯის კვლევის ცენტრმა კი IX-XIII საუკუნეებით. საერთოდაც, ადგილზე ნანახი ბრინჯაოს ნივთების სათანადო შესწავლის შემდეგ, არ არის გამორიცხული, ნამოსახლარის ქრონოლოგიური ჩარჩო ბრინჯაოს ხანამდეც კი დაძველდეს.

ამავე დროს, ამ ეტაპზე უცნობია სატორგეს მთის ზედა ნაწილში არსებული სამი მოზრდილი ხელოვნური ტერასის მიმართება ამ ნამოსახლართან. იმ შემთხვევაში, თუ ეს ტერასებიც და მასზე არსებული ნაგებობები ქვემოთ არსებული დასახლების ნაწილი იყო, გამოდის, რომ საქმე გვაქვს ნაქალაქართან, რომლის დანიშნულებული სოციალური ფენის წარმომადგენლები სწორედ ამ ზედა ტერასებზე ცხოვრობდნენ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ტერასებზე არსებული კერამიკა, უფრო დაბალი ხარისხის ჩანს, ვიდრე ქვედა ნაწილში. შესაბამისად, ზედა ტერასები, შესაძლოა უშუალოდ იქ არსებული მონასტრის საკუთრება ყოფილიყო, და არა ქალაქის ზედა ნაწილი (ყოველ შემთხვევაში, მონასტრის დაარსებისას და შემდგომ პერიოდში. ამ ტერასებზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ).

აღსანიშნავია ისიც, რომ ნამოსახლარის გარშემო არ შეინიშნება გალავნის ნაშთები. ახლო-მახლო არც ციხე-სიმაგრეა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, აქ, სხვადასხვა მთაზე, მხოლოდ ორი კოშკია (?) გამოვლენილი. ასევე კლდეში ნაკვეთი ქვაბების კომპლექსი, რომელთა გამოყენება მტრის შემოსევისას სახიზრებად იქნებოდა შესაძლებელი. მართალია ადგილობრივი რელიეფი იძლევა შესაძლებლობას სწრაფი გახიზნისათვის ვინრო და რთულად მისასვლელ კლდოვან ხევებში, ვფიქრობთ დასახლებას მაინც უნდა ჰქონოდა გარკვეული თავდაცვითი ზღუდე(ებ)ი. თუმცა მათი კვალის არ არსებობის პირობებში, ვფიქრობთ, გარკვეული კითხვები დასახლების სტატუსის შესახებ კვლავ უპასუხოდ რჩება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნამოსახლარზე საკმაოდ ხშირად გვხვდება მაღალი ხარისხის მინის ნაწარმი – სამაჯურები, კანდელები, სხვადასხვა ჭურჭლის ნამსხვრევები. უხვადაა ასევე მინის წიდეები. გვხვდება რკინის წიდეებიც, რაც მეტყველებს ადგილზე მეტალურგიულ წარმოებაზეც. შესაბამისად, ნათელია, რომ XII-XIII საუკუნეებში ამ დასახლებაში მინის წარმოება საკმაოდ მაღალ დონეზე იყო.²⁷ ასევე აღვნიშნეთ, რომ ადგილზე

²⁷ დღევანდელი სახით გაუდაბნობამდე, ქიზიყის ამ მონაკვეთში სხვანაირი – უფრო რბილი და ქალაქური ცხოვრებისათვის შესაფერისი ჰავა და გარემო პირობები უნდა ყოფილიყო. აქვე უნდა ყოფილიყო ტყიანი ადგილებიც. სხვა შემთხვევაში, ვფიქრობთ, ამოუხსნელი დარჩებოდა ნამოსახლარის ტერიტორიაზე მეტალურგიისა თუ მინის წარმოების განვითარების პირობები. ბუნებრივია, რკინისა და მინის წარმოებას, მით უმეტეს ისეთ მაღალ დონეზე, როგორი არტეფაქტებიც მოიპოვება ნამოსახლარის ტერიტორიაზე, სადნობ ღუმელში მაღალი ტემპერატურის მიღწევა ესაჭიროებოდა. ამას კი დიდი რაოდენობის შუშის გარეშე ვერ მიაღწევდნენ. შუშის მთავარი რესურსი კი ივრის ქალები იქნებოდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მდ. იორი აღნიშნულ მონაკვეთში გაცილებით უფრო წყალუხვი მდინარე იყო, რაც უზრუნველყოფდა მისი ქალების უფრო დიდ მასშტაბებზე გავრცელებას, ხეების მრავალრიცხოვნობასა და მრავალფეროვნებას. XX საუკუნიდან კი მდ. იორის აუზში აშენდა რამდენიმე წყალსაცავი (სიონის, დალის) და წყალმიმღები (პაღდო, წყაროსთავი). აღნიშნული წყალმიმღებები კი მდ. იორის წყლის დიდ ნაწილს ანაწილებენ სიონის წყალსაცავში, თბილისის ზღვასა და კახეთის ვრცელ სარწყავ არხებზე (ვრცლად, იხ. ნ. ნითელაშვილი, გ. გულიაშვილი, მ. ბინაძე, მდინარე ივრის ჰიდროლოგიური ანგარიში, ზოგადი ჰიდროლოგიური დახასიათება და წყალდიდობის მოდელირება, საბოლოო ანგარიში (თბილისი, 2020), გვ. 12-41). ყოველივე ამან გამოიწვია მდ. იორის დაპატარავება ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში, რაც მისი ქალების ფართობის

მოიპოვება X-XIV საუკუნეების მაღალი ხარისხის ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტული მოჭიქული კერამიკა. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ დასახლება აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო და რეგიონალურ ვაჭრობაში.

ზემოხსენებული ვარაუდის გასამყარებლად საკმარისია დავხედოთ ამ პუნქტის ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობას უფრო დიდ მასშტაბში და ფართო პერსპექტივაში.

ზემოთ, ზოგადად უკვე მიმოვიხილეთ ამ პუნქტის ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა და მნიშვნელობა უძველესი დროიდან დღემდე. კამბეჩოვანის ეს მხარე ამიერკავკასიის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე იყო და არის დღემდე აქ არსებული ვრცელი ზამთრის საძოვრების გამო. ხშირად, სწორედ ეს რესურსი ხდებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს შორის სამხედრო კონფლიქტის გაჩაღების საბაბი. შედეგად, უძველესი დროიდან კამბეჩოვანის ტერიტორია სხვადასხვა კავკასიური სახელმწიფოს (ქართლის, სომხეთისა ან ალბანეთის) საზღვრებში ექცეოდა. საუკუნეების შემდეგ, ქართული სამეფო-სამთავროების აღმავლობისა და გაერთიანების პერიოდში ეს მხარე უკვე მტკიცედ აღმოჩნდა ქართველთა ხელში. ვრცელი ზამთრის საძოვრების გარდა, ამ მხარის მნიშვნელობა მასზე გამავალი უძველესი სავაჭრო-სატრანზიტო გზების გამოც დიდი იყო. ამ მიზეზების გამო კამბეჩოვანი ისეთივე ისტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული იყო, როგორც ქართლი, კახეთი, ჰერეთი და სხვა.²⁸

ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი დასახლებული პუნქტი ამ ადგილას შემთხვევით არ დაარსებულა. ცნობილია, რომ ძველად გზები სწორედ ხეობებსა და ხევებზე გადიოდა.²⁹ ჩვენთვის საინტერესო ნამოსახლარი კი ამ მხრივ ერთგვარ გზაჯვარედინზე მდებარეობდა: როგორც ბევრჯერ აღინიშნა, ეს ნამოსახლარი მდ. იორის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. მდ. იორის აუზი კი თავისთავად მნიშვნელოვან სავაჭრო გზას ემთხვეოდა, რომელიც სატორგეს მთის ნამოსახლარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით უძველეს ქალაქ ხორანთასკენ მიემართებოდა, ჩრდილო-დასავლეთით კი კუხეთ-კახეთის გავლით ერწო-თიანეთისკენ. ეს პუნქტი, დიდი ალბათობით, ხუნანი-რუსთავის დამაკავშირებელ გზის სისტემაშიც ექცეოდა. ჩვენთვის საინტერესო დასახლებასთანვე ახლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, მდ. იორს ჩრდილოეთიდან უერთდება ორი შედარებით მცირე მდინარე: მდ. ოლე და უსახელო მდინარე. მდ. ოლეს ხეობა აყოლებსაზე ჩრდილოეთით და შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით ბოდბისკენ მიდის, მისი შენაკადი მდ. კოდა ჩრდი-

შემცირებაზეც აისახა. ძველი სამჭედლოებისა და სადნობი სახელოსნოებისათვის უმნიშვნელოვანესი საწვავი მასალა – მუხის ხე – სწორედ ჭალების განაპირას, ზედა დონეზე ხარობს. მდინარის წყლის მოცულობის კლებამ პირველ რიგში სწორედ ამ ჯიშის ხის ფესვებს მოუსპო საარსებო წყარო. ასე რომ, ქიზიყის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის დღევანდელი გაუდაბნოების სურათმა არ უნდა შეგვაცდინოს. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში აქ მდ. იორის გაცილებით ვრცელი ჭალები იყო, რაც უზრუნველყოფდა განხილულ დასახლებას ხის მასალით, შეშითა და სხვა საარსებო რესურსებით.

²⁸ დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 33, 44, 77-79.

²⁹ ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში (თბილისი, 1966), გვ. 8.

ლოეთიდან მოედინება, ხოლო კიდევ ერთი შენაკადი – მდ. მწარე ოლე (მწარე წყალი) – ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოედინება და მისი ხეობა აყოლებს ხორნაბუჯისკენ მიდის. ამგვარად, სატორგეს მთის ნამოსახლარი თბილისი-რუსთავი-ხორანთა-ერწო-თიანეთი-ხორნაბუჯის დამაკავშირებელი სავაჭრო გზების ერთ-ერთ კვანძზე უნდა იყოს დაარსებული.³⁰ სწორედ ასეთი მდებარეობის გამო უნდა დანიშნულებულიყო ეს დასახლებული პუნქტი და დროის გარკვეულ მონაკვეთებში, მისი მასშტაბებისა და არქეოლოგიური მასალის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, შესაძლოა ქალაქის სტატუსიც ჰქონოდა.

ნანახი არქეოლოგიური მასალის მიხედვით აქტიური ცხოვრება აქ, სავარაუდოდ, XIII-XIV საუკუნეებში წყდება. ამ მოვლენის ზუსტი თარიღები, მიზეზები თუ გარემოებები, სათანადო ინტერდისციპლინარული კვლევების გარეშე, უცნობი დარჩება. მანამდე კი ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ.

XIII საუკუნეში პირველი მძიმე დარტყმა კამბეჩოვანმა ჯალალ ად-დინის შემოსევისას მიიღო. ჟამთააღმწერელის მიხედვით თბილისის აოხრების შემდეგ (1226 წ.) მისმა ჯარმა მოაოხრა საქართველოს სხვადასხვა მხარეები, მათ შორის „*კამბეჩიანისა და იორის პირთა*“.³¹

ამის შემდეგ იწყება მონღოლობის პერიოდი. ბუნებრივია, ამ მომთაბარე დამპყრობელისათვის კამბეჩოვანის ზამთრის საძოვრები განსაკუთრებული მნიშვნელობის იქნებოდა.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში ოქროს ურდოსა და ილხანთა (ჰულაგუიანთა) სახელმწიფოების მრავალწლიანი სამხედრო დაპირისპირების დროს, ძირითადად სავაჭრო გზებმა აღმოსავლეთ საქართველოდან შედარებით სამხრეთით გადაინაცვლა. ამას კი ქართული ქალაქების დასუსტება და დაქვეითება მოჰყვა. ისეთმა ქალაქებმა, როგორც იყო რუსთავი, ხუნანი და ხორნაბუჯი, საერთოდ შეწყვიტეს არსებობა.³² ჩვენთვის საინტერესო ნამოსახლარი კი სწორედ ამ ქალაქებს შორის მდებარეობს. გარდა ამისა, 1264 წელს აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი სწორედ ოქროს ურდოს ყაენმა ბერქამ ააოხრა. ჟამთააღმწერელის მიხედვით: „*ბერქამან მოაოჯრა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე, და მრავალი სული*

³⁰ სატორგეს სამხრეთით, დაახლოებით 30 კმ-ში მდებარეობდა ძველი ქალაქი ხუნანიც. მათ შორის რამდენიმე მთიანი ქედია. რთულია ითქვას აკავშირებდა თუ არა ამ ორ პუნქტს რომელიმე ხეობებზე გამავალი სავაჭრო გზა.

³¹ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), გვ. 178. ტერმინი „იორის პირი“ ჟამთააღმწერელთან და სხვა მემატიანეებთანაც ხშირად გვხვდება, როგორც კამბეჩოვანის სინონიმი, როგორც ერთნაირი გეოგრაფიული ცნება (დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 27). ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს ფრაზა გვხვდება ასევე სატორგეს ეკლესიის ერთ-ერთ ნაკანონ წარწერაში.

³² დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით) (თბილისი, 1975), გვ. 55.

ქრისტიანე მოსწყდეს, ხოლო ბერქა ყაენი დადგა მათა შინა გარეჯისათა³³. შესაძლოა სწორედ ამ პერიოდსა და მიზეზებს უკავშირდებოდეს სატორგეს დიდი ნამოსახლარის (ან ნაქალაქარის) არსებობის შეწყვეტა თუ არა, დამცრობა-დასუსტება მაინც. მითუმეტეს, როცა არლუნმა 1270-იან წლებში გადაწყვიტა საქართველოს აღწერა, მან „ცნა, რამეთუ უმრავლესი მოოწრებულ იყო, და უმეტეს პერეთი და კახეთი, რამეთუ კამბეჩის ვაკენი მოოწრებულ იყო გამოსვლასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაენი დიდი ბერქა.“³⁴ ამგვარად, 1270-იან წლებშიც კი ჩვენთვის საინტერესო მიდამოები კვლავ აოხრებული იყო და ცხოვრება არ განახლებულა.

აღსანიშნავია ასევე თემურ-ლენგის 1399 წლის ზამთრის შემოსევა, რომლის ერთ-ერთი მარშრუტი სწორედ ივრის ხეობა უნდა ყოფილიყო. თემურის მოლაშქრეებმა ააოხრეს ეს მხარე და დიდი რაოდენობით ცხვრები, ძროხები და სხვა სახის საქონელი იგდეს ხელთ.³⁵ ივრის ხეობის ეს ნაწილი კი, სადაც სატორგეს ნამოსახლარი მდებარეობს, როგორც აღინიშნა, სწორედ ზამთრის საძოვრებითაა მდიდარი. არ არის გამორიცხული ეს ნამოსახლარიც ამ ლაშქრობისას განადგურებულიყო.

ვახუშტი ბატონიშვილიც სწორედ ბერქა ყაენისა და თემურ-ლენგის შემოსევებს აბრალებს ივრის ხეობის ამ ნაწილის აოხრებასა და ქართული მოსახლეობისგან დაცლას: „გარნა იყო ალაზნის შესართავადმდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოწრდა გამოსვლასა ბერქასსა და შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელნი ჩანან დღესაც. შემდგომად დასხნეს ელნი ამათ ადგილთა აწინდელთა მეპატრონეთა...“³⁶ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადგილზე არსებული ზედაპირული არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგია სწორედ XIII-XIV საუკუნეების არტეფაქტებზე წყდება და ემთხვევა ვახუშტის ცნობებს ივრის ხეობის ამ მიდამოების დაცარიელების პერიოდის შესახებ.

მომდევნო საუკუნეებში კამბეჩოვანის დაცარიელებულ ტერიტორიაზე მიგრაციული პროცესები ძლიერდება. აოხრებულ დასახლებებზე სახლდებიან როგორც ქართველები (მაგ. ფშავლები), ასევე მომთაბარე თურქმანები.³⁷ კამბეჩოვანის ჩვენთვის საინტერესო – ზამთრის საძოვრებით მდიდარ მონაკვეთში თურქმანები დასახლდნენ, ამან კი ძველი ტოპონიმების დაკარგვა და უკვე თურქმანული ტოპონიმების დამკვიდრება გამოიწვია. ერთ-ერთი ასეთი ტოპონიმია სწორედ ყაჯირი/ყაჯირდალი. ფაქტია, რომ 1794-1799 წლებში, იოანე ბატონიშვილის მიერ ქართლ-კახეთის აღწერისას, ეს ტოპონიმი უკვე არსებობდა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, აღნიშნული დიდი ნამოსახლარი 1965 წლის

³³ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 254.

³⁴ იქვე, გვ. 274.

³⁵ იქვე, გვ. 142-144, 171-172, 177; კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე (თბილისი, 1974), გვ. 102-113.

³⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV (თბილისი, 1973), გვ. 528.

³⁷ დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 50.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეებმა იოანე ბატონიშვილთან მოხსენიებულ ყაჯირდალთან გააიგივეს.³⁸ ზემოთ უკვე ითქვა, რომ „დალ“ თურქმანულ ენებში მთას ნიშნავს, ხოლო „ყაჯირდალი“ ძერძერუკის/ფასკუნჯის მთას. ტოპონიმი „ყაჯირი“ ჩვენთვის საინტერესო ნამოსახლართან ორგან გვხვდება: ერთია ყაჯირის მთა – ნამოსახლარიდან სამხრეთით, დაახლ. 2,3 კმ-ში,³⁹ ხოლო მეორე ყაჯირის ტბა – ნამოსახლარიდან სამხრეთ-დასავლეთით, მთის სისტემის გადაღმა, დაახლ. 4 კმ-ში.⁴⁰ მართალია მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი – ზემოთ განხილული ნამოსახლარია დაფიქსირებული, ამ ტოპონიმის მატარებელი პუნქტებიდან საკმაოდ დაშორების გამო, რთულია ითქვას ნამდვილად ამ ნამოსახლარს გულისხმობდა თუ არა იოანე ბატონიშვილი თათრული ელემების ერთ-ერთ სადგომად.⁴¹ შესაბამისად, ამ ნამოსახლარის ნამდვილი სახელი კვლავ უცნობი რჩება.

სამწუხაროდ, ზედაპირული დაზვერვისას ვერ ვნახეთ ნუმისმატიკური მასალა. არადა, ისეთი მეტყველი ისტორიული წყარო, როგორც ისტორიული ფულია, უფრო გაამდიდრებდა ჩვენ ცოდნას ამ ძეგლის შესახებ.

საერთოდაც აღსანიშნავია, რომ დაზვერვებისას რამდენიმე ადგილზე შევამჩნიეთ ახლად ნათხარი ორმოები და გაგვიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადგილზე მუშაობდნენ შავი არქეოლოგები, ე.წ. „ოქროს მაძიებლები“. ეს ნამოსახლარი ამ მხრივაც საჭიროებს საჩქარო ყურადღებას, რათა უკანონო გათხრებით არ მოხდეს ძეგლის სხვადასხვა უბნის გაძარცვა და აღმოჩენილი არტეფაქტების უკანონო განკარგვა/გაყიდვა.

რომ შევაჯამოთ ეს თავი, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ძალზე დიდ და მნიშვნელოვან ისტორიულ დასახლებულ პუნქტთან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში (და შეიძლება ათასწლეულზე მეტი დროის განმავლობაშიც) არსებობდა. გარკვეული პერიოდი ის შეიძლება ქალაქიც ყოფილიყო, რომელიც ძველ საქარავნო-სავაჭრო გზაზე აღ-

³⁸ მეტი სიცხადისთვის მომყავს ციტატა: „...არ არის გამორიცხული ეს „თათრის ელემი“ საზამთრო საძოვრებზე ძველი ქართული მოსახლეობის ნასოფლარებზე სახლობდნენ. ამის საბუთია ის, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვახუშტი ქიზიყის ტერიტორიაზე ბევრი ნაოხარ-ნასოფლარის არსებობას მიუთითებს. ამისავე საბუთია მდ. ივრის ქვემო წელის მარჯვენა სანაპიროზე კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965 წ. დაზვერვების დროს მიგნებული ნასოფლარი ყაჯირი (იოანე ბატონიშვილის ყაჯირდალი), რომლის ტერიტორიაზე XI-XII საუკუნეების მასალა იქნა აკრეფილი, ხოლო მის მახლობლად ამართულ სალი კლდეების მასივში გამოკვეთილი ქართული ეკლესიის ნანგრევები აღმოჩნდა, რომლის კედლები თავის დროზე ფრესკებით ყოფილა მოხატული.“ (დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 9).

³⁹ ყაჯირის მთის კოორდინატებია: 41°18'38.26"N 45°49'32.35"E.

⁴⁰ ყაჯირის ტბის კოორდინატებია: 41°18'33.52"N 45°46'26.64"E.

⁴¹ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს ნამოსახლარი და მის ზემოთ არსებული კლდეში ნაკვეთი ეკლესია (სატორგეს ეკლესია – ნ. ჟ.) სწორედ კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965 წლის დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გახდა ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

მოცენდა, სადაც ყვაოდა ვაჭრობა, მესაქონლეობა და ადგილობრივი წარმოება (მინის ჭურჭლისა და ნაკეთობების, მოჭიქული კერამიკისა თუ მეტალურგიული ნაწარმის).

ეს დაკვირვება ემყარება მხოლოდ ადგილის ზედაპირულ არქეოლოგიურ დაზვერვებსა და ისტორიულ-გეოგრაფიულ დაკვირვებებს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად უფრო გავიღრმავებთ ჩვენ ცოდნას ამ ნამოსახლარის თუ ქალაქის შესახებ სათანადო ინტერდისციპლინარული კვლევებით.

სატორგეს სამონასტო კომპლექსი

ზემოთ უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ, რომ სატორგეს მთაში მდებარეობს კლდეში ნაკვეთი დიდი გუმბათიანი ეკლესია. ასევე სამი ხელოვნური ტერასა⁴² და რამდენიმე ნაგებობა (გეგმა 1; სურ. 27). იმის გამო, რომ კვლევის ამ ეტაპზე ამ ნაგებობებსა და ტერიტორიას ერთი სამონასტრო კომპლექსის შემადგენელ ნაწილებად მოვიაზრებთ, ნაშრომის ამ ნაწილში სწორედ მათ განვიხილავთ.

ხელოვნური ტერასები

ნამოსახლარიდან მთის ზედა ტერასებისაკენ ასვლა რამდენიმე ბილიკით შეიძლება. ორი ყველაზე მარტივი ბილიკი იწყება ნამოსახლარის ზემოთ უკვე ნახსენებ ორ ყველაზე საინტერესო უბანზე, სადაც კერამიკისა და სხვა არქეოლოგიური არტეფაქტების ყველაზე დიდი კონცენტრაციაა მიწის ზედაპირზე (ვრცლად იხ. ზემოთ). პირველი ბილიკი იწყება დიდი ხევის შესასვლელთან, სატორგეს მთის ქედის დასაწყისში. ეს ბილიკი ქედის სერზე გრძელდება და ზედა ტერასებამდე აღის. მეორე ბილიკი კი ქედის შუაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან აღის მთის განშტოებაზე, რომელიც თავისი მოყვანილობით ყველაზე განსხვავებულია სხვა განშტოებებთან შედარებით. ამ ქედზე ამავალი ბილიკი ქედის სერზე უერთდება პირველ ბილიკს.

კერამიკა ორივე ბილიკზე გვხვდება, თუმცა შუა ნაწილში წყვეტაა. დატერასებულ აღმართზე ასვლისას კი კვლავ იწყება. აღსანიშნავია, რომ ამ ტერასებზე არსებული კერამიკა შედარებით უფრო უბრალოა, ვიდრე ქვემოთ, ნამოსახლარის ტერიტორიაზე არსებული კერამიკა. აქა-იქ კრამიტის ნატეხები და რიყის ქვების კონცენტრაციებიც გვხვდება, რაც ამ ტერასებზე ოდესღაც არსებული ნაგებობების ტიპზე მიუთითებს.

სატრაპეზო/მიწისქვეშა სათავსო

ზედა ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი ძალზე საინტერესო ნაგებობის კვალი ჩანს.⁴³ ეს ნაგებობა, თავის დროზე, *გარეჯის კვლევის ცენტრის* ექსპედიციის წევრმა შ. ლეჟავამ ნახა და აღბეჭდა ფირზე (სურ. 28). ამ ძველ ფოტოზე ჩანს, რომ მიწით თითქმის მთლიანად დაფარულ ნაგებობას თაღოვანი გადახურვა ჰქონდა.⁴⁴ *გარეჯის კვლევის ცენტრის* ექსპედიციის წევრებმა აქ მონასტრის სატრაპეზოს არსებობა ივარაუდეს.⁴⁵

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის IV ექსპედიციისას (03.07.2021), როდესაც პირველად მოვინახულეთ სატორგეს მთის ტერასები და კულ-

⁴² ტერასების ზოგადი კოორდინატები: 41°19'57.20"N 45°48'60.00"E.

⁴³ ძეგლის კოორდინატები: 41°19'57.66"N 45°48'57.90"E.

⁴⁴ <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/325812/1/scan0003.jpg>

⁴⁵ ზ. სხირტლაძე, შ. ლეჟავა, მ. კიკნაძე, კიდევ ერთი უცნობი მონასტერი გარეჯში, გვ. 4.

ტურული ძეგლები, ეს ნაგებობა უკვე განსხვავებული სახით დაგვხვდა: ნაგებობის სახურავი ჩანგრეული იყო, ხოლო შიგნით დაგროვილი მინა ნათხარი (სურ. 29). როგორც ჩანს, აქაც შავმა არქეოლოგებმა იმუშავეს, რის შედეგადაც ძეგლი მძიმედ დააზიანეს. ზუსტად როდის მოხდა ეს, რთული სათქმელია. ამოთხრილ მინაზე, რომელიც უკვე დამჯდარი და გამაგრებულია, უხვად მოიპოვება სხვადასხვა სახის კერამიკა. ამ ვანდალური აქტის შედეგად გამოჩნდა, რომ მინაში არსებული ნაგებობის კედლები უხეშად დამუშავებული ქვით არის ნაშენი. კედლებზე შემორჩენილია შელესილობაც. განათხარი ნაწილის მიხედვით ნაგებობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა წაგრძელებული. მისი სიგანე 2,5 მ-ზე მეტი იყო, ხოლო სიგრძე 3 მ-ზე მეტი, თუმცა ნაგებობის დასავლეთ ნაწილი კვლავ მინით არის ამოვსებული და შეუძლებელია მისი ზუსტი ზომების აღება. ვფიქრობთ, დასაშვებია, აქ მართლაც მონასტრის სატრაპეზო ყოფილიყო (გეგმა 2). ასევე დასაშვებია აქ გარკვეული მინისქვეშა მონასტრის სამეურნეო სათავსო-დარანის არსებობაც. აქ არსებული კერამიკაც ძირითადად X-XIII საუკუნეებისაა.

კოშკი (?)

ამ ნაგებობიდან რამდენიმე მეტრში დასავლეთით, ხევისკენ დამხრობილ კლდის ზედაპირზე ჩანს ორი დიდი ნახვრეტი. ეს ორი ნახვრეტი სატორგეს კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში, საკურთხევლის თავზე ჩანგრეული სახურავია. ამგვარად, ეკლესია ამ მინისქვეშა ნაგებობიდან სულ 15-ოდე მეტრშია, თუმცა ეკლესიამდე მისასვლელად სულ სხვა ბილიკი მიდის.

ეს ბილიკი გრძელდება ამ ბოლო ტერასის თხემზე, სადაც ძალზე ბევრი ბუნებრივი ორმოა და გადაადგილებისას განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს. ტერასის შემდეგ ბილიკი გრძელდება კლდოვან ზედაპირზე – მთის ამ მონაკვეთის უმაღლესი კლდოვანი თხემის სამხრეთ მხარეს. მთის ამ მონაკვეთის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, რომელსაც სამ მხარეს უფსკრული ესაზღვრება, კიდევ ერთი ნაგებობის ნაშთია.⁴⁶ ამ ნაგებობის შესახებ პირველი ცნობები კვლავ *გარეჯის კვლევის ცენტრის* სტატიაში გვხვდება.⁴⁷ დღეისათვის ნაგებობისგან მხოლოდ ორი – ჩრდილო და დასავლეთ კედელია დარჩენილი, რომელთა სიმაღლე 1 მ-დეა. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვისგან. ნაგებობა შიდა მხრიდან შელესილი იყო სქელი ბათქაშით. სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილი ჩავარდნილმა ფერდობმა შეიწირა. სავარაუდოდ, ნაგებობა კვადრატული გეგმის იყო (გეგმა 3). თუ გავითვალისწინებთ მის მდებარეობას – მთის უკიდურეს დასავლეთ თხემზე, საიდანაც კარგად ჩანს ივრის ზეგანი და მთის უკანა ხეობა, შესაძლოა აქ სათვალთვალ კოშკი ყოფილიყო (სურ. 30-31).

ბილიკი აქ მკვეთრად უხვევს და მთის სამხრეთ ფერდობს მიუყვება. მარცხენა მხარეს

⁴⁶ ძეგლის კოორდინატები: 41°19'59.98"N 45°48'53.03"E.

⁴⁷ იქვე, გვ. 4.

ციცაბო კლდოვანი მასივია, მარჯვენა მხარეს კი უფსკრული, რომელიც ღრმა კანიონში ეშვება. ბილიკის ამ მონაკვეთზე სიარულისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. კოშკიდან (?) დაახლ. 100 მ-ში, კლდის მასივში, რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ჩანს შესასვლელი მონასტრის მთავარ ნაგებობაში – კლდეში ნაკვეთ გუმბათიან ეკლესიაში.

კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესია

როგორც უკვე აღინიშნა, ამ ძეგლის შესახებ, ისევე როგორც დიდი ნამოსახლარის შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში პირველ ზოგად ცნობებს დ. მუსხელიშვილის 1997 წლის წიგნში („ქიზიყის ძველი ისტორია“) ვხვდებით, სადაც აღნიშნულია, რომ ეს ძეგლები მონიხულეს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965 წლის დაზვერვითი ექსპედიციის ნევრებმა (იხ. ზემოთ). ხოლო უფრო დანვრილებით ცნობებს ამ ძეგლის შესახებ გარეჯის კვლევის ცენტრის სტატიის ვხვდებით, რომელიც 1998 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (იხ. ზემოთ). ქვემოთ შევეცდებით მაქსიმალურად ვრცელ ინფორმაციას მოვუყაროთ თავი ამ ძეგლის შესახებ.

მონასტრის მთავარ ნაგებობას – კლდეში ნაკვეთ დიდ გუმბათიან ეკლესიას⁴⁸ – შესასვლელი სამხრეთი მხრიდან ჰქონდა. დღეისათვის სამხრეთი კარი თითქმის ბოლომდე ამოვსებული ჩამოშლილი და გაქვავებული მიწით. თუმცა, ტაძარში შესვლა შესაძლებელია კარის ზემოთ მდებარე მოზრდილი სარკმელი-ლიობიდან.

გარეგნული დათვალიერებით ირკვევა, რომ სამხრეთი კარის დასავლეთ მხარეს კლდეში მცირე კულუარით არის ნაკვეთი. უშუალოდ სამხრეთ კარის გარე ფასადი ერთ ოთხკუთხა სიბრტყეზე ყოფილა მოსწორებული, ხოლო კარი და კარს ზედა ლიობი თაღოვან ქრილშია მოთავსებული. კარსზედა სარკმელი-ლიობის აღმოსავლეთით კიდევ ერთი – ნახევრად ამოვსებული სარკმელი ჩანს (სურ. 32-34).

კარსზედა სარკმელი-ლიობისკენ ასასვლელად საჭიროა მცირე ფერდობის ავლა, რომელიც ზემოდან ჩამოშლილი და გამაგრებული მიწისგანაა წარმოშობილი. ეს ფერდობი არ არის რთული ასასვლელი, თუმცა მაინც დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან გამაგრებული მიწის ზედაპირი მაინც ფხვიერია და დაგორების შემთხვევაში ქვემოთ უფსკრულის კიდემდე გაჩერება საკმაოდ რთული იქნება (სასურველია გამოვიყენოთ თოკები).

კარსზედა სარკმელი-ლიობიდან ეკლესიაში შესვლისთანავე ვხვდებით, თუ რა საოცარი მასშტაბის ეკლესიასთან გვაქვს საქმე.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ინტერიერი დაახლ. 1,5 მ-ით ამოვსებულია მიწით, მისი სიმაღლე მაინც შთამბეჭდავია. დიდ სივრცეს თავზე დაჰყურებს უყულო გუმბათი, რომელიც ორ თავისუფლად მდგომ ბურჯსა და საკურთხევლის კიდევს ებჯინება. ინტერიერის აღმოსავლეთ მხარეს ნალისებური ფორმის საკურთხეველია. კანკელი

⁴⁸ ძეგლის კოორდინატები: 41°19'57.52"N 45°48'57.20"E.

არ შემორჩენილა. საკურთხევლის ჩრდილოეთ მხარეს ღია სამკვეთლოა, ხოლო სამხრეთ მხარეს ღია ეკვდერი. ეკვდერს მცირე სარკმელიც ჰქონია, რომელიც ახლა ნაწილობრივ ამოქოლილია. ინტერიერის სივრცეები თაღებით უკავშირდება ერთმანეთს. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ ბურჯს აღმოსავლეთიდან მოზრდილი მიშენებაც ჰქონია, რომელიც დღეს სანახევროდ ჩანს და ცალი მხარე დაზიანებული აქვს. მისი დანიშნულება ამ ეტაპზე უცნობია (შესაძლოა ყოფილიყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირის სამყოფელი სივრცე). სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლები თაღნარით არის გაფორმებული. ჩრდილოეთ კედელში ორი კარია, რომელიც ეკლესიას დარბაზული ტიპის ეკვდერთან აკავშირებს. ეკვდერის კედლებიც თაღნარით არის გაფორმებული.

ინტერიერის კედლები მთლიანად ყოფილა შელესილი, თუმცა დღეისათვის შელესილობა ნაწილობრივ ჩამოცვენილია. დაზიანებულია ეკლესიის ჭერიც – არის ორი დიდი გამჭოლი ნახვრეტი: ერთი საკურთხევლის აბსიდას შუა ნაწილში, მეორე კი გუმბათის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან. დიდი, თუმცა არა გამჭოლი ნახვრეცია ჩრდილო ეკვდერის ჭერის დასავლეთ ნაწილშიც. შუა ეკლესიაში ჩამოშლილ კლდის მასასთან ერთად გდია მოზრდილი ხის ძელი. როგორც ჩანს, ოდესღაც დაზიანებული ეკლესია გაუმაგრებიათ, თუმცა უშედეგოდ (გეგმა 4; სურ. 35-39).⁴⁹

სატორგეს ქვაბოვანი ეკლესია, სხვადასხვა არქიტექტურული ნიშნებითა და მისი ეპიგრაფიკული ნიშნების მიხედვით (რასაც ქვემოთ ვრცლად შევეხებით), IX-X საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს.⁵⁰

ძეგლის მდგომარეობა საგანგაშოა. სახეზეა ნგრევის სწრაფი დინამიკა. როგორც

⁴⁹ იმისათვის, რომ მკითხველს უკეთესი წარმოდგენა ჰქონდეს ამ ძეგლის არქიტექტურის შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია ციტატის სახით მოვიყვანოთ გარეჯის კვლევის ცენტრის მიერ შედგენილი აღწერილობაც: „თითქმის მთლიანად არის ამოვსებული სამხრეთი კარიც — ეკლესიაში შესასვლელი ერთადერთი ლიობი. ამის გამო ახლა ეკლესიაში შეღწევა მხოლოდ კარს ზემოთ არსებული მაღალი, სწორკუთხა სარკმლიდან არის შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ინტერიერი ამჟამად სანახევროდ მინით არის დაფარული, თვალს მაინც იპყრობს მისი აზიდული პროპორციები, ხალვათი სივრცე. ესაა მაღალი, გუმბათოვანი ეკლესია მომცრო დარბაზული ტიპის ეკვდერით, რომელიც ჩრდილოეთი მხრიდან ეკვრის. უყელო გუმბათის ფართო, გაშლილი თალი საკურთხევლის კიდეებსა და ორ თავისუფლად მდგომ ბურჯს ებჯინებოდა. ნაღისებრი მოხაზულობის ფართო, შეკვერცხილ საკურთხევლს სამკვეთლო და სადიაკვნე ფართო თაღოვანი ლიობებით უკავშირდება. ასეთივე თაღოვანი ლიობებით იხსნება ისინი დარბაზისკენაც. ეკლესიის ინტერიერი საკმაოდ ჩაბნელებული უნდა ყოფილიყო – სინათლის ერთადერთ წყაროს კარისა და მის ზემოთ გამოკვეთილი სარკმლის ლიობები, აგრეთვე, სადიაკვნეს სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში გაჭრილი შედარებით ვიწრო სარკმელი წარმოადგენდა. როგორც ჩანს ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ეკლესია თავიდანვე იქნა შელესილი და თეთრი ფერის საღებავით დაფარული. ფერწერის კვალი ბათქაშის ზედაპირზე არსად არ ჩანს.“ (ზ. სხირტლაძე, შ. ლეჟავა, მ. კიკნაძე, კიდეც ერთი უცნობი მონასტერი გარეჯში, გვ. 4.).

⁵⁰ იქვე, გვ. 4. IX საუკუნეზე უნდა მიუთუთებდეს ეკლესიის სარკმლის სიდიდეც (დ. თუმანიშვილი, „საბერეები“-ს ეკლესიათა ხუროთმოძღვრება, დიმიტრი თუმანიშვილი, წერილები (თბილისი, 2024), გვ. 43).

აღინიშნა, ამ შთამბეჭქდავი გუმბათოვანი კლდეში ნაკვეთი ეკლესიის სახურავში ორი დიდი ნახვრეცია. 2021 წლის ივლისში ძეგლის მონახულებისას საკუთხეველის კონქის თავზე არსებული ნახვრეტი შედარებით მცირე იყო, ხოლო 2022 წლის 30 ოქტომბერს, ძეგლის ხელახალი მონახულებისას ეს ნახვრეტი საგრძნობლად გაფართოვებული დაგვხვდა. ჩამოცვენილი დაგვხვდა ასევე ამ ნახვრეტთან არსებული შელესილობა. ეს მძიმე ცვლილება სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში მოხდა (სურ. 40-41).

ნარწერები

ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია შელესილობა, რომელიც ძალზედ ცუდ მდგომარეობაშია. თუმცა, დიდი ალბათობით, სწორედ ამ გამაგრებული მიწის გამო, მეტნაკლებად მყარად არის კედლებზე მიკრული. შელესილობა, ამ გამაგრებულ მიწის ზედაპირთან ახლოს, განსაკუთრებით დასვრილია ტალახის შხეფებით. მიუხედავად შელესილობის ასეთი მდგომარეობისა, ჩვენ მაინც შევამჩნიეთ 20-მდე ძველი ქართული ნაკანრი და საღებავით შესრულებული ნარწერა. ეს ნარწერები, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, IX-XIX საუკუნეებით შემოიფარგლება. ქართული ნარწერების გარდა, ეკლესიის ბათქაშზე განიჩევა რამდენიმე არაქართული ნარწერა, რომელთა იდენტიფიცირება, ჯერ-ჯერობით, ვერ მოხერხდა. ნარწერათა ნაწილს ფარავს მიწის ფენა, თუმცა მუშაობის პროცესში მიწის ამ ფენის თვითნებური მოცილება შელესილობის დაზიანებისა და ჩამოშლის რისკებთან იყო დაკავშირებული. ამის გამო ამ ქმედებისგან თავი შევიკავეთ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული ნარწერების ნაწილი აკადემიური სახით 2022 წელს გამოქვეყნდა.⁵¹ ჩვენ ადგილზევე დეტალურად შევისწავლეთ ეს ნარწერები – ამოვიკითხეთ ტექსტები, ავზომეთ, გადმოვიღეთ პალეოგრაფიული პირები. წინამდებარე ნაშრომში ნარმოგიდგენთ ნარწერების ფოტოებს, პალეოგრაფიულ ასლებს, დედნისეულ ტექსტსა და მხედრულ ტრანსკრიფციას. ასევე შემოგთავაზებთ ნარწერების პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად დადგენილ სავარაუდო თარიღებსა და კვლევის წინასწარ დასკვნებს. ნარწერები დალაგებულია სახეობებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, ქრონოლოგიური პრინციპით.

⁵¹ ნ. ჟღენტი, ძველი ქართული ნარწერები გარეჯის სატორგეს კომპლექსის გუმბათიანი ეკლესიიდან..., გვ. 134-152. მანამდე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1998 წ-ის სტატიის დაფიქსირებულია ინფორმაცია ამ ნარწერათა არსებობის შესახებ. ასევე გამოქვეყნებულია ერთ-ერთი საღებავით შესრულებული ნარწერის (იხ. ქვემოთ ნარწ. №2) ფოტო (ზ. სხირტლაძე, შ. ლეჟავა, მ. კიკნაძე, კიდეც ერთი უცნობი მონასტერი გარეჯში, გვ. 4). ეს ფოტო ილუსტრაციის სახით გამოქვეყნებულია ასევე „გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები“ I ტომის შესავალ ნაწილში (დ. კლდიაშვილი, ზ. სხირტლაძე, გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I, ნაკვეთი პირველი, წმ. დავითოს ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.) (თბილისი 1999), გვ.15).

წარწერების ტექსტებში გამოყენებული პირობითი ნიშნები:

() – ქარაგმის გახსნა.

[] – აღდგენილი ადგილები.


... – დაზიანების გამო გამოტოვებული ადგილები.

{ } – უნებლიედ გამოტოვებული და გამოცემაში აღდგენილი ადგილები.

_ – წაუკითხავი გრაფემა.

< > – ზედმეტი ადგილები.


|² – სტრიქონების ნუმერაცია.



სატორგეს ეკლესიის საკურთხევლის შელესილობაზე არსებული წარწერების ერთიანი პალეოგრაფიული პირი (სურ. 42)

ბაურკვეველი ნუსხური წარწერა. IX-X სს.

ტექნიკური აღწერილობა: 1 სტრიქონიანი ნუსხური წარწერა მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, მიწის დონიდან 95 სმ-ზე. ნაწერია შავი ფერის საღებავით. წარწერის ფართობი: 248X33 სმ. ყველაზე დიდი გრაფემა: „მ“ – 27X20 სმ; ყველაზე პატარა გრაფემა: „ე“ – 11X9 სმ. თავბოლონაკლული. ქარაგმის ნიშანი: გრძელი და მოკლე სწორი ხაზი. დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო ცუდად იკითხება. პალეოგრაფიულ მსგავსებას ავლენს სინას მთის IX-X საუკუნეების ნუსხურ ხელნაწერებთან.⁵² ასევე სატორგეს სხვა ფრესკული წარწერების სიძველის გათვალისწინებით, წარწერას ზოგადად IX-X საუკუნეებით ვათარიღებთ (სურ. 43).



...ამს[ცასყოლ]თუქყოთოსთ[ი]...

...ამ(ი)ს [ხუსე] [ნ(მიდ)ა] თე(ვდო)რე თ თ(უი)სთ[რ] ...

ნიშანის მოსახსენებელი. IX-X სს.

ტექნიკური აღწერილობა: 1 სტრიქონიანი ნუსხური წარწერა მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, მიწის დონიდან 58 სმ-ზე. ნაწერია შავი ფერის საღებავით. წარწერის ფართობი: 58X8 სმ. ყველაზე დიდი გრაფემა: „ქ“ – 7 სმ; ყველაზე პატარა გრაფემა „ი“ – 1,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: მოკლე დახრილი სწორი ხაზი. დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო რთულად, თუმცა მაინც იკითხება. მსგავსი პალეოგრაფიის X საუკუნის

⁵² ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, მეორე შევსებული გამოცემა (თბილისი, 1973), გვ. 83, 85; <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00271070457-ms/?sp=16&st=image&r=-0.457,-0.04,1.913,0.805,0>

წარწერა გვხვდება ატენის სიონში.⁵³ სატორგეს სხვა ფრესკული წარწერების სიძველის გათვალისწინებით, წარწერას ზოგადად IX-X საუკუნეებით ვათარილებთ (სურ. 44).

ნი ყუა ჩჳ ყუ რჳ რჳ

ნიყუა ჩჳ ყუ რჳ რჳ

ნიშაი ქ(რისტ)ე შ(ეინყალ)ე ა(მი)ნ, იყ[(ა)ვ(ნ)] (?)

3

გაბრიელის მოსახსენებელი. IX-X სს.

ტიქნიკური აღწერილობა: 1 სტრიქონიანი მრგვლოვანი ნუსხური წარწერა მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, მინის დონიდან 55 სმ-ზე. ნაწერია შავი ფერის საღებავით. წარწერის ფართობი: 70X12 სმ. ყველაზე დიდი გრაფემა: „მ“ – 8 სმ; ყველაზე პატარა გრაფემა „ი“ – 2 სმ. ქარაგმის ნიშანი: გრძელი და მოკლე სწორი ხაზი. დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო რთულად, თუმცა მაინც იკითხება. შესაძლოა იყოს ბოლონაკლული (მარჯვენა მხარეს თაბაშირი ჩამოშლილია). წარწერის პალეოგრაფია საკმაოდ იშვიათია და მსგავსი ანალოგი რთულად იძებნება. სატორგეს სხვა ფრესკული წარწერების სიძველის გათვალისწინებით, წარწერას ზოგადად IX-X საუკუნეებით ვათარილებთ (სურ. 45).

ჩჳ ყუ რჳ რჳ


ჩჳ ყუ რჳ რჳ

ქ(რისტ)ე შ(ეინყალ)ეი გაბრიელ მონაი [შენი] (?)

⁵³ გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, ფრესკული წარწერები, I, ატენის სიონი (თბილისი, 1989), გვ. 135.

ფრაგმენტი. IX-X სს.

ტექნიკური აღწერილობა: 2 სტრიქონიანი ნუსხური წარწერა მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, ცენტრალურ ქვედა ნაწილში. ვინაიდან ტექსტი გაურკვეველია და ვერ დგინდება თავი და ბოლო, ზომების აღება შეუძლებელია. დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო ცუდად იკითხება. შესაძლოა იყოს თავბოლონაკლული. მსგავსი გრაფემა „ო“ გვხვდება ატენის სიონის 850 წლის ფრესკულ წარწერაში.⁵⁴ სატორგეს სხვა ფრესკული წარწერების სიძველის გათვალისწინებით, წარწერას ზოგადად IX-X საუკუნეებით ვათარიღებთ (სურ. 46).



ძმა ჩნძ
აქფუ...ჩ...

ძმ(ან)ო, ჩ(უე)ნმ[ან] |² უფა[ლმა]ნ...

⁵⁴ გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, ფრესკული წარწერები, I, გვ. 110-111.

ფრაგმენტი. IX-X სს.

ტექნიკური აღწერილობა: ერთი ნუსხური გრაფემა „ქ“ მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, ცენტრალური ნაწილის ზედა მარჯვენა მხარეს. ვინაიდან ტექსტი გაურკვეველია და ვერ დგინდება თავი და ბოლო, ზომების აღება შეუძლებელია. დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო ცუდად იკითხება. უნდა იყოს აფსიდას სხვა ფრესკული წარწერების თანადროული (სურ. 47).

ქ †
ქ[(რისტ)ე] (?)

ფრაგმენტი. IX-X სს.

ტექნიკური აღწერილობა: 1 სტრიქონიანი მრგვლოვანი ნუსხური წარწერის ფრაგმენტი მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, მარჯვენა კიდის ზედა ნაწილში. მიწის დონიდან 66 სმ-ზე. ნაწერია შავი ფერის საღებავით. წარწერის ფართობი: 24X10 სმ. ყველაზე დიდი გრაფემა: „ქ“ – 10 სმ; ყველაზე პატარა გრაფემა „შ“ – 5 სმ. ქარაგმის ნიშანი: გრძელი სწორი ხაზი. დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო რთულად, თუმცა მაინც იკითხება. ბოლონაკლულია. წარწერის რიგით IV გრაფემა მსგავსებას ავლენს სხვა თანადროულ წარწერებში დაფიქსირებულ ასო „დ“-სთან,⁵⁵ თუმცა სატორგეს ეკლესიის ამავე კედელზე შესრულებულ გაბრიელის მოსახსენებელ წარწერაში (წარწ. №3) მსგავსი მოხაზულობის გრაფემა, შინაარსის მიხედვით, „ბ“ უნდა იყოს. ამის გამო წაკითხვის ორივე ვერსიას გთავაზობთ. უნდა იყოს აფსიდას სხვა ფრესკული წარწერების თანადროული (სურ. 48).

ქჟ [ყბჟ]... ან ქჟ [ყყჟ]...
I ვერსია: ქ(რისტ)ე, [შ]დ[შ]...
II ვერსია: ქ(რისტ)ე, [შბჟ]...

⁵⁵ გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, ფრესკული წარწერები, I, გვ. 107; ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა (თბილისი, 2004), გვ. 208.

ფრაგმენტი. IX-X სს.

ტექნიკური აღწერილობა: 1 სტრიქონიანი მრგვლოვანი ნუსხური წარწერის ფრაგმენტი მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, მარჯვენა კიდის ქვედა ნაწილში. მინის დონიდან 41 სმ-ზე. ნაწერია შავი ფერის საღებავით. წარწერის ფართობი: 25X13 სმ. ყველაზე დიდი გრაფემა: „ქ“ – 13 სმ; ყველაზე პატარა გრაფემა „ე“ – 6 სმ. ქარაგმის ნიშანი: გრძელი სწორი ხაზი. დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო რთულად, თუმცა მაინც იკითხება. ბოლონაკლულია. უნდა იყოს აფსიდას სხვა ფრესკული წარწერების თანადროული (სურ. 49).

ქ[უსუ[უ]...

ქ(რისტ)ე, შ(ეინყალ)ე [უ]...

ფრაგმენტი. IX-X სს.

ტექნიკური აღწერილობა: 1 სტრიქონიანი ნუსხური წარწერის ფრაგმენტი მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, მარჯვენა ნაწილის შუა ნაწილში. მინის დონიდან 39 სმ-ზე. ნაწერია შავი ფერის საღებავით. წარწერის ფართობი, დაზიანების გამო, არ იზომება. დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო რთულად, თუმცა მაინც იკითხება. ბოლონაკლულია. უნდა იყოს აფსიდას სხვა ფრესკული წარწერების თანადროული (სურ. 50).

[ქუსუ[უ]...

ქ(რისტ)ე, ენ...

ფრაგმენტი. IX-X სს.

ტექნიკური აღწერილობა: 1 სტრიქონიანი (?) ნუსხური წარწერის ფრაგმენტი მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, მარცხენა ნაწილის ქვედა ნაწილში. მიწის დონიდან რამდენიმე სმ სიმაღლეზე. წარწერა შავი ფერის საღებავით. წარწერის ფართობი, დაზიანების გამო, არ იზომება. შესაძლოა იყოს ორ ან უფრო მეტ სტრიქონიანიც. დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო რთულად, თუმცა მაინც იკითხება. ბოლონაკლულია. უნდა იყოს აფსიდას სხვა ფრესკული წარწერების თანადროული (სურ. 51).

რუ[...]

ივ[ანე...](?)

უცხო დამწერლობით შესრულებული წარწერის ფრაგმენტი. IX-X სს.

ტექნიკური აღწერილობა: 1 სტრიქონიანი წარწერის ფრაგმენტი მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, მარჯვენა მხარეს, ქვედა ნაწილში. მიწის დონიდან რამდენიმე სმ სიმაღლეზე. წარწერა შავი ფერის საღებავით. წარწერის ფართობი, დაზიანების გამო, არ იზომება. დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო რთულად, თუმცა მაინც იკითხება. უნდა იყოს აფსიდას სხვა ფრესკული წარწერების თანადროული. შესაძლოა იყოს ძველი ბერძნული წარწერა. შესაძლოა ასევე წარმოადგენდეს ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობით შესრულებული კრიპტოგრამაც (სურ. 52).⁵⁶

ბერძნული წარწერის ვერსია:

[Π...ΜΥ...Δ]

⁵⁶ შეად.: ლ. ათანელიშვილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა (თბილისი, 1982), გვ. 124, 126, 128, 136, 309, 311.

უცხო დამწერლობით შესრულებული წარწერის (?) ფრაგმენტი. IX-X სს.

ტექნიკური აღწერილობა: გამოსახულება, რომელიც შეიძლება იყოს უცხო დამწერლობით შესრულებული კიდევ ერთი წარწერის ფრაგმენტი, მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ ნაწილზე შემორჩენილ შელესილობაზე, მარჯვენა მხარეს, ქვედა ნაწილში. გამოსახულება მიწის დონის ქვემოთ უნდა გრძელდებოდეს. ამის გამო ფართობი არ იზომება. ნაწერია შავი ფერის საღებავით. წარწერის დაზიანება: ტალახის გაქვავებული შხეფებისა და საღებავის გახუნების გამო ცუდად ჩანს. უნდა იყოს აფსიდას სხვა ფრესკული წარწერების თანადროული (სურ. 53).



წარწერის ფრაგმენტი. X-XI სს.

ტექნიკური აღწერილობა: გარდამავალი მხედრულით შესრულებული ნაკანრი წარწერის დასაწყისი მდებარეობს სამხრეთ ეკვდერის აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილ შელესილობაზე. წარწერა მიწის დონიდან 150 სმ-ზე მდებარეობს. წარწერის ფართობი: 8X5,5 სმ. შელესილობის ჩამოშლის გამო შემორჩენილია მხოლოდ პირველი რამდენიმე გრაფემა; ზოგი ადგილი ამოტეხილია. შესაძლოა ნაკითხვის ორი ვერსია (სურ. 54).




I ვერსია: ღეთ...

II ვერსია: უთ...

გურგენის მოსახსენებელი. XI ს.

ტექნიკური აღწერილობა: 1 სტრიქონიანი გარდამავალი მხედრულით შესრულებული ნაკანრი წარწერა მდებარეობს სამხრეთ ეკვდერის სამხრეთ კედელზე შემორჩენილ შელესილობაზე. მიწის დონიდან 56 სმ. წარწერის ფართობი: 60X29 სმ. ყველაზე დიდი გრაფემა: „ქ“ – 29 სმ; ყველაზე პატარა გრაფემა: „ა“ – 1,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: გრძელი და მოკლე სწორი ხაზი. დაზიანება: ბოლონაკლულია შელესილობის ჩამოშლის გამო; ზოგი ადგილი ამოტეხილია და ართულებს ტექსტის ამოკითხვას (სურ. 56).



ქრუეუბასიბნამსაძიოთსად[ა]შუაძისამოქლას...

ქ(რისტ)ე შ(ეინყალ)ე გურგ(ე)ნი, მ(ი)სა ძეით<ო>ც[ა], მე არსა, მე ქცუის...

შაჰის წარწერა. XVII-XVIII სს.

ტექნიკური აღწერილობა: 3 სტრიქონიანი მხედრული ნაკანრი წარწერა მდებარეობს სამხრეთ ეკვდერის თაღზე შემორჩენილ შელესილობაზე. მიწის დონიდან 144 სმ-ზე. წარწერის ფართობი: 16X6 სმ. (სურ. 57)

757
757¹ 757² 757³ 757⁴ 757⁵
757⁶

ესა
ესა ნიგნი მე დამინერია
შაქის

ესე |²ესე ნიგნი მე დამინერია |³შაქის.

16

ნარნერა. XVII-XVIII სს.

ტექნიკური აღწერილობა: 2 სტრიქონიანი მხედრული ნაკანრი ნარნერა მდებარეობს სამხრეთ ეკვდერის თაღზე შემორჩენილ შელესილობაზე. მიწის დონიდან 131 სმ-ზე. ნარნერის ფართობი: 8,5X4 სმ. (სურ. 58)

შეკრე
ქრსიუსისეკრე

[მ]იკ[ვ]ი
[რ]ა და ესა საყდარი.

[მ]იკ[ვ]ი |²[რ]ა და ესე საყდარი.

39

პავლე ბექურიძის წარწერა. XVIII-XIX სს.

ტექნიკური აღწერილობა: 2 სტრიქონიანი მხედრული ნაკანრი წარწერა მდებარეობს სამხრეთ ეკვდერის თაღზე შემორჩენილ შელესილობაზე. მიწის დონიდან 153 სმ-ზე. წარწერის ფართობი: 9X6,5 სმ. ამ წარწერის ქვემოთ არის კიდევ ერთი, სავარაუდოდ უფრო გვიანდელი მხედრული წარწერა, რომელიც არ იკითხება (სურ. 59).

ხელს ვაწერა მე პავლე
ბექურიძე

ხელს ვანერ<ა> მე პავლე |² ბექურიძე.

პავლე [ბექურიძის] წარწერა. XVIII-XIX სს.


ტექნიკური აღწერილობა: 2 სტრიქონიანი მხედრული ნაკანრი წარწერა მდებარეობს სამხრეთ ეკვდერის თაღზე შემორჩენილ შელესილობაზე. ხელისა და სახელის მიხედვით, წარწერა იმავე პავლე ბექურიძეს ეკუთვნის (სურ. 60).

ხელს ვან
პავლე

ხელს ვან{ერ} |² პავლე.

ნაკანრი გამოსახულები

ნარწერა №20-ის ქვემოთ, თაბაშირზევე, ამოკანრულია მხედარის გამოსახულება. შესაძლოა იყოს ამავე ნარწერის თანადროული და მეტიც – შესაძლოა წარმოადგენდეს ნარწერის ავტორის პორტრეტსაც (სურ. 63).



სამხრეთ ეკვდერის თაღის შელესილობაზე ამოკანრულია ირმებისა და ადამიანების გამოსახულებები. თარიღის განსაზღვრა ვერ ხერხდება. მსგავსი ანალოგების მიხედვით შუასაუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს.

მარჯვენა კიდეში ამოკანრულია, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის მხედრული აბეცე-დარიუმის დასაწყისი: **ქ. აბგ...** (სურ. 64)



წარწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი

აფსიდის ქართული და არაქართული საღებავით შესრულებული წარწერები

ეკლესიის აფსიდაში, სამხრეთ მხარეს შემორჩენილ შელესილობაზე 10 ცალკეული ქართული წარწერა განირჩევა. ამათგან, მხოლოდ 4 წარწერაა, რომლებიც მეტნაკლებად სრულად იკითხება.

წარწერა №1-ში შესაძლოა იხსენიებოდეს წმ. თევდორე. უცნობია, თუ ვისი სახელობის იყო ეს ეკლესია. იმ შემთხვევაში, თუ ამ წარწერაში მართლაც წმ. თევდორეს ამოვიკითხავთ, ეს შესაძლოა იყოს ირიბი მინიშნება ეკლესიის პატრონი წმინდანის შესახებ (წმ. თევდორე ტირონის?).

წარწერა №2 წარმოადგენს ვინმე ნიშაის მოსახსენებელს. როგორც ჩანს წარწერის ავტორი ატარებდა ძალზედ იშვიათ სახელს.⁵⁷ ვინ იყო ნიშაი – სატორგეს ეკლესიის მონესე თუ მომლოცველი, კვლევის ამ ეტაპზე უცნობია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გარეჯის პერიფერიულ მონასტრებში მომლოცველთა შესრულებული წარწერები შედარებით იშვიათად გვხვდება.⁵⁸ ამის გათვალისწინებით, ნიშაი, უფრო დიდი ალბათობით, სატორგეს ამ გუმბათიან ეკლესიასთან დაკავშირებული პირი, შესაძლოა მონესე ბერიც კი ყოფილიყო. იგივე შეიძლება ითქვას მომდევნო წარწერაზეც.

წარწერა №3 წარმოადგენს ვინმე გაბრიელის მოსახსენებელს. ნიშაის მსგავსად, გაბრიელიც უშუალოდ ამ ეკლესიასთან დაკავშირებული პირი უნდა ყოფილიყო. ორივეს მოსახსენებელი წარწერა, არც მეტი არც ნაკლები, ეკლესიის საკურთხეველში, კედლის შელესილობაზეა შესრულებული. ეს კი ამ პირთა დიდ მნიშვნელობაზე თუ პრივილეგიაზე უნდა მიუთითებდეს.

წარწერა №4 მართალია ფრაგმენტულად იკითხება და არც ერთი პირის სახელი არ გვხვდება, მაინც საკმაოდ საინტერესო ძეგლია. თუ ტექსტის ჩემეული აღდგენა სწორია და წარწერაში მართლაც გვხვდება სიტყვა „ძმანო“, შესაძლოა აქ იყოს მიმართვა სატორგეს ამ მონასტრის საძმოსადმი. ამავე დროს ტექსტი შესაძლოა წარმოადგენდეს ამონარიდს წმინდა წერილიდან (მოციქულთა ეპისტოლეებიდან?), თუმცა ტექსტი ზუსტად ასეთი თანმიმდევრობით წმინდა წერილში არ იძებნება.

⁵⁷ აღსანიშნავია, რომ სატორგეს ეს წარწერა დაგვეხმარა ზედა თმოგვის ერთ-ერთი წარწერის სწორად ამოკითვაში (იხ. მესხეთის კულტურის ძეგლები, 2023 წლის ექსპედიციების ანგარიშები (ადიგენი, ასპინძა, ახალციხე), ექსპედიციების ანგარიში მოამზადეს: ბ. გოზალიშვილი, მ. ბერიძემ, ლ. ნიქარიშვილმა, ა. იმედაშვილმა, ნ. ჟღენტმა, ნ. ხუსკივაძემ, ნ. ზუმბაძემ, შ. კოლუაშვილმა (თბილისი, 2024), გვ. 345), რომელშიც ასევე ნიშაი უნდა იხსენიებოდეს და არა ნოშაი, როგორც ეს აქამდე იყო ცნობილი (ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს: ვ. სილოგავამ, ლ. ახალაძემ, მ. ბერიძემ, ნ. სულავამ და რ. ყავრელიშვილმა (თბილისი, 2012), გვ. 56).

⁵⁸ დ. კლდიაშვილი, ზ. სხირტლაძე, გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, გვ. 5-15.

საკუროთხევლის შელესილობის საღებავით შესრულებული სხვა ნარნერები (№5-9) ფრაგმენტულად შემორჩა და, დიდი ალბათობით, სხვა მოწესე ბერებისა თუ მომლოცველების მოსახსენებლებს წარმოადგენს.

მართალია საკუროთხევლის ნარნერები, წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით არაფრის მომცემია, მათი მნიშვნელობა მაინც დიდია. პალეოგრაფიული ანალოგების მიხედვით ეს ნარნერები IX-X საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. საკუროთხევლის ქართული და არაქართული ნარნერები, ერთი ტექნიკით – შავი ან მუქი ყავისფერი საღებავითა და ფუნჯით არის შესრულებული, რაც მათ თანადროულად შესრულებაზე უნდა მიუთითებდეს. შესაბამისად, ეს მონაცემები უკვე მნიშვნელოვანია ქვაბოვანი ეკლესიის გამოკვეთის პერიოდის დასადგენად: ვინაიდან შელესილობა ეკლესიის თანადროული უნდა იყოს (მისი უკეთ განათების მიზნით), გამოდის, რომ თვითონ ეკლესიაც IX-X საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ეს კი კარგად შეესაბამება როგორც უშუალოდ ამ ეკლესიის არქიტექტურულ მონაცემებს, ასევე გარეგან სადარბაზო მშენებლობის ახალ ტალღას, რომელიც სწორედ ამ პერიოდში დაიწყო.⁵⁹ გარდა ამისა, ეს ნარნერები საკმაოდ საინტერესო და იშვიათი პალეოგრაფიული ნიმუშებია ძველი ქართული დამწერლობის ძეგლებს შორის.

ზემოთ უკვე რამდენჯერმე ვახსენე არაქართული ნარნერები. ვგულისხმობ შელესილობის ამ მონაკვეთის ქვედა მარჯვენა მხარეს არსებულ ორ ნაწილს, სადაც ასევე გვხვდება შავი საღებავით შესრულებული უცხო ნარნერები (№10-11).

აღნიშნული უცხო ნარნერების სხვადასხვა ნაწილები შევადარე შუა საუკუნეების სხვადასხვა დამწერლობის ნიმუშებს, მათ შორის ბერძნულს, სომხურს, ალბანურსა და სირიულს. ამ უცხო ნარნერებს შორის, ნარნერა №10-ის ცალკეული ნაწილები, ჩემი აზრით, ყველაზე ახლოს ძველ სირიულ დამწერლობის ნიმუშებთან დგას. ამის ზუსტად დასადგენად დახმარებისათვის მივმართე ძველი სირიული დამწერლობისა და ლიტერატურის მსოფლიოში ცნობილ სპეციალისტს, ოქსფორდის პროფესორს, ბატონ სებასტიან ბროკს. მისი დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ ნარნერის ცალკეული გრაფემები მართლაც ჰგავს ძველი სირიული დამწერლობის ასოებს, საერთო ჯამში ეს ნარნერები ვერ ჩაითვლება შუა საუკუნეების სირიული დამწერლობის ნიმუშებად.⁶⁰ ნარნერა შესაძლოა ძველი ბერძნულით იყოს ნაწერი, თუმცა ამის ზუსტად თქმა შეუძლებელია. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ნარნერა №11-ის (თუ ეს მართლაც ნარნერაა და არა რაიმე გამოსახულება) დიდი ნაწილი მინით არის დაფარული და შეუძლებელია მასზე უფრო დეტალური დაკვირვება. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მინის ამ ფენის თვითნებური მოცილება შელესილობის დაზიანებისა და ჩამოშლის რისკებთან არის დაკავშირებული, რის გამოც ამ ქმედებისგან თავი შევიკავე. ამგვარად, ეს უცხო ნარნერები დღემდე არ არის იდენტიფიცირებული.

⁵⁹ ზ. სხირტლაძე, შ. ლეჟავა, მ. კიკნაძე, კიდეც ერთი უცნობი მონასტერი გარეგანში, გვ. 4.

⁶⁰ აქვე დიდ მადლობას ვუხდის ბატონ სებასტიან ბროკს გულითადი დახმარებისათვის. ასევე ქალბატონ თამარ ოთხმეზურს, რომელმაც დამაკავშირა ბატონ სებასტიანთან.

ნაკანრი წარწერები

ფრესკული წარწერებისგან გასხვავებით, ეკლესიის ნაკანრი წარწერები წყაროთ-მცოდნეობითი თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლებია. თუმცა, როგორც ვნახეთ, მიუხედავად იმისა, რომ წარწერის ტექსტები თითქმის სრულად იკითხება, მათი აღდგენა ასეთივე სიზუსტით ვერ შევძელით. ხოლო რისი აღდგენაც შევძელით, ძალზე საინტერესო მინიშნებებს შეიძლება შეიცავდეს სატორგეს ამ გუმბათიანი ეკლესიის ისტორიისათვის.

ნაკანრ წარწერებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოთ მოყვანილი წარწერა №13-ია. მასში მოხსენიებულია ვინმე კვირიკე მეფე. ვინ უნდა იყოს ხსენებული პირი?

პალეოგრაფიულად ეს წარწერა, ზოგადად, X-XI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. ცნობილია, რომ კახეთის სამთავროსა (საქორეპისკოპოსოს) და შემდგომ კახეთ-ჰერეთის სამეფოს ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მართავდა სახელი კვირიკეს მატარებელი ხუთი ისტორიული პირი:

1. ქორეპისკოპოსი კვირიკე I არეგმანელი – 893-918 წწ.;
2. ქორეპისკოპოსი კვირიკე II არეგმანელი – 929-976 წწ.;
3. მეფე კვირიკე III დიდი არეგმანელი – 1010, 1014-1039 წწ.;
4. მეფე გაგიკ-კვირიკე ბაგრატუნ-კვირიკიანი – 1039-1058 წწ.;⁶¹
5. მეფე კვირიკე IV ბაგრატუნ-კვირიკიანი – 1084-1104 წწ.

ბუნებრივია, აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებული კვირიკე მეფე ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირთან უნდა გავაიგივოთ. ამაში შესაძლოა დაგვეხმაროს წარწერაში მოხსენიებული კვირიკეს წოდება (მეფე), ისტორიული გეოგრაფია და წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები. დავინყოთ წოდებით.

⁶¹ თავის მმართველობის ბოლოსკენ რანთა და კახთა მეფე კვირიკე III უმემკვიდრეოდ დარჩა. ამის გამო მან იშვილა ტაშირ-ძორაკეთის მეფის – დავით უმინაწყლოს ერთ-ერთი ვაჟი გაგიკი, რადგან ის ამავე დროს კვირიკეს დის შვილიც იყო. ბიძის საპატივცემულოდ გაგიკმა დაირქვა მისი სახელი და ასევე კვირიკედ იწოდებოდა. ამავე სახელს უწოდებს ის თავს ე.წ. მელქისედეკის დანერილში (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა (თბილისი, 1984), გვ. 30). კვირიკედ, ისევე როგორც გაგიკად, ის იწოდება ასევე მატთანე ქართლისაში (მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I (თბილისი, 1955), გვ. 296-297). მხოლოდ გაგიკად იწოდება ის ხირსის წარწერაში (კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თეიმურაზ ბარნაველმა (თბილისი, 1962), გვ. 149-150). არსებობს მოსაზრება, რომ ეს მეფე მისი მოღვაწეობის პირველი წლების შემდეგ სახელ გაგიკს უფრო იყენებდა (ლ. თავაძე, ქორეპისკოპოსი და მეფე, კახეთის პოლიტიკური ისტორია VIII-IX საუკუნეებში (თბილისი, 2022), გვ. 309, 318, 339, 346). თუმცა ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში გაგიკი დაფიქსირებულია კვირიკეს სახელითაც. შესაბამისად, სახელის მიხედვით, არის ალბათობა რომ სატორგეს წარწერაში სწორედ ეს პირი იხსენიებოდეს.

საქმე ისაა, რომ ნარატიული წყაროების მიხედვით (მატიანე ქართლისა, ვახუშტი ბაგრატიონი), კახეთის სამთავროს მმართველმა ქორეპისკოპოსებმა (მთავრებმა) მეფის ტიტული მას მერე მიიღეს, რაც შეიერთეს რანის (იგივე ჰერეთის) სამეფო. ეს კი უნდა მომხდარიყო 1003-1008 წლებს შორის, დავით არევემანელის მმართველობისას. მეფის ტიტული იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ აქედან მოყოლებული კახეთ-ჰერეთის მეფეთა ტიტულატურის თანმიმდევრობა სწორედ მეფის ტიტულის მემკვიდრეობის მიხედვით დალაგდა – „რანთა და კახთა მეფე.“⁶² შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი კვირიკედან, სატორგეს წარწერაში მეფის ტიტულით მოხსენიების გამო, შეგვეძლო ავტომატურად გამოგვერიცხა ქორეპისკოპოსები კვირიკე I და კვირიკე II. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მატიანე ქართლისას ავტორი და ვახუშტი ბატონიშვილი ამ ორ კვირიკეს მხოლოდ ქორეპისკოპოსის ტიტულით იხსენიებენ,⁶³ თანადროულ დოკუმენტურ წყაროში – ე.წ. „ფავენელის დანერილის“ მიქაელ მემღვიმისეულ მინაწერში კახეთის ქორეპისკოპოსები ფალლა (ფადლა) და კურიკე⁶⁴ კახთა მეფეებად იწოდებიან. საბუთის აკადემიურ გამოცემაში „ფავენელის დანერილი“ IX საუკუნის II ნახევრით არის დათარიღებული, ხოლო მიქაელ მემღვიმის მინაწერი IX საუკუნის ბოლოთი. შესაბამისად, მათში მოხსენიებული კახთა მეფეები ფალლა და კურიკე გაიგივებულეები არიან ფადლა I და კვირიკე I-თან.⁶⁵ არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ ეს საბუთი შედგენილია არა IX საუკუნეში, არამედ 918-922 წლებში, ხოლო მასში მოხსენიებული კახთა მეფეები ფალლა და კურიკე არიან არა ფადლა I და კვირიკე I, არამედ ფადლა II და კვირიკე II.⁶⁶ თუმცა წინამდებარე კვლევისათვის არსებითი მნიშვნელობა არც აქვს რომელი ვერსიაა სწორი. ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ფავენელის საბუთში მოხსენიებული კვირიკე, კვირიკე I იყო თუ კვირიკე II, XI საუკუნის II ნახევრისა და XVIII საუკუნის ნარატიულ წყაროებში მოხსენიებულია როგორც კახთა ქორეპისკოპოსი, ხოლო თანადროულ დოკუმენტურ წყაროში – „ფავენელის დანერილში“ – როგორც კახთა მეფე.

ამ მიზეზების გამო, სატორგეს ეკლესიის ამ ნაკანრ წარწერაში მოხსენიებული კვირიკეს მეფის იდენტიფიკაციისას, მეფის წოდებაზე დაყრდნობით, თეორიულად, ვერც კვირიკე I-ისა და ვერც კვირიკე II-ის კანდიდატურას ვერ გამოვრიცხავთ.⁶⁷

⁶² ლ. თავაძე, ქორეპისკოპოსი და მეფე, გვ. 290-291. ი. ფალავა ფიქრობს, რომ მეფის ტიტული პირველად კვირიკე III არევემანელმა მიიღო (ი. ფალავა, სამ განზომილებაში მოღვაწენი: კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულება, ქრონოსი, 1 (თბილისი, 2020), გვ. 50).

⁶³ მატიანე ქართლისა, გვ. 262-265, 268, 271; ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 132-133, 135, 137, 141, 557, 559-560, 798-800.

⁶⁴ წერილობით ძეგლებში სახელი კვირიკეს ვარიანტები „კურიკე“ და „კკურიკე“ ასევე გვხვდება. ამაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებ.

⁶⁵ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 16-19.

⁶⁶ ლ. თავაძე, ქორეპისკოპოსი და მეფე, გვ. 229, 246-247, 258-259, 264.

⁶⁷ ტიტულატურაზე საუბარს დავასრულებთ ზედაზნის კანკელით. ამ სიძველეზე ორი ისტორიული პირის ძალზე დაზიანებული გამოსახულებაა, რომელთა თანმხლებ წარწერაში იხსენიებიან „ურდუხ

რაც შეეხება ისტორიულ გეოგრაფიას.

როგორც ზემოთაც ვახსენეთ, სატორგეს მონასტერი მდებარეობდა ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულში, რომელსაც კამბეჩოვანი ერქვა. ეს პროვინცია ძირითადად რანთა სამეფოს საზღვრებში იყო, თუმცა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში პროვინციის ნაწილი კახთა სამთავროშიც შედიოდა და საზღვარი სწორედ ჩვენთვის საინტერესო ძეგლის მიდამოში უნდა გავლებულიყო (იხ. ზემოთ). ამასთანავე, ნარნერაში თითქოს საუბარია კვირიკე მეფის მიერ მონასტრისათვის (?) იორის პირზე გარკვეული მიწის (?) ბოძებაზე. შესაბამისად, ეს კვირიკე მეფე, ვფიქრობ, იორის პირის, ანუ კამბეჩოვანის მფლობელი უნდა ყოფილიყო (ამაზე ვრცლად ქვემოთ). სამწუხაროდ, უცნობია ზუსტად რომელ სახელმწიფოში შედიოდა სატორგეს მონასტერი აღნიშნულ პერიოდში. შესაძლოა კვირიკე III-მდე, გარკვეული ხნით ამ მიწებს კვირიკე I და კვირიკე II-ც ფლობდნენ, რა დროსაც შეიძლება დაფუკავშიროთ ამ ნარნერის გაკეთება. შესაბამისად, ისტორიული-გეოგრაფიული პრინციპითაც რთულია კვირიკე I-სა და კვირიკე II-ს გამოირიცხვა. ისევე როგორც გაგიკ-კვირიკესი და კვირიკე IV-ის გამორიცხვა, რადგან ამ მიდამოებს პერიოდულად რანთა და კახთა ეს მეფეებიც ფლობდნენ.⁶⁸

მ(ეფ)ე“ და „...ებისკო...“. გამოსახული პირების საერო ჩაცმულობის გამო, მიჩნეულია, რომ ერთ-ერთი პირი ოვსთა მეფე ურდურეა, ხოლო მეორე ქორეპისკოპოსი კვირიკე III დიდი (კახეთის ისტორიული ძეგლების ნარნერები, გვ. 68-76; თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება (თბილისი, 2017), გვ. 269; ი. ფალავა, სამ განზომილებაში მოღვაწენი: კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულება, გვ. 48). სწორედ ქორეპისკოპოსის ტიტულის მიხედვით გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ აქ გამოსახული უნდა იყოს ქორეპისკოპოსი კვირიკე II (ლ. თავაძე, ქორეპისკოპოსი და მეფე, გვ. 351). კანკელის გამოსახულებათა და ნარნერის დაზიანების გამო, ორივე ვარიანტი თანაბარი წარმატებით არის მისაღები. კვირიკე III-ის შემთხვევაში კი მართლაც უცნაურია, რატომ იხსენიებოდა ეს დიდი მეფე ისევე ქორეპისკოპოსის ტიტულით? (თუ ნარნერის თავბოლონაკულ სიტყვა „...ებისკო...“ მართლა ასე აღდგება). თუმცა, თანადროულ ეპიგრაფიკული ძეგლებიდან (ალავერდის კანკელის ნარნერა, თორღას ნარნერა) ჩანს, რომ კახეთ-ჰერეთის მეფეები, მეფის ტიტულთან ერთად ქორეპისკოპოსის წოდებასაც ინარჩუნებდნენ (ი. ფალავა, სამ განზომილებაში მოღვაწენი: კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულება, გვ. 49, 55). საერთოდაც, აღნიშნულ პერიოდში ამა თუ იმ მმართველის სამეფო თუ სამთავრო ტიტულატურა ძალზე რთული საკვლევი საკითხია, რადგან ხშირად მეფის ტიტული ნომინალურიც იყო და არ შეესაბამებოდა რეალობას. ხშირად ერთი და იმავე ქვეყნის მეფედ ორი სხვადასხვა პირიც იწოდებოდა. იყო შემთხვევები, როცა ქვეყანას ორი ან მეტი თანამოსაყდრეც მართავდა და ყველას მეფის ტიტული ჰქონდა (ლ. თავაძე, ქორეპისკოპოსი და მეფე, გვ. 266-267, 282-283, 295-296, 302, 354; ტიტულატურის შესახებ ასევე იხ.: ი. ფალავა, სამ განზომილებაში მოღვაწენი: კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულება, გვ. 45-79). ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია ბოლო წლებში სოფ. კლდეისის (ქვემო ქართლი) ეკლესიაში აღმოჩენილი, სავარაუდოდ 1092-1094/5 წლების ნარნერა, რომელშიც ლიპარიტ ბაღვაში რანთა მეფედ იწოდება (ვრცლად, იხ. თ. გოგოლაძე, კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის უცნობი ნარნერები, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, 11 (თბილისი, 2024), გვ. 582-610). შესაბამისად, ტიტულატურა ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა ხშირად, სხვადასხვა წყაროთმცოდნეობითი პრინციპით, არაზუსტი ინდიკატორიც შეიძლება იყოს.

⁶⁸ ლ. თავაძე, ქორეპისკოპოსი და მეფე, გვ. 335-353, 374-384.

დაგვრჩა პალეოგრაფია.

მართალია, პალეოგრაფია არც ისეთი ზუსტი სამეცნიერო სფეროა ზუსტი თარიღების დასადგენად, კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე სანდოდ სწორედ წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი გვესახება.

როგორც აღინიშნა, წარწერა ნაწერია გარდამავალი მხედრულით. ეს არის ძველი ქართული დამწერლობის სპეციფიკური სტილი, რომელიც ქართულ მნიგნობრობაში X-XII საუკუნეებში იყო გავრცელებული. ეს იყო გარდამავალი ეტაპი ნუსხური დამწერლობიდან მხედრულზე. გარდამავალი მხედრულით ნაწერ წარწერებში გვხვდება უკვე მომრგვალებული თუ გამხედრულებული ნუსხური გრაფემები.⁶⁹

წარწერა №13-ის სხვადასხვა გრაფემები ავლენს პალეოგრაფიულ მსგავსებას შემდეგ ნაკანრ ეპიგრაფიკულ ძეგლებთან: გარეჯის მრავალწყაროს ეკლესიის გიორგი ლავრელისა და უცნობი პირის XI საუკუნის წარწერებთან;⁷⁰ თორის ფოთოლეთის ეკლესიის შალვასა და თორნიკეს XI საუკუნის წარწერებთან;⁷¹ სვანეთში: ადიშის მაცხოვრის ეკლესიის სინელის XI საუკუნის წარწერებთან, აცის (იელის) მთავარანგელოზთა ეკლესიის შიო ანგალვიანის XI საუკუნის წარწერასთან, იფრარის მთავარანგელოზის ეკლესიის საღირ არმანიანის XI საუკუნის წარწერა, იფხის წმ. გიორგის ეკლესიის ივანეს XI საუკუნის წარწერა (სიმაღლეში ნაგრძელებული გრაფემები განსაკუთრებით გავს სატორგეს კვირიკე მეფის წარწერას), ლატალის მაცხვარიშის ეკლესიის ბენდეს X საუკუნის II ნახევრისა და გიორგი კვირიკიანის X-XI საუკუნეების წარწერა, ჩვაბიანის მთავარანგელოზის ეკლესიის ამროლას X-XI საუკუნეების წარწერა, ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის გიორგი კვირიკესძის XI საუკუნის წარწერა.⁷²

როგორც ვხედავთ, სატორგეს გარდამავალი მხედრული დამწერლობით შესრულებული წარწერა კვირიკე მეფის მოხსენიებით მსგავსებას ავლენს X-XI საუკუნის, უფრო მეტად კი XI საუკუნის ეპიგრაფიკულ ძეგლებთან. ამის გამო, წარწერაში მოხსენიებულ კვირიკე მეფის გაიგივება კვირიკე I-თან, ასეთ ადრეულ პერიოდში გარდამავალი მხედრული წარწერების დიდი იშვიათობის გამო, მხოლოდ თეორიულ დონეზეა დასაშვები.

⁶⁹ ი. ჯავახიშვილი დამწერლობის ამ გარდამავალ ეტაპს „ნუსხა-ხუცური მრგვლოვანი“ უწოდა და მისი გავრცელება ხელნაწერების მიხედვით XI-XII საუკუნეებით განსაზღვრა (ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია (თბილისი, 2024), გვ. 142-143). ვ. სილოგავამ კი გამოიჯნა რბილ და მყარს სანერ მასალაზე გაკეთებული ამ დამწერლობის ტიპები (ვ. სილოგავა, წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს.), პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა (თბილისი, 1999), გვ. 32).

⁷⁰ იქვე, გვ. 140, 171.

⁷¹ თ. გოგოლაძე, თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო (თბილისი, 2019), გვ. 50, 56.

⁷² სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ (თბილისი, 1988), გვ. 232-234, 237, 265, 267, 277-278, 311-312, 372, 392.

საერთო ჯამში, სახელის, ტიტულატურის, ისტორიული-გეოგრაფიისა და პალეოგრაფიის მიხედვით, თეორიულად დასაშვებია სატორგეს ამ ნაკანონ ნარწერაში მოხსენიებული მეფე კვირიკეს გაიგივება ზემოთ ჩამოთვლილ კახეთისა და ჰერეთის მმართველ ხუთივე კვირიკესთან. თუმცა, არა თანაბარი ნარმატებით. ამავე პრინციპების მიხედვით – სახელის, მეფის წოდების, კამბეჩოვანის მტკიცედ ფლობისა და პალეოგრაფიული დათარიღების მიხედვით, ამ ხუთი კანდიდატიდან ყველაზე მეტი ალბათობით ნარწერაში კვირიკე III დიდი უნდა იხსენიებოდეს. მართალია ეს მხოლოდ მოსაზრებაა, თუმცა ვფიქრობთ, ყველაზე ანგარიშგასანევი ვარაუდია. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ნარწერა მისი მეფობისას – 1010/4-1039 წლებში უნდა იყოს შესრულებული. ამავე ისტორიულ პირზე შეიძლება იყოს მინიშნება ნარწერის შინაარსშიც.

ახლა კი გადავიდეთ ნარწერის შინაარსზე.

როგორც აღინიშნა, ნარწერა თავნაკლულია. დიდი ალბათობით, აკლია ბოლოც. ხოლო რაც იკითხება გარკვევით, იქ ჭირს სიტყვების ზუსტი შინაარსის აღდგენა.

ნარწერაში თითქოს საუბარია კვირიკე მეფის მიერ თობაიოდისათვის (ან სათობაიოდისათვის) იორის პირზე, სავარაუდოდ, მინის ბოძებაზე. ნარწერაში გრაფემების ჯგუფი „ობა“ რომ „უბ(ო)ბა“-ს ფორმით უნდა აღდგეს, გვაფიქრებინებს ისიც, რომ გარდამავალ მხედრულში გრაფემა „ო“-ს გამოყენება „უ“-ს მნიშვნელობით სხვაგანაც ფიქსირდება.⁷³ ამის გამო, „სათობაიოდსა“ ან „სათობაიოდსა“ სიტყვების აღდგენაც პირობითია.

უცნობია თუ ვინ იგულისხმება კვირიკე მეფის წყალობისა თუ შეწირულობის ადრესატად – პიროვნება („წინამძღვარ]სა თობაიოდსა“) თუ ეკლესიისა ან გეოგრაფიული სახელი.⁷⁴ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მსგავს პირთა და გეოგრაფიულ სახელებსა თუ ტერმინებს, ჯერჯერობით, ვერ მივაგენი. თუ თობაიოდი/სათობაიოდი გეოგრაფიული სახელია, ხომ არ შეიძლება მისი ფუძე იყოს მეგრული „ტობა“-ს დამახინჯებული ვარიანტი „თობა“? ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ ზანიზმები (მეგრული წარმომავლობის სიტყვები) აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში, მათ შორის კახეთ-ჰერეთის ტოპონიმიკაშიც მრავლადაა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ სატორგეს მთის სამხრეთ-დასავლეთით დაახლ. 3,5 კმ-ში ყაჯირის დამშრალი ტბაა, ეს მოსაზრება იმსახურებს არსებობას და შემდგომ კვლევას კონკრეტული დარგის სპეციალისტების მიერ.⁷⁵

⁷³ თ. გოგოლაძე, თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო, გვ. 50.

⁷⁴ შეად.: სატორგე – სათობაიოდი, იქნებ ძველი ფორმაა?

⁷⁵ აქვე აღვნიშავთ, რომ ნარწერაში ნახსენებ ამ სახელთან მიმართებაში ვამუშავებთ კიდევ ერთ თეორიას. საქმე იმაშია, რომ ქიზიყში მჭედლობის მფარველი ღვთაების სახელის მნიშვნელობით გავრცელებული იყო სახელი „თობელი“ (ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, რკინა-მჭედლობა (ეთნოგრაფიული ნარკვევი) (თბილისი, 1964), გვ. 251). ქიზიყურ ზეპირსიტყვიერებაში კი ჩვენთვის საინტერესო მიდამოებში დაფიქსირებულია ტოპონიმი „თობელი“, რაც მჭედლობის მფარველი ამ კულტის სალოცავის მდებარეობით შეიძლება აიხსნას. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში სალოცავის სახელი უკვე ტოპონიმად იქცა (აღნიშნული დაკვირვების გაზიარებისთვის მადლობას ვუხდით ენათმეცნიერ ლევან კოჭლამაზაშვილს, რომელმაც ეს ტოპონიმი შირაქის ვაკის ადგილების სახელების ჩანწერისას

წარწერაში იორის მოხსენიება არ არის გასაკვირი. როგორც აღინიშნა, ეკლესია მდ. იორის ქვემო წელზე, მის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. მათ შორის მანძილი დაახლ. 1,3 კმ-ია. თუმცა, აქ საკითხავია თუ რა იგულისხმება წარწერის ამ კონკრეტულ ფრაზაში („იორ(ი)სა [პ]ირი“) – მდ. იორის პირას მდებარე ერთი კონკრეტული ადგილი, თუ უფრო ზოგადი გეოგრაფიული ტერმინი?

საქმე იმაშია, რომ „იორის პირი/იორის პირნი“, როგორც კამბეჩოვანის ზამთრის საძოვრების ზოგადი გეოგრაფიული სახელი, ხშირად გვხვდება ძველ ქართულ წარატი-ულ წყაროებში.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან ვკითხულობთ: „ხოლო მეფესა გიორგის მოეწესენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღება-სა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქეთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქვეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოწრდა მუნ დღეინდელად დღემდე.“⁷⁶ ასევე: „განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულ-ტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს. რამეთუ ვიდრე აქამომდე ზამთრისა მოწვენასა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალას და დილომს, ჩაღმართ მტკუარისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური.“⁷⁷ ასევე: „რამეთუ ვიდრე მოაქამომდე სთუელთა ჩამოიარინ თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩინათა, პირსა მტკუარისასა, ტფილისიდგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა.“⁷⁸

ბასილი ეზოსმოდვართან ვკითხულობთ: „ქუემოთ ნაპირის კერძ გრიგოლის-ძე-ნი, და უფროსლა ტბელი, და მაჯატლისძენი მონაპირობდეს, რომელთა შიშითა განძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და

დააფიქსირა). მით უმეტეს, ამ თეონიმის ტოპონიმად გარდაქმნის ალბათობა არც მეტი არც ნაკლები „თბილისის“ შემთხვევაშიც განიხილება (შ. გაბესკირია, ტოპონიმ „თბილისის“ ისტორიისა და წარმომავლობისათვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია (თბილისი, 2023) გვ.18-40. არსებობს სადავო მოსაზრებაც, რომ სახელ „თაბალ“-ში გამოიყოფა ქართული სიტყვა „ტბა“-ს არქაული ფორმა „ტაბა“. მართალია ეს მოსაზრება გაზიარებული არ არის (იხ. იქვე, გვ. 24, 31), ჩვენ შემთხვევაში ეს მაინც საინტერესო ნოუანსია). სატორგეს განხილულ წარწერაში მოხსენიებული სიტყვა „სათობაიოდსა/თობაიოდსა“ და ქიზიყში, იგრის ხეობაში დაფიქსირებული ტოპონიმი „თობელის“ მსგავსების საფუძველზე, ჩნდება კითხვა: ხომ არ იგულისხმებოდა აღნიშნულ წარწერაში სწორედ ეს ტოპონიმი, რომლის ტერიტორიაზეც გარკვეული უძრავი ქონება კვირიკე მეფემ შესწირა სატორგეს მონასტერს? ან იქნებ თვით ამ მონასტრის ძველი სახელწოდებაც ეს იყო?

⁷⁶ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 322.

⁷⁷ იქვე, გვ. 326.

⁷⁸ იქვე, გვ. 332.

მტკუროს პირსა საძოვარსა აწყენდეს.⁷⁹ ასევე: „ამისთვის არავის მისცემდა მოცალეობასა: ანუ იყვნიან წინაშე მისსა, ახარებდის და საბოძვართა ღირსებისაებრ სწყალობდის და განუსუენებდის, ანუ თვთ წარუძღვს, **იორის პირი** და მტკუროს პირი მოინადირის.“⁸⁰

ჟამთააღმწერელთან: „ესრეთ რა მოაოჯრეს ტფილისი, იწყეს რბევად, ტყუენვად, ჯოცად და კლვად სომხითისა და კამბეჩიანისა და **იორის პირთა**, ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორას და ანისის მიმდგომთა ქუეყანათა.“⁸¹ ასევე: „ხოლო იწყეს შენებად, და ზამთრის დაიბანაკიან ბარდავს, მტკუროსა პირსა, **იორის პირთა** და აღმომართ გაგამდე.“⁸² ასევე: „ბერქამან მოაოჯრა ქუეყანა შირვანისა, შერეთი, კახეთი და **ყოველი იორის პირი** და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე, და მრავალი სული ქრისტიანე მოსწყვდეს, ხოლო ბერქა ყაენი დადგა მათათა შინა გარეჯისათა“.⁸³

როგორც ვხედავთ, „იორის პირი“ ძველ ქართულ წარმართულ წყაროებში კამბეჩოვანის ზამთრის საძოვრების ზოგად სახელად გამოიყენებოდა.⁸⁴

ასეთივე ზოგადი მნიშვნელობით იყო გამოყენებული ეს სიტყვები სატორგეს ეკლესიის ნაკანონ წარწერაში თუ უფრო კონკრეტული მნიშვნელობით, წარწერის ამგვარი ფრაგმენტულობის პირობებში, ზუსტად ვერ გავიგებთ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ.

თუ წარწერაში „იორ(ი)სა [პ]ირი“ აღნიშნავს კამბეჩოვანის ვრცელი ზამთრის საძოვრების ზოგად ცნებას, გამოდის, რომ კვირიკე მეფემ ვილაცას ან უშუალოდ მონასტერს უბოძა რაღაც ამ ვრცელ ტერიტორიაზე. თუმცა, ამ შემთხვევაში, ლოგიკურად, წარწერის მომდევნო ნაწილში უკვე კონკრეტული სახელები უნდა ყოფილიყო დასახელებული. როგორც ვნახეთ, მომდევნო ნაწილის აღდგენა ზუსტად ვერ ხერხდება.

ჩვენ უფრო ვიხრებით მოსაზრებისკენ, რომ „იორ(ი)სა [პ]ირი“ წარწერაში უფრო კონკრეტულ ადგილს უნდა აღნიშნავდეს.

როგორც ჩანს, კვირიკე მეფემ ამ ეკლესიას მდ. იორის პირას მდებარე გარკვეული მიწის მონაკვეთი (?) შესწირა. მით უმეტეს, კლდე, რომელშიც ეკლესია არის ნაკვეთი, მდ. იორის მარჯვენა მხარეს, მდინარიდან სულ რაღაც 1,3 კმ-ში მდებარეობს. თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, გავიხსენოთ ზემოთ უკვე ნახსენები ადგილი სატორგეს მთასა და მდ. იორს შორის მდებარე დაბლობის ჩრდილოეთ კიდეზე, იქ სადაც მთავრდება ქვიშიანი მინდორი და იწყება მდინარის ბუჩქებითა და მცირე ხეებით დაფარული ჭალა. ეს კონცხისებური

⁷⁹ ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), გვ. 130.

⁸⁰ იქვე, გვ. 131.

⁸¹ ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატთანე, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 178.

⁸² იქვე, გვ. 191.

⁸³ იქვე, გვ. 254.

⁸⁴ ამ მოვლენას ყურადღება ჯერ კიდევ დ. მუსხელიშვილმა მიაქცია ყურადღება (დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 27).

ფორმის ტერიტორია, უშუალოდ მდ. იორთან არის და, როგორც უკვე აღინიშნა, ადგილზე მოიპოვება მრავალფეროვანი კერამიკა, მათ შორის იმპორტული მოჭიქული კერამიკული ნაწარმი.⁸⁵ ხომ არ არის წარწერაში საუბარი ამ მონაკვეთის შენორვაზე მონასტრისათვის?

წარწერაში ამის შემდეგ უნდა იხსენიებოდეს ვინმე გიორგი.⁸⁶ სამწუხაროდ, წარწერის ბოლო ნაწილის აღდგენა, ასოების უცნაური თანმიმდევრობის გამო, ვერ შევძელით.⁸⁷ არ არის გამორიცხული, წარწერას სხვა სტრიქონებიც ჰქონდეს და ამჟამად მინით იყოს დაფარული. თუმცა, წარწერის რიგი გრაფემები ძალზედ მაღალია და მეორე სტრიქონის არსებობის შემთხვევაში, ვფიქრობ მაინც გამოჩნდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ წარწერა რთულად იკითხება, ვფიქრობ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ეს წარწერა წარმოადგენს დიპლომატიკურ ძეგლს – კვირიკე მეფის მიერ სატორგეს ეკლესიისათვის შეწირულობის აქტს. ამ ვარაუდის სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს ასევე წარწერა №20, სადაც ასევე იხსენიება ვინმე კვირიკე.⁸⁸ ბუნებრივია, უფრო დიდი ალბათობით ეს კვირიკეც წარწერა №13-ში მოხსენიებული კვირიკე მეფე უნდა იყოს, ვიდრე ვინმე სხვა კვირიკე. ამასთანავე, წარწერის ავტორი თითქოს თავს კვირიკეს უკავშირებს („ესე მე კურიკეს...“), რაც კვირიკეს დიდ მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს. სამწუხაროდ, წარწერის შუა ნაწილი არ იკითხება, თუმცა, მომდევნო ნაწილში თითქოს იკითხება სიტყვა „დეკანოზი“. ცალკე აღებული წარწერა №20 არაფრის მომცემი იქნებოდა, თუმცა, წარწერა №13-თან შეჯერებით, შესაძლოა ძალზე საინტერესო სურათი მივიღოთ.

შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული „სამწირველოს“ ინსტიტუტის კულტურა. ესა თუ ის დიდებული კონკრეტულ ეკლესიასა თუ მონასტერში გარკვეული შეწირულობის სანაცვლოდ ამ ეკლესიის ეკვდერში იჩენდა „სამწირველოს“. სამწირველო, გარდა არქიტექტურული ნაგებობისა, ფეოდალური სამეურნეო ორგანიზაცია იყო. მონასტერში სამწირველო, განსაკუთრებული ამაგისა ან შეწირულობის სანაცვლოდ, შეიძლებოდა გაეჩინა როგორც ადგილობრივ – მონასტრის მფლობელ ფეოდალს, ასევე გარეშე ფეოდალსაც. ამავე დროს ხდებოდა მწირველის გამორჩევა. მწირვე-

⁸⁵ ობიექტის კოორდინატები: 41°20'27.08"N 45°50'4.26"E.

⁸⁶ თუ წარწერაში მართლაც კვირიკე III დიდი იხსენიება, შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ამავე წარწერაში იხსენიება მისი თანამედროვე აფხაზთა მეფე გიორგი I (1014-1027 წწ.). სწორედ გიორგი I-მა გაათავისუფლა კვირიკე III საპატიო ტყვეობიდან. კვირიკე მეფე ჯარით ეხმარებოდა გიორგი I-ს ბიზანტიასთან ომისას. გიორგი I-მა ასევე დალაშქრა შამქორი 1026 წელს და უშუალოდ კამბეჩოვანის სიახლოვეს აღმოჩნდა. არ არის გამორიცხული ამ დროსაც კვირიკეს მისთვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა მათი საერთო მტრის – არანის მმართველ ფადლონის წინააღმდეგ (ლ. თავაძე, კვირიკე III დიდი (თბილისი, 2020), გვ. 40-41, 45-46, 89, 122-123). თუმცა წარწერაში გიორგის წოდება, მით უმეტეს სამეფო წოდება, არ დასტურდება. შესაბამისად, უცნობი რჩება ამ გიორგის ვინაობა.

⁸⁷ სხვა ვარიანტები: 1. „...უკუნ(ი)სამ[დე]“; 2. „...გ(იორგი) უმც[უ]კუნსა...“; 3. „...კონსა მ[ო]ნ[?]ასტერსა...“.

⁸⁸ წარწერაში სახელი კვირიკე გვხვდება „კურიკეს“ ფორმით, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასევე გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში.

ლი (იგივე მეეკვდრე) იყო პირი, ვისაც ებარა სამწირველო და ვინც ყველანაირად უზრუნველყოფდა სამწირველოში მისი პატრონისათვის საეკლესიო რიტუალების შესრულებას. ამა თუ იმ პირის სამწირველო არ უქმდებოდა ამ პირის გარდაცვალების გამო, პირიქით, სამწირველო კიდევ დიდხანს აგრძელებდა არსებობას და ამას შემწირველის ფეოდალური სახლი უზრუნველყოფდა. მონასტრის მფლობელი ფეოდალის შემთხვევაში, მწირველს მონასტრის პატრონივე ირჩევდა, უმეტეს შემთხვევაში საკუთარი ფეოდალური სახლიდან ან სანათესაოდან. ხოლო თუ მონასტერი არ იყო სამწირველოს პატრონის საკუთრება, მწირველს მონასტრის საძმო გამოარჩევდა. მწირველის მთავარი დანიშნულება სამწირველოს გამართულად ფუნქციონირებისათვის საორგანიზაციო საქმეებზე ზრუნვა იყო. მწირველებად ინიშნებოდნენ როგორც შავი და თეთრი სამღვდელთა ნარმომადგენელი პირები, ასევე საერო პირებიც. შესაძლებელი იყო მწირველი ყოფილიყო როგორც სამწირველოს სამეურნეო და საორგანიზაციო საქმეების შემსრულებელი, ისევე სამწირველოს მღვდელმსახური – პატრონისათვის უშუალოდ წირვა-ლოცვის აღმვლენი. მწირველობა ხშირად მემკვიდრეობითიც კი იყო. მწირველები ფართო ავტონომიით სარგებლობდნენ, რიგ შემთხვევებში კი უფრო მეტად დამოუკიდებლებიც იყვნენ მონასტრის წინამძღვრისგან. ზოგი მწირველი ბერი ეკვდერისათვის შეწირულ სოფელშიც კი ცხოვრობდა. ამასთანავე, მწირველს ხშირად ეძლეოდა საშემოსავლო ერთეული – სახლი.⁸⁹

ყოველივე ამის ფონზე, ლოგიკური იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ ეკლესიის კარის ზედა სარკმელში შესრულებული წარწერა №20 შესაძლოა ეკუთვნოდეს მეფე კვირიკეს მწირველ (მეეკვდრე) დეკანოზს. ხოლო ეკლესიის სამხრეთ ეკვდერი, სადაც შესრულებულია კვირიკე მეფის დიპლომატიკური აქტი (წარწერა №13) ამ დიდი მეფის სამწირველო იყო, რომელიც სწორედ ამ შეწირულობის აქტით შეიქმნა.⁹⁰ როგორც უკვე აღინიშნა, თუ ეს ვარაუდი სწორია და წარწერაში მართლაც კვირიკე III დიდი იხსენიება, გამოდის, რომ წარწერა №13 კვირიკეს მეფობის პერიოდში, ანუ 1010/4-1039 წლებში უნდა იყოს შექმნილი.

მეფისათვის სამწირველოს არსებობა ფეოდალურ საქართველოში ბუნებრივი მოვლენაა. ამ მხრივ საინტერესოა, რომ რომელიღაც კვირიკე კახთა მეფეს ჰქონია სამწირველო შიო-მღვიმის მონასტერში. 1189/1200 წლის⁹¹ საბუთში შიო-მღვიმის კრებულისა ტოხაჰსძეებისადმი ვკითხულობთ, რომ კვირიკე კახთა მეფის მოძღვარი ყოფილა საბუთის ადრესატების – იოვანე, ნიკოლოზ და ნიანას წინაპარი – ბასილი ტოხაჰსძე. მისივე

⁸⁹ ბ. ლომინაძე, სამწირველო XIII საუკუნეში, მიმოხილველი, I (თბილისი, 1949), გვ. 309-332.

⁹⁰ ვგულისხმობთ სამწირველოს, როგორც ფეოდალურ ინსტიტუციას, და არა ეკვდერს – ტაძრის არქიტექტურულ ნაწილს.

⁹¹ უკანასკნელი კვლევების საფუძველზე, აღნიშნული საბუთის თარიღი შესაძლოა შეიცვალოს/ დაზუსტდეს (იხ. თ. გოგოლაძე, ბასილი მემღვიმისა და მისი ძმის, ბეშქენის საალმშენებლო წარწერა ბჭითების ეკლესიიდან (წარწერის ტექსტის დაზუსტება; ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, ქრონოსი, 4 (თბილისი, 2023), გვ. 23-36).

დარიგებით, კვირიკე მეფეს მონასტრისათვის შეუწირავს მთიულეთის სოფ. დავათი (დაოთი) და ბარში სოფ. რუეთი/რუეთი. ამ შეწირულობის საფუძველზე კახთა მეფე კვირიკესთვის შეიქმნა სამწირველო – ფეოდალური ინსტიტუტი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მწირველებად (მეეკვდრეებად) კი სწორედ ტოხაჰსძეები განაჩინეს. როგორც აღინიშნა, სამწირველო არ ნყვეტდა არსებობას მისი მფლობელის გარდაცვალების შემდეგაც. შესაბამისად, მრავალი წლის შემდეგაც ტოხაჰსძეებს და მათ შემდგომ შთამომავლებსაც ევალეობდათ მწირველთა მოვალეობის შესრულება კახთა მეფე კვირიკეს სულისათვის, რასაც იურიდიულად სწორედ ეს შედარებით გვიანდელი საბუთი უზრუნველყოფდა.⁹²

ზუსტად რომელი კვირიკე კახთა მეფე იხსენიება ამ საბუთში, ისევე როგორც სატორგეს ნაკანრ წარწერაში (ან წარწერებში), უცნობია.⁹³ თუ ერთი მხრივ შიო-მღვიმეში არსებული სამწირველოს პატრონად, ხოლო მეორე მხრივ სატორგეს ნაკანრ წარწერებში მოხსენიებულ კვირიკეს მივიჩნევთ კვირიკე III დიდად, ამ დიდი მეფის ბიოგრაფიას საინტერესო ცნობები დაემატება მისი სამწირველოების სახით.

ცნობილია ისიც, რომ საკუთარი მწირველის გამორჩევის უფლება იმ შემთხვევაში ჰქონდა შემწირველ პირს, თუ იგი უშუალოდ ფლობდა ამ მონასტერს. შიო-მღვიმის შემთხვევაში ეს სახეზეა – კვირიკე კახთა მეფემ დაადგინა საკუთარი მწირველი, რადგან ის ფლობდა შიო-მღვიმის მონასტერს.⁹⁴ სატორგეს შემთხვევაში კი, იქ არსებული კვირიკე მეფის სამწირველოს არსებობის პირობითაც, უცნობია თვითონ დაადგინა იქ მწირველი თუ მონასტერმა. არადა მსგავს ცნობაზე თუნდაც მინიშნების არსებობა ძალზე გაამდიდრებდა ამ ძეგლის ღარიბ ისტორიას.

ამგვარად, სატორგეს ეკლესიის წარწერა №13 ძალზე მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლია როგორც უშუალოდ სატორგეს მონასტრის ისტორიისათვის, ასევე კახეთ-ჰერეთის მმართველ(ებ)ის ბიოგრაფიისათვის. ვინც არ უნდა იყოს წარწერაში მოხსენიებული კვირიკე მეფე, ფაქტია, რომ მას უშუალო შეხება ჰქონია ამ გრანდიოზულ და ნაკლებად ცნობილ ეკლესიასთან, რაც მისი უცნობი ისტორიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

⁹² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 82-87.

⁹³ მ. სურგულაძე ამ კვირიკე მეფეზე ზოგადად XI საუკუნეს უთითებს, თუმცა კონკრეტულად რომელ კვირიკეს გულისხმობს არ აზუსტებს (მ. სურგულაძე, „მცხეთის სახლი“ (თბილისი, 2016), გვ. 138). კვირიკე მეფის სამწირველოს ვრცლად განიხილავს თავის ნაშრომში ბ. ლომინაძე, თუმცა არც ის უთითებს კონკრეტულად რომელი კვირიკე უნდა იხსენიებოდეს შიო-მღვიმის საბუთში. ის მხოლოდ აღნიშნავს, რომ კვირიკე მეფის მიერ სამწირველოს შექმნისას მონასტერი ჯერ კიდევ არ ყოფილა სამეფო (ბ. ლომინაძე, სამწირველო XIII საუკუნეში, გვ. 316-317).

⁹⁴ იქვე, გვ. 317.

გურგენის მოსახსენებელი წარწერა

მნიშვნელოვანია წარწერა №14-იც. ისევე როგორც წარწერა №13-ში, ამ წარწერის გრაფემებიც გარკვევით იკითხება, თუმცა ტექსტის მეორე ნაწილის აღდგენა ზუსტად ვერ ხერხდება. მით უმეტეს, ტექსტი ბოლონაკლულია. წარწერა წარმოადგენს ვინმე გურგენისა და მისი ძეების (?) შესანდობარ ტექსტს. ეს წარწერა მდებარეობს კვირიკე მეფის წარწერის თავზე, ეკლესიის სამხრეთ ეკვდერში და პალეოგრაფიული ნიშნებით X-XI საუკუნეების, უფრო ზუსტად კი XI საუკუნის წარწერებთან ავლენს მსგავსებას.⁹⁵ წარწერის მდებარეობა მიგვანიშნებს, რომ ეს გურგენიც დიდად მნიშვნელოვანი პირი უნდა ყოფილიყო. თუმცა წარწერის მონაცემები თუ მისი ტექსტის ჩემეული აღდგენა არ გვაძლევს გურგენზე ბევრი დასკვნის გამოტანის საშუალებას.

2022 წლის პუბლიკაციაში, რომელიც ეძღვნებოდა სატორგეს წარწერების პუბლიკაციასა და წინასწარ ვარაუდებს, სხვადასხვა გარემოებაზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება, რომ ამ წარწერაში მოხსენიებული გურგენი შესაძლოა ყოფილიყო XI ს-ის I ნახევარში მოღვაწე ხორნაბუჯის ერისთავი გურგენ ბერი.⁹⁶ თუმცა ბოლო კვლევებით დადგინდა, რომ ამ ისტორიული პირის წერილობით ძეგლებში დადასტურებული სახელი იყო არა გურგენი (თიკუნით „ბერი“), არამედ გურგენბერი.⁹⁷ შესაბამისად, ჩვენი თავდაპირველი მოსაზრება გაბათილდა.

წარწერის მეორე ნაწილის გაურკვეველი შინაარსის გამო, მისი ამოკითხვა მრავალი ვარიაციით არის შესაძლებელი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ნაკითხვა მართებულია, უფრო ზუსტად კი სიტყვები სწორად გამოვყავით ერთმანეთისგან, წარწერაში შესაძლოა ცალკე სიტყვად ამოკითხულ იქნას „არსა“. შეიძლება თუ არა ეს იყოს კიდევ ერთი პირის სახელი?

ამ მხრივ საინტერესოა, რომ „მატიანე ქართლისა“-ს უძველეს – ანასეულ და ჭალაშვილისეულ ხელნაწერებში გვხვდება პატრონიმი (მამის სახელისგან ნაწარმოები მეტსახელი) „არსის ძე“. შედარებით გვიანდელ მარიამისეულ, მცხეთურ-კლიმიაშვილისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში – „არსის ძე“. ხოლო თეიმურაზისეულ ნუსხაში, რომელიც ვახტანგ VI-ის მეცნიერ კაცთა რედაქციას წარმოადგენს – „არშის ძე“.⁹⁸ ბუნებრივია,

⁹⁵ წარწერა №14-ის პალეოგრაფია, ფაქტობრივად, იმეორებს წარწერა №13-ის ზემოთ უკვე მოყვანილ პალეოგრაფიული ანალოგების ნიშნებს.

⁹⁶ ნ. ჟღენტი, ძველი ქართული წარწერები გარეჯის სატორგეს კომპლექსის გუმბათიანი ეკლესიიდან, გვ. 149.

⁹⁷ თ. ჯოჯუა, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების ცნობები მეღესელთა ფეოდალური სახლის შესახებ და საქართველოს XI საუკუნის ორი საკითხი (მეფე ბაგრატ III-ის საკადრო პოლიტიკა ახლად შემოერთებულ ჰერეთში და ხორნაბუჯის ერისთავების მოღვაწეობა კახეთ-ჰერეთის სამეფოში), საერთაშორისო კონფერენცია – ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა II, თეზისები, (თბილისი, 2023), გვ. 138-139.

⁹⁸ მატიანე ქართლისა, გვ. 051, 268; ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 2008), გვ. 263.

ძველი ნუსხები უფრო სანდოა და სახელი, რომლისგანაც წარმოდგა ეს პატრონიმი, უნდა იყოს „არსი“.⁹⁹ ამგვარად, ძველ ქართულ ონომასტიკონში ნამდვილად გვხვდება სახელი „არსი“.

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ „მატიანე ქართლისა“-ში მოხსენიებული არსის ძეგლები სწორედ კახეთის ქორეპისკოპოსებთან არიან დაკავშირებულნი. არსის ძეგლები ივანე და ხახუა ქორეპისკოპოს კვირიკე II-ის ფეოდალები იყვნენ. ივანე ფლობდა ლონობანის ციხეს ქსნის ხეობაში, ხოლო ხახუა მარანას ციხეს პატარა ლიახვის ხეობაში. 956 წელს, როდესაც მიმდინარეობდა ომი შიდა ქართლისათვის აფხაზთა სამეფოსა და კახეთის საქორეპისკოპოსოს შორის, გიორგი აფხაზთა მეფემ შეიპყრო კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე II. ივანე არსის ძე არ დანებდა მტერს და ლონობანის ციხეს ხანგრძლივი ალყა შემოარტყეს. მარანას ციხე კი სამხედრო ხერხით აიღეს და ხახუა ჯიქეთში გადაასახლეს.¹⁰⁰

ამგვარად, ჩნდება ლოგიკური კითხვა: ხომ არ იხსენიება სატორგეს ეკლესიის გურგენის მოსახსენებელ ნაკანონ წარწერაში სახელი „არსა“-ც (სახელი არსი-ს ნაირ-სახეობა) და ხომ არ შეიძლება ეს პირი ყოფილიყო კავშირში კვირიკე II-ის ფეოდალების ოჯახთან?

დადებითი პასუხი ამ კითხვის პირველი ნაწილზე, ვფიქრობთ, სავსებით არის შესაძლებელი. იმ შემთხვევაში თუ წარწერის ტექსტის აღდგენა „...მე არსა/მე არსამ...“ ფორმით მისაღები იქნება, დიდი ალბათობით აქ სწორედ პირის სახელი უნდა იხსენიებოდეს, იმავე სახელის ოდნავ განსხვავებული ფორმა, როგორც „მატიანე ქართლისაში“ გვხვდება.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს: როგორც ვნახეთ ივანე და ხახუა არსის ძეგლები X საუკუნის შუა პერიოდის მოღვაწენი იყვნენ. შესაბამისად, მათი მამა არსი ამავე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე პირად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ გურგენის მოსახსენებელი წარწერის ზოგადი პალეოგრაფიული ჩარჩოები X-XI საუკუნეებით შემოიფარგლება, ეს წარწერა (ისევე პალეოგრაფიული ნიშნებით) მაინც არ უნდა იყოს ისეთი ადრეული, რომ მასში ივანესა და ხახუას მამა არსი იხსენიებოდეს (X ს. I ნახ., თუნდაც შუა პერიოდი). ამასთანავე, ჩვენთვის უცნობია ივანესა და ხახუას ნამდვილი გვარი და წარმომავლობა – იყო თუ არა არსის ძე ნამდვილად პატრონიმი თუ უკვე გვარად ქცეული სახელი? ასევე – იყვნენ ისინი შიდა ქართლის მკვიდრი ფეოდალები თუ კახეთ-ჰერეთის დიდებულები?

ყოველივე ამის გამო, გურგენის წარწერაში მოხსენიებული არსას (იმ შემთხვევაში თუ აქ მართლაც ასე უნდა აღდგეს ტექსტი) გაიგივება ივანესა და ხახუას მამასთან (?) ნაკლებად არის შესაძლებელი, თუმცა თეორიულად, მაინც დასაშვებია. თუ მომავალში ეს ვარაუდი დადასტურდა, ვფიქრობთ, ავტომატურად დაზუსტდება ამ წარწერის ქვე-

⁹⁹ ამ საკითხს ყურადღება მიაქცია ლ. თავაძემ (ლ. თავაძე, კვირიკე III დიდი, გვ. 76-77).

¹⁰⁰ ლ. თავაძე, ქორეპისკოპოსი და მეფე, გვ. 272-273.

მოსწავლულ ნარწერაში (№13) მოხსენიებული კვირიკე მეფის ვინაობაც (კვირიკე II), რადგან ზედა (გურგენის) ნარწერა (№14) თითქოს ქვედა (კვირიკეს) ნარწერის გათვალისწინებით არის შესრულებული და მისი თანადროული თუ არა, ოდნავ გვიანდელი უნდა იყოს.

ამასთანავე, თუ ამ ნარწერაში მართლაც ეს სახელი (არსა) იკითხება, მისი, და შესაძლოა თვით გურგენის დაკავშირება არსის ძეგლის ფეოდალურ სახლთან ასევე არ უნდა იყოს გამოსარიცხი. არ არის აუცილებელი მისი გაიგივება მაინც და მაინც X საუკუნის I ნახევარში მოღვაწე ვინმე არსისთან, ივანე და ხახუას მამასთან. სახელების გამეორება ფეოდალურ საგვარეულოებში არა თუ ხშირი, არამედ სავალდებულო წესიც კი იყო. შესაბამისად, შესაძლოა სატორგეს ეს ნარწერა იხსენიებდეს არა ივანესა და ხახუას მამას, არამედ მათ შთამომავალს.

არც არსის ძეგლის თავდაპირველი წარმომავლობის არცოდნამ თუ მოღვაწეობის გეოგრაფიულმა სიშორემ უნდა დაგვაეჭვოს, რადგან სატორგეს გარეჯის დიდი სამონასტრო სისტემის ნაწილი უნდა იყოს. ხოლო გარეჯის სხვადასხვა მონასტრის მოლოცვა შორეული ფეოდალების მიერ და იქ საკუთარი მოსახსენებელი ნარწერების შესრულება არ არის უცხო გარეჯის ეპიგრაფიკისათვის.

როგორც უნდა იყოს, დადასტურდება ზემოთ გამოთქმული ფრთხილი ვარაუდები თუ არა, მნიშვნელოვანია, რომ ნარწერაში სახელი „არსა“-ს აღდგენის შემთხვევაში, გვაქვს მისი ანალოგიური ფორმაც, რომელიც დასტურდება ძველ ქართულ ონომასტიკონში.

ზუსტად ვინ იყო გურგენი, ნარწერის ამგვარი მდგომარეობის გამო, არ ჩანს. თუმცა, მისი მოსახსენებელი ნარწერის არსებობა სატორგეს ეკლესიის ეკვდერში (კვირიკე მეფის სამწირველო-ეკვდერში?), კვირიკე მეფის ნარწერის თავზე, მეტყველებს, რომ ის საკმაოდ მნიშვნელოვანი პირი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა უშუალოდ კვირიკე მეფესთან დაახლოებული პირიც კი.

ვინაიდან სატორგეს ეკლესიის ნარწერა №14-ის ტექსტის მეორე ნახევრის აღდგენა ზუსტად ვერ ხერხდება, ხოლო დაზიანებებისა და ბოლონაკლულობის გამო შემოთავაზებული აღდგენაც ძალზე სათუთაა, იძულებულნი ვართ მხოლოდ ზემოთ გამოთქმული ფრთხილი მოსაზრებებით შემოვიფარგლოთ.

სარკმლის ნარწერა კვირიკეს მოხსენიებით

რაც შეეხება ნარწერა №20-ს: ზემოთ, ნარწერა №13-ის განხილვისას ეს ნარწერა უკვე ვახსენეთ და ძირითადი ვარაუდებიც გამოვთქვით. აქ კიდევ ერთხელ შევაჯამებთ ჩვენს დაკვირვებებს.

ცალკე აღებული ნარწერა №20 არ არის დიდად მეტყველი წერილობითი ძეგლი, მით უმეტეს ეს ნარწერაც დაზიანებული და ნაკლულია. შეიძლება გვეფიქრა, რომ ნარწერის ავტორი თვითონ იყო ვინმე კვირიკე, რომელიც ამ ნარწერით მის მიერ რაღაც ქმედე-

ბას გვაუწყებდა (მაგ. „ესე მე კურიკის [დამინერია]...“. მსგავსი ფორმა ხშირად გვხვდება ძველ ქართულ წარწერებში).¹⁰¹ თუმცა, წარწერის მომდევნო ტექსტის ფრაგმენტები ამგვარი დასკვნის საშუალების გაკეთებას საეჭვოს ხდის.

ვინაიდან სატორგეს ეკლესიაში უკვე გვაქვს პრეცედენტი კვირიკე მეფის მოხსენიებისა (წარწერა №13), ჩვენ უფრო იმ აზრისკენ გადავიხარეთ, რომ წარწერა №20-შიც, დიდი ალბათობით, ასევე კვირიკე მეფე უნდა იხსენიებოდეს, ვიდრე ვინმე სხვა კვირიკე. ამასთანავე, წარწერის ავტორი თითქოს რაღაც მნიშვნელობით თავს კვირიკეს უკავშირებს („ესე მე კურიკის...“), რაც კვირიკეს დიდ მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს. სამწუხაროდ, წარწერის შუა ნაწილი არ იკითხება, თუმცა, მომდევნო ნაწილში თითქოს იკითხება სიტყვა „დეკანოზი“. შესაბამისად, გამოვთქვით მოსაზრება, რომ ეს შეიძლება იყოს კვირიკე მეფის მწირველი, რომელიც სატორგეს მონასტერში კვირიკე მეფის სამწირველოს ემსახურებოდა (ვრცლად იხ. ზემოთ). საინტერესოა, რომ წარწერის ავტორმა ტექსტი ამოკანრა არა წარწერებისთვის დამახასიათებელ ადგილას, ანუ ეკლესიაში მართივად მისადგომ და წასაკითხ ადგილას, არამედ კარის ზედა ლიობ-სარკმელში, აღმოსავლეთ კედლის ზედა კუთხესთან. როგორც აღინიშნა, ეს ლიობი საკმაოდ დიდია, რადგან მისი დანიშნულება ამ უსარკმელო დიდი ქვაბოვანი ეკლესიის განათება იყო. რატომ შეასრულა ეს წარწერა მისმა ავტორმა მაინც და მაინც აქ, უცნობია.

სხვა ნაკანრი წარწერები და მათი მნიშვნელობა

როგორც ვნახეთ, სხვა ნაკანრი წარწერები (№15, 16, 17, 18) შედარებით გვიანდელი პერიოდისაა (XVII-XIX სს.) და შინაარსითაც უფრო მემორიალური ხასიათისაა, ვიდრე შესანდობარი თუ მოსახსენებელი ტექსტები. ამასთანავე, გასათვალისწინებელია მათი მდებარეობა ეკვდერის თალის შელესილობის ზედა ნაწილზე.

რაზე უნდა მეტყველებდეს ყოველივე ეს?

ვფიქრობთ აღნიშნული წარწერების ხასიათი და მდებარეობა მიუთითებს იმაზე, რომ მათი ამოკანვრისას ეკლესიის ინტერიერი რაღაც დონეზე უკვე ამოვსებული იყო გამაგრებული ქვიშით, რის გამოც ეკლესია უკვე აღარ იყო მოქმედი. შესაბამისად, ეკლესიის ჭერი ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნებამდე უნდა დაზიანებულიყო.

ზემოთ, სატორგეს მთასთან მდებარე დიდი ნამოსახლარის განხილვისას, არქეოლოგიური მასალისა და საისტორიო წყაროების მონაცემების შეჯერების საფუძველზე უკვე

¹⁰¹ მაგალითად იხ. გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, ფრესკული წარწერები, I, გვ. 179. აღსანიშნავია, რომ სახელი „კვირიკეს“ ბოლო ასო არის „ე“, წარწერის ავტორმა კი ამ სახელის მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში ჩასმისას ბოლო ასო „ი“-თ შეცვალა, რის შედეგადაც მივიღეთ სახელის ფორმა „კურიკის“. შესაბამისად, რთულია ითქვას თუ რომელ ბრუნვაშია დაწერილი ეს სახელი. თუ მიცემით ბრუნვას ვიგულისხმებთ, უფრო მეტი ალბათობით წარწერის ავტორს თვითონ ერქვა კვირიკე, ხოლო თუ ნათესაობით ბრუნვას ვიგულისხმებთ, გამოდის რომ წარწერის ავტორი ვინმე კვირიკეს უკავშირებს თავს.

ვივარაუდეთ, რომ ამ დიდ დასახლებაში ცხოვრება XIII ს-ის მეორე ნახევარში უნდა შემწყდარიყო ბერქა ყაენის გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგად. დიდი ალბათობით, დასახლარის თავზე მდებარე სატორგეს მონასტერში სამონასტრო ცხოვრების წყვეტაც ამავე მოვლენებს უნდა დაუკავშიროთ.

ზოგადი დასკვნები და დაკვირვებები

სატორგეს ეკლესიასთან მნიშვნელოვანი ისტორიული პირების დაკავშირება საკმაოდ ლოგიკურია. თვითონ ეკლესია, როგორც აღინიშნა, შთამბეჭდავი მასშტაბებისაა. უკვე აღინიშნა და ქვემოთაც ვნახავთ, ეკლესიის გარდა ამ არეალში გამოვლენილია სხვა მღვიმეებიც, ხელოვნურად დატერასებული ფერდობები, საგუმბაგო კოშკები. ასევე შეინიშნება კერამიკული ნაწარმის უამრავი ფრაგმენტი ძალზე დიდ ფართობზე. საინტერესოა ისიც, რომ აქვე დაფიქსირებულია ტოპონიმი „ნაქალაქარი“ და დასტურდება ადგილზე დიდი დასახლარის არსებობა. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ დღეისათვის გაუდაბურებული სატორგე ოდესღაც ძალზე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. ზამთრის საძოვრებით მდიდარი ეს მხარე კი მუდმივად იქნებოდა სამხედრო დაპირისპირების საბაზი სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის. კვირიკე III-ს დროს ამ მხარეს ფლობა მწვავე ბრძოლის მიზეზი იყო კახეთ-ჰერეთის მეფესა და განძის ამირა ფადლონს შორის.¹⁰²

სატორგეს ქვაბოვან ეკლესიაში დაფიქსირებული 20-ზე მეტი ეპიგრაფიკული ძეგლი, დიდი ალბათობით, არ არის ეკლესიაში შემორჩენილი წარწერების სრული რაოდენობა. ეკლესიაში ასეთი დიდი მნიშვნელობის წარწერების არსებობა იატაკის (და არა გამაგრებული მიწის) დონიდან სულ მცირე 1,5 მ-ს ზემოთ უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ სპეციალისტების მიერ ამ მიწის ფენის შელესილობისგან მოცილება კიდევ ბევრ საინტერესო წარწერას გამოავლენს.

იმედი გვაქვს სატორგეს კლდეში ნაკვეთი ამ ეკლესიის ეპიგრაფიკული ძეგლების მომავალი კვლევა უფრო გაამყარებს და განავრცობს ზემოთ მოყვანილ დასკვნებს, დაკვირვებებსა და ვარაუდებს. შედეგად ამ ნაკლებად ცნობილი და შთამბეჭდავი ძეგლის ისტორიის კონკრეტული საკითხები მეტ-ნაკლებად ცნობადი გახდება სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

მით უმეტეს, ნათელია, რომ სატორგეს ქვაბოვანი მონასტერი, ისევე როგორც ყაჯრის მთის სისტემის ტერიტორიაზე არსებული კიდევ სამი ქვაბოვანი მონასტერი, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ, დავით გარეჯის სამონასტრო სისტემის მრავალრიცხოვანი მონასტრების შემადგენელი ნაწილია. ეს კი კიდევ უფრო ნათელს ხდის, თუ რაოდენ მნიშვნელოვან უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ძეგლებთან გვაქვს საქმე.

¹⁰² ლ. თავაძე, კვირიკე III დიდი, გვ. 70-90.

ქვაპოვანი კომპლექსი – „სახიზრები“

სატორგეს მთის ძირში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ერთ-ერთი ხევის დასაწყისში არის გრძელი ციცაბო კლდის მასივი, რომლის ჩრდილო მხარეს გამოკვეთილია რამდენიმე მღვიმე.¹⁰³ კლდის ნაწილი ჩამონგრეული და ჩამორეცხილია, რის გამოც მღვიმეების თავდაპირველი რაოდენობა უცნობია. თუმცა, დღეისათვის საერთო ჯამში რვა მღვიმე აღვრიცხეთ.

მღვიმეები კლდის ქვედა ზოლზე არსებულ ღია ფერის ქანში არის ნაკვეთი. განლაგებით ეს მღვიმოვანი კომპლექსი სამ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ:

მღვიმეების I ჯგუფი წაგრძელებული კლდის ქვედა (აღმოსავლეთ) ნაწილში მდებარეობს და სამი მღვიმისგან შედგება. პირველი უშუალოდ კლდისა და მიწიანი ფერდობის შესაყართან მდებარეობს და კომპლექსის ამ ნაწილში შესასვლელს წარმოადგენს. მის ზემოთ რამდენიმე მეტრზე კიდევ ორი მღვიმე მდებარეობს. ქვედა მღვიმეში მოზრდილი ოთახია და კედლებიც უხეშადაა დამუშავებული. ზედა მღვიმეებში ასვლა სპეციალური აღჭურვილობის გარეშე შეუძლებელია. ქვემოდან გადაღებულ ფოტოების მიხედვით კი ზედა მარცხენა მღვიმის კედელში თითქოს ნიშია გამოჭრილი.

მღვიმეების II ჯგუფი წაგრძელებული კლდის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და სავარაუდოდ ოთხი მღვიმისგან შედგება. ამ მღვიმეების მდგომარეობა, I ჯგუფის მღვიმეებთან შედარებით, გაცილებით ცუდია. მათი დიდი ნაწილი უკვე ჩამონგრეულია. ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე ჰორიზონტალური მართკუთხა ნაგებობის მხოლოდ სამხრეთ კედელი და იატაკის ნაწილია ჩანს. მომდევნო ორი ვერტიკალური მართკუთხა მღვიმე ერთმანეთის გვერდით ყოფილა ნაკვეთი. შემორჩენილია კედლების ნახევარი (შეიძლება მესამედიც კი), სამხრეთ კედელი და იატაკის ნაწილი. ჯგუფის ბოლო (დასავლეთ) მღვიმე ასევე ვერტიკალური მართკუთხა მღვიმეა. წინა ჯგუფის მსგავსად შემორჩენილია კედლებისა და იატაკის მცირე ნაწილი.

კომპლექსის ბოლო – ყველაზე მაღლა მდებარე მღვიმე ასევე ვერტიკალური მართკუთხა ფორმისაა და გამჭოლია. კლდის ეს ნაწილი შედარებით ვიწროა და ამ მღვიმით შესაძლებელი ხდება მასში გავლა. თუმცა, თავიდანვე გამჭოლი იყო ეს მღვიმე თუ მოგვიანებით – კლდის ბუნებრივი გამოფიტვით მიღებული – უცნობია (სურ. 65-67).

რა დანიშნულების უნდა ყოფილიყო ეს მღვიმოვანი კომპლექსი?

მღვიმეების შემორჩენილი ნაშთები არ ტოვებს წირვა-ლოცვისა თუ სხვა საეკლესიო-რიტუალური დანიშნულების ნაგებობების შთაბეჭდილებას. არსად ჩანს შუა საუკუნეების ქვაბოვანი ეკლესიისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ფორმები.

თუ გავითვალისწინებთ სატორგეს კლდეში ნაკვეთ დიდ ეკლესიას, რომელიც ამავე დროს მონასტრის მთავარი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, შეგვიძლო დაგვეშვა, რომ აღ-

¹⁰³ ძეგლის კოორდინატებია: 41°20'3.25"N 45°49'6.10"E.

ნიშნული მღვიმოვანი კომპლექსი ამავე მონასტრის ნაწილი იყო და მონასტრის ქვაბოვან სენაკებად მოგვეაზრებინა. თუმცა, დაშორება სატორგეს ეკლესიასა და ამ მღვიმოვან კომპლექს შორის, პირდაპირი ხაზით დაახლოებით 270 მეტრია. რომ აღარაფერი ვთქვათ მათ შორის მდებარე რთულად სავალ კლდოვან რელიეფზე, რაც ძალზე არაპრაქტიკულს გახდიდა მონასტრის კრებულის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობას. ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ აღნიშნული მღვიმეების კომპლექსი ვერ იქნებოდა სატორგეს მონასტრის ნაწილი (სენაკები).

მღვიმეების ეს კომპლექსი არც აქ არსებულ დიდ ნასახლარს ესაზღვრება. არქეოლოგიური მასალის კონცენტრაცია ამ მღვიმეებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 200 მეტრში მკვეთრად მცირდება, შემდეგ კი საერთოდ წყდება. შესაბამისად, ეს მღვიმეები არც ნასახლარის ყოველდღიური ცხოვრების ფუნქციურ ნაწილად შეიძლება მოვიაზროთ.

ამგვარად, მღვიმეების დღევანდელი მდგომარეობითა და მიდამოების სხვა ძეგლებთან გეოგრაფიული ურთიეთიმიმართების საფუძველზე, სათანადო ინტერდისციპლინარული კვლევის ჩატარებამდე, შეგვიძლია ვივარაუდოთ აქ გარკვეული სამხედრო-საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობების – სახიზრების არსებობა. ეს ლოგიკურიცაა, რადგან მიდამოებში ციხის მსგავსი მოზრდილი თავდაცვითი ნაგებობა არ მოიძებნება, ხოლო აქვე არსებულ დიდ დასახლებას, ბუნებრივი სახიზრებისა თუ სიმაგრეების (კლდოვანი ხევების) გარდა ნამდვილად დასჭირდებოდა მსგავსი ნაგებობები.

ამასვე შეიძლება ადასტურებდეს ამ მღვიმოვანი კომპლექსის ზემოთ მდებარე კიდევ ერთი ნაგებობის ნაშთი, რომელიც შესაძლოა კოშკი ყოფილიყო.

ნაგებობის ნაშთები

ამ მღვიმოვანი კომპლექსის (სახიზრების) ჩრდილოეთით ორი ხევი ერთდება. მათ შორის კი მდებარეობს ქედი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ მალდება. ქედზე ვიწრო ბილიკი მიემართება. ქედის ძირიდან დაახლ. 160 მეტრში მიწის ზედაპირზე ჩანს განმარხებული ძვლების ფენა, რომელიც შესაძლოა პრეისტორიული ცხოველს ეკუთვნოდეს (სურ. 68). ცოტა უფრო ზემოთ მიწაშივე ჩანს მოზრდილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 69). ეს ჭურჭელი, როგორც ჩანს, მთლიანად ჩამარხულა მიწაში, ხოლო მიწის ეროზიის გამო დაიმტვრა. მიუხედავად ამისა, მისი ფრაგმენტები არ გაბნეულა და მისი რესტავრაცია კვლავ არის შესაძლებელი.

ქედის ზედა ნაწილზე კი მდებარეობს შედარებით გაშლილი მდელო. აქ, ქედის ძირიდან დაახლ. 250 მეტრში, ზღვის დონიდან დაახლ. 410 მ სიმაღლეზე, მდებარეობდა რიყის ქვით ნაგები ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთები, რომელიც ჩვენ I ექსპედიციისას (09.02.2020) მოვინახულეთ. ამ დროს ნაგებობის გეგმა რთულად, მაგრამ მაინც იკითხებოდა. ადგილზევე იყო სწორზედაპირიანი კრამიტის ნაშთები. IX ექსპედიციისას (11.02.2024) კი განსხვავებული სურათი დაგვხვდა – ნაგებობის გეგმა აღარ იკითხებოდა, კრამიტის ნაშთები კი უკვე ხევის პირამდე იყოს ჩარეცხილი. როგორც ჩანს, დროის ამ მონაკვეთში, უხვი ნალექისა თუ სხვა ბუნებრივი ფაქტორების გამო, ეს ნაგებობა საფუძვლიანად დაზიანდა (სურ. 70).¹⁰⁴

რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ნაგებობა?

ამ ადგილიდან მშვენივრად ჩანს ყაჯირის მთის სისტემის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმდებარე ვრცელი ტერიტორია, ივრის ქალები და გაღმა მხარე. ამის გამო, შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ეს ნაგებობა ოდესღაც სათვალთვალ კოშკი იყო. თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს ძველ არქიტექტურაში, და მითუმეტეს ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში, სათვალთვალ, ცალკე მდგომ კოშკებს არ ჰქონიათ კრამიტის გადახურვა. ამ შემთხვევაშიც ამ ნაგებობის სახურავი დამრეცი უნდა ყოფილიყო და გადახურული იქნებოდა სწორედ იმ სწორზედაპირიანი მოზრდილი კრამიტებით, რომელთა ნაშთებიც იქვე ყრია. ამას ემატება ისიც, რომ ამ მდელოს აღმოსავლეთ კიდეზე კვლავ რთულად სავალი ქედი იწყება, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით უხვევს, სატორგეს მთისკენ ადის და სატორგეს ქვაბოვან მონასტერთან მდებარე კოშკს, რომელზეც ზემოთ დეტალურად ვისაუბრეთ, დაახლ. 100 მეტრში იტოვებს მარცხნივ. უშუალოდ ამ ნაგებობასა და მონასტერთან მდებარე კოშკს შორის მანძირი 240 მ-მდეა. თუმცა, მათ შორის პირდაპირი ხილვადობა არის.

ამ მიზეზების გამო, ნაგებობის დანიშნულება, ჯერჯერობით, ბუნდოვანია.

¹⁰⁴ ნაგებობის კოორდინატებია: 41°20'7.16"N 45°48'56.70"E

ეს ნაგებობა ბოლო ისტორიული ძეგლი აღმოჩნდა სატორგეს მთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ჯგუფში, რომელიც მთის გარშემო დაახლ. 1 კმ რადიუსში მდებარეობს. კვლევის ამ ეტაპზე უცნობია ქრონოლოგიური თუ სხვა სახის ურთიერთმიმართება ზემოთ განხილულ ძეგლებს შორის – არსებობდნენ ისინი ერთი და იგივე პერიოდში და ჰქონდათ თუ არა კავშირი ერთმანეთთან, თუ წარმოადგენენ სხვადასხვა ეპოქის ერთმანეთისგან დამოუკიდებელ კულტურულ ძეგლებს. თუმცა, ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ამ მთათა სისტემაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სატორგეს მთის ძეგლების ჯგუფის გარეთაც ბევრი და არანაკლებ მნიშვნელოვანია.

უცნობი ქვაბოვანი სამონასტრო კომპლექსი (I)

VI ექსპედიციისას (29-30.10.2022) ყაჯირის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ხევეების დაზვერვისას, ერთ-ერთი დამშრალი ხევის თავზე გზიდანვე შევამჩნიეთ გამოქვაბული მალალი კლდის ფასადზე (პირობითად რიგით IV მღვიმე). ხევისა და კლდეების დეტალური დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ კლდოვანი კონცხი ყაჯირის მთის ჩრდილო განშტოებიდან აღმოსავლეთ მხარესაა გამოყოფილი. მის ჩრდილოეთ ფასადზე ერთი გამოქვაბულია, ხოლო კლდის სამხეთ-აღმოსავლეთ ფასადზე კიდევ სამი გამოქვაბულია გამოკვეთილი (I, II და III მღვიმეები).¹⁰⁵

ამ სამი გამოქვაბულის ძირში ჩვენ VIII ექსპედიციისას (06-07.01.2024) კიდევ ერთხელ მივედით, თუმცა სპეციალური აღჭურვილობის გარეშე ამ მღვიმეებში ასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა.

თუმცა, VI ექსპედიციისას ჩვენ მაინც შევძელით მათი დათვალიერება უპილოტო საფრენი აპარატით გადაღებული ფოტოებისა და ვიდეოების მეშვეობით. მათზე დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ ჩრდილოეთ ფასადზე არსებული გამოქვაბული (IV მღვიმე) საკმაოდ ღრმა არის, თუმცა ხელოვნური კვეთის კვალი იქ არ შეიმჩნევა და არ არის გამორიცხული საქმე გვექონდეს ბუნებრივ მღვიმესთან (სურ. 71-72).

სულ სხვა სანახაობა გველოდა კლდის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს არსებულ მღვიმეებში. აქ კლდე თავისებურ უბეს ქმნის, რომლის მარცხენა, შუა და მარჯვენა ნაწილებში ერთ სიმაღლეზე განლაგებული სამი მღვიმე ჩანს (სურ. 73-74).

იმის გამო, რომ თავის დროზე სპეციალური ალპინისტური აღჭურვილობისა და გამოცდილი მთამსვლელის გარეშე აღნიშნულ მღვიმეებში ვერ შევედით, წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული მღვიმეების აღწერა და მკითხველისათვის გაცნობა გადანყვეტილი გვექონდა უპილოტო საფრენი აპარატით გადაღებული ფოტოებისა და ვიდეოების მიხედვით. თუმცა, წიგნის დაკაბადონების პროცესში მაინც შევძელით კიდევ ერთი – რიგით X ექსპედიციის მოწყობა 2025 წლის 25 იანვარს. ექსპედიციის მიზანი სწორედ ამ მღვიმოვან კომპლექსში შესვლა და შესწავლა იყო, რაც წარმატებით შესრულდა.¹⁰⁶ შესაბამისად, ქვემოთ წარმოგიდგინილი აღწერილობა და დაკვირვებები ეფუძნება ადგილზევე ჩატარებულ სამუშაოებს.

მთის ფერდობი, სადაც კომპლექსი არის ნაკვეთი, წარმოადგენს კონგლომერატს – ძალზე რბილ ნალექ ქანს, რომელიც შედგება ერთმანეთში აზელილი გამაგრებული ქვიშისგან და მცირე ზომის მრგვალი ქვებისგან. სწორედ ასეთი ქანის გასამაგრებლად კომპლექსის სამივე მღვიმე თავის დროზე მთლიანად უნდა ყოფილიყო შელესილი სქელი,

¹⁰⁵ ძეგლის კოორდინატებია: 41°19'2.42"N 45°49'36.21"E

¹⁰⁶ მღვიმეებში შესვლაში დაგვეხმარა ალპინისტი ბიძინა გუჯაბიძე, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას.

თუმცა დაბალი ხარისხის – თივაში მოზეული კირით. შელესილია ერთი ფენით, ზედაპირი არაა მოსწორებული და იმეორებს კვეთისას გამოყვანილ ფორმებს. ეს შელესილობა არ გამოდგებოდა მოხატვისთვის, თუმცა შეასრულებდა მღვიმეების დამატებითი განათების (უფრო სწორად სინათლის არეკვლის) ფუნქციასაც. მღვიმეების აღმოსავლეთ ნაწილები ჩამოშლილია. კომპლექსის ცენტრალური (II) მღვიმე წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას, მისგან სამხრეთით მდებარე მღვიმე (I), დიდი ალბათობით, სატრაპეზოსა და სხვა დამხმარე სამეურნეო ნაგებობებს (გეგმა 5). ხოლო ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე მღვიმის (III) დანიშნულება, კვლევის ამ ეტაპზე, უცნობია.

კომპლექსის აღწერას ვინწყებთ რიგითობის პრინციპით – მარცხნიდან მარჯვნივ (სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ).

I მღვიმე

რიგით I მღვიმეში, რომელიც მარცხენა მხარეს მდებარეობს, სივრცის ძირითად ნაწილში, ჩვენი დაკვირვებით, მონასტრის სატრაპეზო უნდა ყოფილიყო. დარბაზის აღმოსავლეთ ნაწილი ჩანგრეულია. იატაკი არ ჩანს, მისი დონე აწეულია დაახლ. 1 მეტრით მღვიმეში ჩამოშლილი და გამაგრებული მიწის გამო. სამხრეთ კედელზე განირჩევა კედელში შეჭრილი ორი თაღოვანი სივრცე, შუაში პილასტრით. მათგან აღმოსავლეთით შესაძლოა ყოფილიყო სულ მცირე კიდევ ერთი ასეთი თაღი, რომლის მოხაზულობა თითქოს ახლაც განირჩევა, თუმცა კლდის ჩამოშლის გამო ამის ზუსტად თქმა შეუძლებელია.

დასავლეთ კედელი უფრო მეტყველია. სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან მიწის დონე სთან ელიფსური მოხაზულობის შელესილი სათავსი იკითხება, რომელიც შესაძლოა სითხის შესანახი რეზერვუარი ყოფილიყო. დასავლეთ კედელში გაჭრილია ორი კარი, რომელიც ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ორ სივრცეში გადის. მათი ზუსტი დანიშნულება უცნობია. ამ ორ კარს შორის არსებულ კედლის ზედაპირზე ამოჭრილია მოზრდილი ნიში (სახატე?), რომლის შიდა ნაწილიც შელესილია. ასეთივე ნიში ჩანს მის ქვემოთაც, თუმცა, მიწის ამაღლებული დონის გამო, ქვედა ნიშის მხოლოდ ზედა ნაწილი ჩანს. ამავე კედელს ორ მწკრივად გაუყვება წრიული ფოსოები – ზედა მწკრივი წარმოადგენს ხუთ მოზრდილ ფოსოს, ხოლო ქვედა მწკრივი შედგება ოთხი შედარებით მცირე ფოსოსგან. ეს მწკრივები, როგორც ჩანს, გრძელდებოდა მღვიმის ჩრდილო კედელზეც, სადაც ამ მწკრივების სულ მცირე ორ-ორი ფოსო განირჩევა. მათი ზუსტი დანიშნულება უცნობია. შესაძლოა ყოფილიყო დარბაზის გასანათებელი კანდელებისა და/ან ჭრაქებისთვის განკუთვნილი თაროები.

ჩრდილოეთ კედელში, ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, შეჭრილია სათავსი, რომელსაც სამხრეთიდან ამოშენებული ჰქონია კედელი. ამავე კედელში გაჭრილია კარი, რომელსაც ეკლესიასთან (II მღვიმე) დამაკავშირებელ წაგრძელებულ დერეფანში შევყავართ.

I მღვიმის კედლებზე ნაღესობა ფრაგმენტულად შემორჩა. ჭერის კამარა სამხ-

რეთიდან ჩრდილოეთისკენ არის მიმართული (სურ. 75-78).

მიახლოებითი ზომები: სატრაპეზოს სიგრძე – 4,5 მ; სიგანე – 5,8 მ; სამხრეთის სათავსო – 2,8X2,1 მ; ჩრდილოეთის სათავსო – 2,5X2,2 მ.

II მღვიმე

I მღვიმისა და II მღვიმის, ანუ სატრაპეზოსა (?) და ეკლესიის დამაკავშირებელ დერეფანს აღმოსავლეთ მხარეს ნალისებური ფორმის მცირე საკურთხეველია გამოჭრილი, სამკვეთლო (?) ნიშით ჩრდილოეთ მხარეს. საკურთხეველის კედელში, გარედან ქანის ღარის ჩამორეცხვის შედეგად, გაჩენილია ღიობი (სურ. 79-80).¹⁰⁷

აღნიშნული დერეფანი კომპლექსის ეკლესიაში ერთადერთი შესასვლელია (დერეფანის სიგრძე – 3,9 მ).

კომპლექსის II მღვიმე წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას. ტაძრის საკურთხეველი, რომლის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი ჩანგრეულია, ნალისებური მოხაზულობისაა. შემორჩენილია საკურთხეველის ორი ნიში – ჩრდილოეთი შედარებით უკეთესად, სამხრეთი ძლივს განირჩევა. ლოგიკურად, საკურთხეველს უნდა ჰქონოდა სარკმელიც, რომელიც ეკლესიის ბუნებრივი განათების ერთადერთი წყარო იქნებოდა.

ჩრდილოეთ კედელზე ორი ღრმა თალია, დასავლეთზე და სამხრეთზე კი თითო-თითო. სამხრეთ კედლის თაღშივე არის გაჭრილი კარი. თაღების ზომები, მათ შორის სიმაღლეც, განსხვავებულია. პილასტრები კაპიტელების გარეშეა.

ეკლესია მთლიანად ყოფილა შელესილი, თუმცა დღეისათვის ნაწილობრივ შემორჩა. ბათქაში მთლიანად არის ჩამოყრილი კამარადან. ასევე სამხრეთ კედელს აკლია შელესილობის დიდი ნაწილი.

ეკლესიის იატაკი ამაღლებულია მღვიმეში დაგროვებული ქვიშით (სურ. 81-84).

მიახლოებითი ზომები: ეკლესიის სიგრძე – 6,8 მ (აღდგენილი საკურთხეველის გათვალისწინებით); სიგანე – 2,6 მ; სიმაღლე – 4,5 მ.

ამ მღვიმის ქვემოთ, ჩამოშლილი მიწის მასივში ჩვენ ვნახეთ ადამიანის ძვლების ფრაგმენტები. როგორც ჩანს, ეკლესიის საკურთხეველში აკლდამაც ყოფილა, რომელიც კლდის ჩამოშლის გამო მორღვეულა. ამავე ხევში შეინიშნება მცირე რაოდენობის კერამიკაც.

¹⁰⁷ აღსანიშნავია, რომ 2022 წელს დრონით გადაღებულ ფოტოებზე ნათლად ჩანს, რომ კლდის ეს ღარი ჯერ კიდევ მთელი იყო. ეს კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, თუ რა სწრაფი დინამიკით მიმდინარეობს ადგილობრივი ძეგლების დაზიანება ბუნებრივი პირობების შედეგად და თუ როგორი საჩქაროა აღნიშნული ძეგლების დროული დაფიქსირება და კვლევა.

III მღვიმე

კლდეზე სულ მარჯვენა მხარეს რიგით III მღვიმე მდებარეობს.¹⁰⁸ ზომებით ის თითქოს ყველაზე დიდია. მის დასავლეთ კედელში შეიმჩნევა ჰორიზონტალურად გამოკვეთილი მოგრძო სივრცე. მის თავზე კედლის შელესილობის მოზრდილი ფრაგმენტია. ჩრდილოეთ კედელშიც თითქოს შეიმჩნევა ისეთივე გრძელი ჰორიზონტალური თახჩას არსებობა, როგორც დასავლეთ კედელზეა. წინა ორ მღვიმესთან შედარებით, ამ მღვიმის ინტერიერი ძალზე დაზიანებულია

ამ სივრცის მარჯვნივ ორი კედლის დამაკავშირებელი კუთხეა. აქვე, ჩრდილო-დასავლეთ კედლის კუთხესთან, ჩრდილოეთ კედელში გაჭრილია მოზრდილი კარი. კარში ჩანს დერეფანიც, რომელიც დაახლ. 10 მეტრით შედის კედლის სიღრმეში. ეს დერეფანი არ არის სწორი, ის გზადაგზა მარჯვნივ უხვევს. დერეფნის ბოლო ნაწილს ეტყობა, რომ ის დაუსრულებელია (სურ. 85).

აღნიშნული მღვიმის ზუსტი დანიშნულება უცნობია, თუმცა მასში არსებული გრძელი გასასვლელი და მისი მიმართულება აჩვენს ეჭვს, რომ ამ დერეფნის გამჭრელ(ებ)ის მიზანი იყო კედლის მეორე (ჩრდილოეთ) მხარეს არსებულ მღვიმესთან (IV მღვიმე) დაკავშირება. თუ ეს დაკვირვება სწორია, გამოდის, რომ რიგით IV მღვიმეც ხელოვნურია და სამონასტრო კომპლექსის ნაწილად უნდა აღვიქვათ. სამწუხაროდ ამ მღვიმეში შესვლა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.¹⁰⁹

სამონასტრო კომპლექსი კარგად არის დამალული კლდოვან ხევში. მისი დანახვა მხოლოდ კლდოვანი ხევის სიღრმეში შესვლით და უშუალოდ მღვიმეებთან ახლოს მისვლით არის შესაძლებელი. ვფიქრობთ ასეთი მდებარეობა თავის დროზე სამონასტრე ცხოვრებისათვის მშვენიერ პირობებს ქმნიდა.¹¹⁰

კვლევის ამ ეტაპზე, რამდენიმე არქიტექტურული დეტალის გათვალისწინებით, ეს მონასტერი, წინასწარი დაკვირვებით, X საუკუნის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს.¹¹¹

¹⁰⁸ ამ მღვიმეში შესვლა მხოლოდ ბიძინა გუჯაბიძემ მოახერხა. შესაბამისად, მისი აღწერისას ვეყრდნობით მის მიერ გადაღებულ ვიზუალურ მასალას და აღწერილობას.

¹⁰⁹ აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთი მღვიმე მდებარეობს სამონასტრო კომპლექსის მოპირდაპირე კლდეში. ვინაშე მღვიმე ჰორიზონტალურად არის წაგრძელებული. გარეგნული დათვალიერებით მღვიმე ბუნებრივი უნდა იყოს. თუმცა მასში საკმაოდ დიდი ცარიელი სივრცე შეიძლება იყოს.

¹¹⁰ ამ უცნობი ქვაბოვანი სამონასტრო კომპლექსის შესახებ მოხსენება სახელწოდებით „სატორგესა და ყაჯირის მთებს შორის მდებარე კლდეში ნაკვეთი კომპლექსი – გარეგნული დათვალიერებით უცნობი მონასტერი?“ ნავიკითხე 2023 წლის 29 მარტს ნავიკითხე ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკაკი შანიძის სახელობის სამეცნიერო კითხვანის ფარგლებში.

¹¹¹ განუული კონსულტაციისთვის დიდ მადლობას ვუხდით ბატონ დავით ჩიხლაძეს.

ნაკანრი გამოსახულებები კომპლექსის შელესილობაზე

როგორც აღინიშნა, კომპლექსის ინტერიერი, მყიფე შლადი ქანების შეკავებისა და უკეთესი განათების მიზნით, ჩალა-ნარევი უხეში ბათქაშით არის შელესილი. შემორჩენილი შელესილობის ზედაპირზე, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა არც ერთი ძველი ქართული წარწერა, რაც დამატებით ცნობებს მოგვანვდიდა აღნიშნული მონასტრის ისტორიისა თუ ქრონოლოგიის შესახებ.

თუმცა, შელესილობაზე აღმოჩნდა ძალზე იშვიათი (თუ არა უნიკალური) და საინტერესო ნაკანრი გამოსახულებები: ჰორიზონტალურად, პირით ქვემოთ ან ზემოთ მიმართული მშვილდები (საერთო რაოდენობა – 37); მშვილდის ლარზე გამობმული და ასევე ცალკე არსებული ისრები; ადამიანებისა და ზოომორფული გამოსახულებები. ყველაზე საინტერესო კი აღმოჩნდა რამდენიმე უცნაური სიმბოლო – პირით ქვემოთ მიმართული ორფეხა (საერთო რაოდენობა – 15) და სამფეხა სიმბოლოები (2 სახეობა) (ნახ. 6-18).

ზოგადად, ეკლესიის კედლებზე არსებული შუა საუკუნეების ნაკანრი გამოსახულებები, ძირითადად, ერთმანეთის მსგავსია და უმეტესწილად ადგილობრივი მონესე სასულიერო პირების ან მომლოცველების მიერ არის შესრულებული. ჩვენი გამოცდილებით, აღნიშნული სამონასტრო კომპლექსის კედლებზე არსებული გამოსახულებები (ადამიან(ებ)ისა და ზოომორფული გამოსახულებების გარდა) ძალზე იშვიათი, და შეიძლება უნიკალურიც არის ქართული ეკლესიების კედლის ნაკანრ გრაფიკაში. ამ გარემოებამ კი მიგვიყვანა ეჭვამდე, რომ ისინი შესაძლოა არაქართული წარმოშობისა იყვნენ.

გავითვალისწინეთ რა ზემოთ უკვე ნახსენები ისტორიული მოვლენა – 1264 წელს ოქროს ურდოს ყაენის ბერქას გამანადგურებელი ლაშქრობა ჩვენთვის საინტერესო არეალში, რომლის დროსაც უნდა განადგურებულიყო ზემოთ განხილული დიდი დასახლება, ჩვენ შევადარეთ აღნიშნული სიმბოლოები ოქროს ურდოს ჰერალდიკასა და სახელმწიფო სიმბოლოებს, რომლებიც ოქროს ურდოს ნუმისმატიკურ ერთეულებსა და ევროპულ პორტოლანებზე (საზღვაოსნო რუკებზე) არის ასახული. აღმოჩნდა, რომ განხილული სამონასტრო კომპლექსის შელესილობაზე არსებული სიმბოლოები ძალზე ჰგავს მონღოლურ, კონკრეტულად კი ოქროს ურდოს სახელმწიფო სიმბოლიკას – ორფეხა და სამფეხა ტამლებს – ყაენი ჯუჩის (1181-1227 წწ.) დინასტიის ნიშნებს. აღნიშნული ტამლები უხვად მოიპოვება ოქროს ურდოს სამონეტო ემისიებსა და დროშებზე.¹¹²

¹¹²ვრცლად ნუმისმატიკაზე იხ.: Д.Г. Мухаметшин, Монеты с Торецкого поселения. К вопросу о денежном обращении в Булгарском Улусе конца XIV – начала XV вв., Нумизматика Золотой Орды. Вып. 1. (Казань, 2011), გვ. 65-81; იქვე: А.И. Бугарчев, О.В. Степанов, Комплекс монет из деревни Кожаевка (Татарстан), გვ. 85-88; იქვე: Л.Ц. Лазаров, Сокровище с анонимными дирхемами из района Балчика (Северо-Восточная Болгария), გვ. 158-197; Л.Ц. Лазаров, Джучидские монеты, чеканенные в Сакчи на территории современной Болгарии, Нумизматика Золотой Орды. Вып. 2. (Казань, 2012), გვ. 10-24; იქვე: В.П. Лебедев, В.Б. Клоков, Монетный клад конца XV в. с селища Каменный Бугор близ развалин средневекового Сарая, გვ. 138-142; იქვე: А.М. Камышев, Зооморфные изображения на медных монетах Шейбанидов как продолжение

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ასევე მშვილდ-ისრის სიმბოლიკა ეკლესიის ნაკანრ გამო-სახულებებში, რადგან მონღოლთა სამხედრო სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მათი განვითარებული მშვილდი და მშვილდ-ისრით ბრძოლის ტაქტიკა იყო. ამასთანავე, კომპლექსის კედლებზე გამოსახული მშვილდების დიდი ნაწილი მსგავსებას ავლენს სწორედ მონღოლურ მშვილდთან.¹¹³

ამგვარად, განხილული სამონასტრო კომპლექსის შელესილობაზე შემორჩენილი ნაკანრი გამოსახულებების (მშვილდების, სამფეხა და ორფეხა ტამლების) დიდი მსგავსება ოქროს ურდოს მონღოლური სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლიკასთან და მათი განსაკუთრებული სიმრავლე (ტამლები – სულ მცირე 17 ერთეული; მშვილდები – სულ მცირე 37 ერთეული), ასევე წყაროებში ასახული ბერქა ყაენის ლაშქრობა ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალში, გვაფიქრებინებს, რომ ამ ნაკანრი გამოსახულებების სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს სწორედ ბერქა ყაენის ლაშქრობაში მონაწილე მონღოლების მიერ შესრულებულ გამოსახულებებთან. თუ ეს ვარაუდი დადასტურდა, გამოდის, რომ ყაჯირის მთასთან მდებარე ეს უცნობი მონასტერი ამ მხრივ უნიკალური ძეგლია, რადგან, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამგვარი შემთხვევა საქართველოში სხვაგან არსად გვხვდება. ასევე, თუ ეს ვარაუდი დადასტურდა, გვექნება უკვე ადგილობრივი დოკუმენტური მასალა, რომელიც დაადასტურებს ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალში ბერქა ყაენის ლაშქრობის მარშრუტს. აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, რის გამოც ეს დაკვირვება ჯერჯერობით ფრთხილ ვარაუდად რჩება.

საინტერესოა, რომ აღნიშნული სიმბოლოების გარდა შელესილობაზე ორ ადგილას, კერძოდ, ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ თაღსა და ამავე თაღის დასავლეთ შვერილზე შემორჩენილია გაურკვეველი ნიშნები, რომლებიც შესაძლოა რომელიმე არაქართული დამწერლობის ნიმუშ(ებ)იც იყოს. საინტერესოა გამოსახულება გვხვდება ასევე სატრაპეზოს დასავლეთ კედლის ნიშაში. ვფიქრობთ აქ გამოსახული უნდა იყოს კავკასიონის, ან ყაჯირის მთების სისტემა.

золотоордынской традиции XIV в., გვ. 175-217; Нисифоров А.Н. О новых находках монет XIII века из Алькеевского района Татарстана, Нумизматика Золотой Орды. Вып. 6. (Казань, 2016), გვ. 132; იქვე: Лебедев В.П., Кравченко Э.Е. Джучидский аэпиграфный пул с птицевидной тамгой на памятниках с Днепро-Донского междуречья, გვ. 156; Герман А. Федоров-Давыдов, Денежное дело Золотой Орды. (Исторический очерк. Каталог золотоордынских монет. Библиография джучидской нумизматики) (Москва, 2003), გვ. 166 (II ტაბულა, 30), 198-199 (XIX ტაბულა, 268-9), 216 (XXX ტაბულა, 437-8), 218 (XXXI ტაბულა, 454-5, 457-8), 226 (XXXVI ტაბულა, 528), 227-228 (XXXVII ტაბულა, 545-9, 552-3), 230 (XL ტაბულა, 602); Бугарчев А.И., Петров П.Н., Монетные клады Булгарского вилайата XIII – первой трети XIV вв (Казань, 2018), გვ. 170, 203-206, 209-335; ვრცლად ჰერალდიკაზე იხ.: ა. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (თბილისი, 2004), გვ. 265, 275, 283-284, 291-292, 303. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით სამფეხა ტამლა ყირიმისა და ციმბირის სახანოების დროშაზეც იყო გამოსახული.

¹¹³ მ. წურნუშია, შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700 წწ.), ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება (თბილისი, 2016), გვ. 528-531.

კლდეები ნაკვეთი კიდევ ერთი სამონასტრო კომპლექსი (II)

მომდევნო ისტორიული ძეგლი – კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესია – ჩვენთვის საინტერესო მიდამოებში უკვე განხილული ძეგლების კიდევ უფრო სამხრეთით მდებარეობს. კერძოდ, ეკლესია ყაჯირის მთის აღმოსავლეთ განშტოებაზე, ქედიდან აღმოსავლეთ მხარეს გამოშვერილ კლდეშია ნაკვეთი.¹¹⁴ ეს ძეგლი სამანქანო გზიდან დასავლეთით დაახლ. 930 მ-ითაა დაშორებული. ძეგლამდე მისვლა შესაძლებელია ფეხით, როგორც უშუალოდ სამანქანო გზიდან, რამდენიმე ხევის გადავლით, ასევე ჩრდილოეთიდან, სადაც ქედისკენ მარტივად სავალი ფერდობი ადის, ხოლო შემდეგ სამხრეთისკენ კლდოვანი ბილიკი მიემართება.

მღვიმე ქედიდან გამოშვერილ კლდეშია ნაკვეთი. კლდის დაზიანების გამო ჩამოშლილია ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი. ადგილზე შესაძლოა კიდევ 2-3 მღვიმე ყოფილიყო, რომლებიც ჩამორეცხილი და გამაგრებული ქვიშით არის დაფარული (სურ. 86-87).

ეს ძეგლი ჩვენ I ექსპედიციისას (09.02.2020) შევნიშნეთ. კერძოდ, ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის“ ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონიტორინგის პროგრამების ხელმძღვანელმა ანზორ მჭედლიშვილმა, ფოტო გადაღებისას დააფიქსირა კლდეში ნაკვეთი ნაგებობა, სადაც განირჩეოდა თაღნარი. შესაბამისად, ვივარაუდეთ, რომ აქაც კლდეში ნაკვეთი ეკლესია უნდა ყოფილიყო, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ყოფილა დაფიქსირებული.

იმავთვეში II ექსპედიციის ფარგლებში (16.02.2020) ვცადეთ მღვიმეში ასვლა და ძეგლის აღწერა, თუმცა რთული რელიეფის გამო ეკლესიაში შესვლა სამთო-ალპინისტური აღჭურვილობის გარეშე ვერ მოხერხდა. მორიგი ექსპედიცია კი კოვიდ-პანდემიით გამოწვეული სირთულეების გამო რამდენჯერმე გადაიდო.

ძეგლში შესვლა სპეციალური აღჭურვილობითა და მისი აღწერა შეძლო ჩვენი ცენტრის ხელმძღვანელმა ვასილ ჭიჭაღუამ, რიგით III ექსპედიციის ფარგლებში (25.04.2021).¹¹⁵ ეკლესია კვადრატული გეგმისაა. მისი ზომებია:

- ცენტრალური ღერძი აღმოსავლეთიდან (ჩამონგრევის ზოლიდან) დასავლეთისკენ – 4,4 მეტრი;
- ცენტრალური ღერძი სამხრეთიდან (კედლებს შორის მანძილი, თაღების ცენტრები) ჩრდილოეთისკენ – 4,6 მეტრი;
